

ՁՈՒՄ ԳՐԱՆՈՒՅԵՐ

ՀԵՆՐԻ - ՀՈՒՆՅԱՆ ԿՈՆԶԵՐՎԱՆՏ



*მათიამ მათჯანიშვილი*



*ქნესი*  
*ქონსუკი უძიგნობეჩი*



გამომცემლობა „მნიგნობარი“  
თბილისი 2016

*წიგნს უყვარხარ - წიგნი წაწაკვამდე*

**რედაქტორი** პროფესორი როსტომ ჩხეიძე

**რეცენზენტები:** პროფესორი პაატა ნაცვლიშვილი  
პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი  
პროფესორი რუსუდან დაუშვილი  
დიასპორის საკითხებში საქართველოს  
სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე

**გერმანული ტექსტის**

**მთარგმნელი:** ანა ხუხუა

**მხატვარი:** გიორგი ვართაგავა

**ფოტო:** გელა ლაჭავა

© მარიამ მარჯანიშვილი, 2016

© გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2016

ISBN 978-9941-465-26-0

## *სომხეთი*

|                                                       |     |
|-------------------------------------------------------|-----|
| წინათქმა (ორფეოსული სხივი).....                       | 4   |
| ჯანესი - ქართველი ემიგრანტი.....                      | 8   |
| ლექსი, წერილები, წიგნები და<br>ფოტო-ილუსტრაციები..... | 91  |
| Summary.....                                          | 107 |
| გამოყენებული ლიტერატურა.....                          | 108 |

# მონღუმსაჟი სხიჯი

## (ნიკოლოზ ჯანელიძის ბიოგრაფიის გვირგვინი)

ნიკოლოზ ჯანელიძე, ჯანესის სახელით ცნობილი, იმ საქმეებითაც შემორჩებოდა ქართული ემიგრაციის ისტორიას, ჩვენი კულტურის გასავრცელებლად რასაც იღვანებდა მნიშვნელოვანი გამოცემებით; და კიდევ იმ სიმბოლური, პოეტური აქტით, მისი ანდერძი რასაც ითხოვდა თვისტომთაგან: მისი ცხედარი დაეფერფლათ და მიმოებნიათ საყვარელი ქალის – ლილი გეგელაშვილის საფლავზე.

საფლავიდან დაე ქარს წაელო. ეს კი ნიშნავდა, რომ ოდესმე მის სამშობლოშიც ჩააღწევდა.

წლების წინათ ეს სურვილი, ეს ნატვრა გაეცხადებინა ქაქუცა ჩოლოყაშვილს მის სასთუმალთან შეკრებილ ჭირისუფალთათვის: დამფერფლეთ, რადგან ჩემი ნეშტი ვერ შეაღწევს საქართველოში, ფერფლად კი უსათუოდ დავბრუნდებიო.

ნიკოლოზ ჯანელიძეც სამშობლოს მოღანდებაში დაღვედა სულს, ფერფლად შინდაბრუნების ნატვრაში, მაგრამ... არც ლილი გეგელაშვილი ეთმობოდა, ანკი მას როგორ დაშორებოდა. და ამიტომაც გამოძებნიდა ამ გზას – არა ლარნაკში ჩადებას ფერფლისა და ქალის საფლავის გვერდით დადგმას თუ შიგ ჩაკირვას, არამედ – ზედ მიმოყრას.

რალაც შერჩებოდა ლოდს.

რალაც კი გაიბნეოდა, და აჰყვებოდა ქარს... და აჰყვებოდა და აჰყვებოდა და...

და მარიამ მარჯანიშვილი ამ ეპიზოდს რომ გაეცნობოდა, თავისებურ გვირგვინს სამშობლოს უნახაობით გატანჯული კიდევ ერთი მამულიშვილის ცხოვრებისა, განსაკუთრებით მოიხიბლებოდა და ძალდაუტანებლად წამოაგონებოდა მსგავსი ეპიზოდი აქაური საზოგადოებრივ-ლიტერატურული სინამდვილიდან: მარიკა ელიავასა და სიმონ ჩიქოვანის სიყვარულის პოეტურ დაგვირგვინებას, რომანტიკულს, სიმბოლურს.

ის, რომ აქ ქალი გადაეყრებოდა ფერფლად მეუღლის სამარეს, იქ კი - კაცი, ცხადია, ნაკლებმნიშვნელოვანია განზოგადებისას, სიყვარულის საგალობლად რომ წარმოდგება ორივე ეპიზოდი, ხელშესახებ დითირამბად, ერთგვარ პოეტურ ქანდაკად.

თითქოს ლეგენდებში გადასული ჟამის მხილველნი გავმხდარიყავით მარიკა ელიავას გადანყვეტილებითა და საქციელით, თითქოს დრო შემოტრიალებულიყო და რაფსოდული ხანა გაცოცხლებულიყო ჩვენს თვალწინ.

და საზღვარსაქეთა საქართველო თითქოს ამ ეპიზოდის ფარდსაც ითხოვდა საზღვარსიქითა საქართველოდან, ასეთივე გაელვებას შემოტრიალებული დროისა, ლეგენდაში რომ უნდა გახვეულიყო თვალწინ მომხდარი დრამატული შემთხვევა.

იქნებ ახლა გვგონია ასე, რომ თავის ფარდს ითხოვდა?

მაგრამ რარიგ დაშვენდა ჩვენი ემიგრაციის ცხოვრება, ამ ეპიზოდითაც რომ გაცისკროვნებულა მისი მრუმე, ტკივილებითა და მწუხარებით აღსავსე სინამდვილე, დროდადრო რომანტიკული გაელვებანი რომ ჩაენვნოდა გირლანდად ამ სიმრუმეს.

ნიკოლოზ ჯანელიძე ამ მხრივაც გამოირჩეოდა.

და დასანანი იქნებოდა, რომ მისი სრულყოფილი პორტრეტიც არ წარმოსახულიყო, კოლორიტული, კანთიელი, რალაცებით ალიკვალი სხვა მოღვაწე ემიგრანტთა ცხოვრებისა, რალაცით კი...

და აგერ მარიამ მარჯანიშვილი უნდა გამოსჩენოდა ჭირისუფლად და გულდასმით აეკინძა ნიკოლოზ ჯანელიძის ბიოგრაფია - ის სულიერი პორტრეტი, რათა თვალნათლივი გამხდარიყო მისი ამაღლებული მიზანი; შორიდან გადაგებოდა სამშობლოს... და სავსე ცხოვრება სულაც რომანტიკული აქციით მოეშარავანდებინა.

სიმონ ჩიქოვანისა და მარიკა ელიავას სიყვარულის ლეგენდა პოეტთა შთამაგონებლადაც გადაიქცეოდა.

და უთუოდ გადაიქცევა პოეტთა შთამაგონებლად ნიკო-

ლობ ჯანელიძისა და ლილი გეგელაშვილის სიყვარულის ლეგენდაც.

რასაკვირველია, მათ შთაგონებას ძალიან წაადგება ნიკოლოზ ჯანელიძის გარეგანი და სულიერი პორტრეტის ცოდნა, მარიამ მარჯანიშვილის ხელით გამოკვეთილი - სანდოც და შთამბეჭდავიც, კომპოზიციური ქარგა ეპისტოლეთა ირგვლივ რომ მოქსოვილა.

ოდესლაც კანტიკუნტად რომ აღწევდა ცნობები ჩვენს ემიგრანტებზე საზღვარსაქეთა საქართველოში, მერე გურამ შარაძე შემოზიდავდა ერთბაშად დიდძალ მასალას და უხვ საზრდოს მიაწვდიდა მკვლევარებს, თვითონაც რომ ენერგიულად ჩაუჯდებოდა ჩვენს ემიგრანტთა ბიოგრაფიების დაზუსტებასა და გალერეად წარმოსახვას.

და რაც უფრო ივსებოდა გალერეა, მით უფრო თვალნათლივი ხდებოდა, რომ თურმე კიდევ რამდენი რამ იყო გამოსაძიებელი, შესავსები, თავმოსაყრელი, დასაზუსტებელი... განსაზოგადებელი ხომ თავისთავად, ამ მხრივ განსაკუთრებით რომ გამოიჩინდა თავს ორი რუსუდანი - დაუშვილი და ნიშნიანიძე, წიგნს წიგნზე რომ დაალაგებდნენ და სრულფასოვანი ძიებებით ახალ ეტაპზე აიყვანდნენ ქართული ემიგრაციის ცხოვრების კვლევას, მთელს მსოფლიოში განფენილს.

და მათ კვალში კიდევ სხვანიც რომ ჩადგებოდნენ, მარიამ მარჯანიშვილიც გამოიკვეთებოდა, მისი ძიებანი თავს რომ მოიყრიდა მონოგრაფიულ თხზულებაში: „ქართული ემიგრანტული მწერლობის სამხრეთამერიკული პერიოდი“ („მნიგნობარი“, 2014), რომელშიც ხელშესახებად წარმოსახულ კულტურულ-საზოგადოებრივ ფონზე ოთხი პიროვნების პორტრეტი წარმოჩნდებოდა: აკაკი და თამარ პაპავების, ვიკტორ ნოზაძისა და ლეონიდე ჭეიშვილის.

განსაკუთრებით დაუფასებდნენ, რომ მან შემოიტანა პირველად სამეცნიერო მიმოქცევაში და შესაფერისადაც წარმოსახა დღემდე უცნობი პოეტის, მეცნიერისა და

მხატვრის ლეონიდე ჭეიშვილის მოღვაწეობის სამხრეთა-მერიკული ხანა.

ეს გარემოება და საერთოდ მონოგრაფიის რანგი - როგორც უცნობი მასალის გამოვლენის, ისე პროფესიული განსჯა-შეფასების თვალსაზრისით - საშუალებას მისცემდა ავთანდილ ნიკოლეიშვილის, რომ ეს წიგნი ჩაეყენებინა წარმატებულ ნაშრომთა შორის.

ასეთი მეცნიერული თხზულების შექმნა კი თავისთავად ავალებს მკვლევარს ამ მიმართულებით ძიებათა გაგრძელებას, იმ ინტენსიურ გარჯას, რომლის ერთი ნაყოფიც ეს ბიოგრაფიული ნარკვევი უნდა ყოფილიყო: „ჯანესი – ქართველი ემიგრანტი“.

ხოლო დანარჩენი ნარკვევები თუ პორტრეტები...

ისინი თავთავის ჯერს მოელიან, რადგან მარიამ მარჯანიშვილს თავისი გაღერეა აქვს შესავსები... ვინ იცის, კიდევ რამდენი ემიგრანტი მოელის წიგნისმიერ სიცოცხლეს უშუალოდ მისი ხელით იმ სამეცნიერო სივრცეში, სადაც სამკალი ფრიად დაგვეგროვებია, მუშაკნი კი ნელ-ნელა ემატებიან... მაგრამ ხომ მაინც ემატებიან.

თანაც რაოდენ მაცდურად გადაშლილა ემიგრანტული სინამდვილის ლაბირინთები!..

\* \* \*

ბევრგვარი ხიდი გადებულა საზღვარსაქეთა და იქითა საქართველოს შესაერთებლად, და მათ შორისაა ის ხიდიც, ერთი ბოლო სიმონ ჩიქოვანის სამარეზე რომ გადმოწვდენილა, მეორე კი ლილი გეგელაშვილის საფლავზე... და ამთლიანებს ორ რომანტიკულ გაელვებას, ორ პოეტურ აღმაფრენას, ორ სხივოსან ლეგენდას, დროის საზღვრებს რომ არღვევენ და ორფეოსის გვერდიგვერდ იმკვიდრებენ ადგილს ლიტერატურული მითოსის ფურცლებსა და ლირიკულ მარტიროლოგში.

**როსტომ ჩხეიძე**



## ქნესი - ქონსკვი ეძივინი

„გულწრფელობა - დედაა სიმართლისა და აბრა - პატიოსანი კაცისა“...

ჯანესმა თავისი გრძნობები და აზრები, მისი შინაგანი მღელვარების ნიუანსები, ტკივილი თუ სევდა და ის სიმართლე, რომელზეც საუბარს სხვასთან ყოველთვის გაუბოდა და მხოლოდ ერთადერთ ქალს გაანდო... იგი მისი და ლიზეტა გახლდათ...

პირველად, 1979 წლის ზაფხულში, სიზმრადქცეულ ძმასთან გერმანიაში ჩაფრენილ ლიზეტას აეროპორტში ორი უცნობი შეხვდა: კონსული დევი ჯანელიძე და ემიგრანტი კარლო ინასარიძე.

ჯანესმა ვერ შეძლო მისი დახვედრა, რადგან დარწმუნებული იყო, მისი ნაიარები გული დიდ ემოციებს ველარ გაუმკლავდებოდა...

ასეც მოხდა. შეხვედრამ და-ძმა ისეთ შოკში ჩააგდო, რომ შეძრწუნებულმა და დაბნეულმა კარლო ინასარიძემ სიტუაციის განსამუხტავად არც თუ უკბილოდ იხუმრა თურმე: - „ლიზეტა, გოო, სამტრედიაში კიდო ნუმს?!“... ამ სიტყვის ძალას ენით აუნერელი ტკივილით გათანგულნი ისე გამოუფხიზლებია, რომ სამივეს ჰომერული სიცილი ავარდნიათ, ბავშვობისას თითის ჩვენებისას რომ ხარხალი მოსდევს ხოლმე.

და, მერე, დასთან მარტოდ დარჩენილმა ჯანესმა ახადა ფარდა წარსულსა და მის საიდუმლოებას.

„დრო იყო შეუსაბამო, გარემოება ვერანი“, - სწორედ, ასეთ ჟამს მოუწია ცხოვრების დიდი სავალ-გზის დაწყება ჯერ კიდევ ყმანვილ ნიკოლოზ ჯანელიძეს.

იგი გახლდათ ერთ-ერთი იმ სამასი ათას შეწირულ მეომართაგან, რომელიც მეორე მსოფლიო ომმა იმსხვერპლა. თუმცა, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ომში დაღუპულად და უგზო-უკვლოდ დაკარგულად უფრო მეტ თანამემამ-

ულეს ვარაუდობდა, რომლის შესახებაც ჟურნალი „გუშაგი“ წერდა: „ამ პერიოდზე რომ სწორი წარმოდგენა გვქონდეს, საჭიროა მხედველობიდან არ გაუშვათ ის დიდი მსხვერპლი ქართველი პატრიოტების, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ



ჭალაროსანი და-ძმის შესხვედრა 38 წლის შემდეგ -  
ლიზეტა და ნიკოლოზ ჯანელიძეები. გერმანია. 1979 წ.

რეპრესიების სახით შეინირა ომის დაწყებამდე და შემდეგ ის ოთხასი ათასი ახალგაზრდა (ჩვენი ერის ერთი მეშვიდედი) შეენირა ომს, რომელიც შორს იდგა საქართველოს ინტერესებისგან“ („გუშაგი“ 1985:8).

ამ აზრს კიდევ უფრო ამყარებს ემიგრაციის ცნობილი მკვლევარის რუსუდან დაუშვილის შეხედულება: „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დანგრეული ევროპიდან დიდ ტალღად მიანყდნენ ამერიკას ლტოლვილები, რომელთა შორისაც ემიგრანტებთან ერთად, მრავლად იყვნენ ყოფილი „საბჭოთა ქართველებიც“. ომში ტყვედ ჩავარდნილ თუ თავისი სურვილით გერმანელთა მხარეზე გადასულ 40.000 ქართველთაგან ბევრი ევროპაში დარჩა და შეუერთდა პირველი ტალღის ემიგრაციას; 40-იანი წლების ბოლოს და 50-იან წლებში კი გერმანელებთან თანამშრომლობისთვის რეპატრიაციის შიშით ამერიკაში, კანადასა და ავსტრალიაში გადასახლდა. ბევრმა ლათინურ ამერიკას მიაშურა“ („სამშობლო“ 2009:43).

დღესაც, ეს საკითხი პოლემიკის საგანია, თუმცა, რაც მთავარია ქართველ ერს ასეთი დიდი გენოციდი მთელი ისტორიის მანძილზე თავს გადახდენილ არც ერთ დიდ ომში არ განუცდია. ომის ერთ-ერთი მსხვერპლთაგანი გახლდათ ნიკოლოზ ჯანელიძეც.

ლამის სიბნელეში, მაშინ, როცა ორმხრივი ინტენსიური ბრძოლის ცეცხლი შეწყდა და ომის კანონის თანახმად, დაჭრილ-გარდაცვლილთა გადარჩევა დაიწყო, მტრის ბანაკიდან ბრძოლის ველზე გამოსულ გერმანელ სამხედრო-სამედიცინო ნაწილის მედდა მშობლიურ ენაზე მკვნესარე ხმამ სულით ხორცამდე შეძრა. განსაცდელისა და სიკვდილის წინ, როგორც წესი, ყველა „დედას“ უხმობს და მისკენ ინვდის ხელებს.

„ვაი, დედა, დედიკონა“... ახლობელი იყო ეს ძახილი... ისე ახლობელი, რომ თავი მშობლიურ იმერეთში ენიშნა... ქალი გულის კარნახსა და მავედრებელ ხმას გაჰყვა.

გასაოცარი იყო ეს შემთხვევა. „ვინ განაგო - ეს, ვინ განარიგა? საქართველოს მადლმა და მისმა სიყვარულმა?! მაშ, რით ავხსნათ ესეთი სასწაული?!“. ან განგებამ რატომ შეახვედრა ერთმანეთს ასე საპირისპირო ნაპირას მდგომი ორი ქართველი?!

ყოველ მოვლენას თავისი მიზეზი აქვს, ყოველ მიზეზს - თავისი შედეგი. და, ბედისწერის ისტორიაც ქერჩთან ჩაისახა მაშინ, როცა 1942 წლის 3 მაისს გერმანელებმა საგაზაფხულო შეტევისას 15 მაისისათვის ქალაქი ქერჩი აიღეს. ფრონტის ამ მონაკვეთზე გერმანელებმა 300.000 კაცი აიყვანეს ტყვედ, თითქმის სამი არმია.

ამ ბრძოლაში დაცემულ ქართველი ჯარისკაცისათვის გერმანელთა ტყვიას ფილტვი გაეხვრიტა, ამიტომ მისი რეზექცია გარდაუვალი გახდა. გერმანელმა ექიმებმა თანამემამულეთა ტყვიით დაჭრილი თავადვე გადაარჩინეს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია.

... ყველაფერი აქედან დაიწყო, თუმცა სათქმელს შორიდან მოგიტხრობთ:

ნიკოლოზ ჯანელიძე 1921 წლის 12 თებერვალს დაიბადა, როცა ჯერ კიდევ ტოკავდა დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს თავისუფლების წუთები: „მე ძველ სამტრედიასში ვარ დაბადებული. ოთხწლელი ქალაქის სასწავლებელში სასეირნო ბაღთან დავამთავრე. მერმეთ კი რკინიგზის საშუალო სკოლაში შემიყვანეს. იქ შუშანა და დავით ქართველიშვილები (ძვ. სამტრედიელები) იყვნენ ჩემი მასწავლებლები. პროკლე ტაბიძე გალაკტიონის ძმაც იყო ჩემი მასწავლებელი“ (ჯანელიძე, იტცეპოე 18.11.1993).

ბრძენს უთქვამს: თუ მასწავლებელი აერთებს საქმისა და მონაფეების სიყვარულს, სრულქმნილი მასწავლებელიაო. სწორედ, ასეთ პედაგოგად მიიჩნევა ნიკოლოზ ჯანელიძე მშობლიური ლიტერატურის მასწავლებლებს პროკლე ტაბიძესა და შუშანა ქართველიშვილს.

მათი ზეგავლენით მომავალ პროფესიად პედაგოგობა აირჩია და ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა, რომელიც 1939 წლიდან ფუნქციონირებდა. ნიკოლოზ ჯანელიძეც ამ სამასწავლებლო ინსტიტუტის პირველი კურსდამთავრებული გახდა.

მომავალი პედაგოგი გორის ინსტიტუტში საფუძვლიანად ეუფლებოდა საქართველოს ისტორიასა და მშობლიურ ლიტერატურას. მას ასწავლიდნენ ახალგაზრდა ლექტორები, შემდგომში ცნობილი პროფესორები: ალექსანდრე ბარამიძე, ალექსანდრე ღლონტი და შოთა რევიშვილი.

გორი გახდა მისი ყრმობის და ლექსების ბუდე. აქ ეწვია მას პირველი სიყვარული თანაკურსელ ქეთევან გუნცაძისა და აქვე დაიწერა მისი პირველი ლექსიც, რომელიც 1940 წლის 18 ივნისს გორში გადაღებულ სურათზე აქვს მინანერი:

„უმოკლეს დროში...  
დავტოვებ ოჯახს, დავტოვებ მშობლებს,  
დავტოვებ ძვირფას ნაცნობ-მეგობრებს,  
და მთელი გრძნობით, ამასაც ვფიქრობ  
ყველა ესენი თუ მომიგონებს?!“

რა იყო ეს?!... წინასწარმეტყველება თუ წინათგრძნობა?!... გულისკარნახი თუ აფორიაქებული სულის ტკივილი?! ან რატომ უნდა ჩაძირულიყო ახლობელთა მოგონებათა ლაბირინთებში ჯერ კიდევ 20 წლის სიცოცხლით სავსე ჭაბუკი?!...



ნიკოლოზ ჯანელიძე  
ქ. გორი. 1940 წლის 18 ივნისი

მაღე ეს წინათგრძნობა რეალობათ იქცა. ახალბედა მასწავლებელმა დიპლომის აღებაც ვერ მოასწრო, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის ომიც დაიწყო.

სილოვან ჯანელიძის ერთადერთი ვაჟიშვილი ომში პირველ ნაკადშივე გაიწვიეს. დედას, პატარა დებს - ეთერსა და ლიზეტას - აღუთქვა, რომ „გამარჯვებული დაბრუნდებოდა“, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ოჯახმა მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვის მაუნყებელი სამკუთხა ბარათი მიიღო.

ორი ათეული წლის შემდეგ მას დიპლომი გერმანიაში ეროვნული ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელმა ილიკო სუხიშვილმა ჩაუტანა, რომელსაც ხუმრობით უთქვამს: „შენც, ნახევრად ჩვენებური გორელი კაცი ყოფილხარო!“...

ომის მოუშუშებელი ჭრილობა, საკონცენტრაციო ბანაკი, ტყვედქმნილის ნარ-ეკლიანი გზა, მიუსაფრობა, ნოსტალგიის მძიმე სენით დასწეულება ასეთი იყო ნიკოლოზ ჯანელიძის ცხოვრების ფურცლები უცხოეთის ცის ქვეშ.

გერმანიაში ომის პერიოდში მრავალი ანტისაბჭოთა ორგანიზაცია და დაჯგუფება არსებობდა: მათ შორის ქართული „ნაციონალური კომიტეტი“ (ბერლინი. 1941 წ), რომელსაც სათავეში ედგა მიხაკო წერეთელი. ეს კომიტეტი მალევე დაიშალა.

პროფაშისტურად განწყობილ ორგანიზაციათა სიაში შედიოდნენ ასევე: „ქართული საკავშირო (სამოკავშირო) შტაბი“ (ბერლინი. 1943 წ), „კავკასიური კომიტეტი“ (ბერლინი. 1944 წ), რომლის მიზანი იყო ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და ჩრდილო კავკასიური კომიტეტის ბაზაზე კავკასიის დამოუკიდებლობის მიღწევა. გერმანელთა ინიციატივით 1941-42 წლებში შეიქმნა სხვადასხვა ბანაკებსა და საკონცენტრაციო დაწესებულებებში მყოფ ტყვედქმნილ ქართველთაგან საიდუმლო ორგანიზაცია „საქართველოს ნაციონალური ლეგიონი“. მისი დანიშნულება გახლდათ სამხედრო და დივერსიულ - სადაზვერვო საქმიანობა. ანალოგიური ანტიფაშისტური ორგანიზაციები არსებობდა საფრანგეთშიც.

ომის დროს გერმანელთა თვალში დიდი ნდობით სარგებლობდა ასევე ფაშისტური ყაიდის ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“ ხელმძღვანელი ლეო კერესელიძე, რომელიც თავის საქმიანობას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და გერმანიის პროტექტორატის ქვეშ მისი მოქცევის სურვილით ამართლებდა.

საერთოდ, ქართველ ლეგიონერთა უმეტესობა გერმანულ ფორმირებებში საკუთარი სიცოცხლის გადარჩენისათვის შევიდა, ამიტომ ისინი ნაცისტური გერმანიის მიმართ დიდი ერთგულებით არ გამოირჩეოდნენ და მათი ნაწილი ეძებდა შესაფერის მომენტს ტყვეობიდან თავდასაღწევად. ეს-ესის ფორმიან ქართველ ემიგრანტებს მიხაკო წერეთელი ხუმრობით „ეს-ესტყაოსნებს“ ეძახდა.

ყოფიერება იხილავს, რომ ეროვნულ საკითხებთან და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ერების მიმართ წარმოებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით გერმანელებსა და ქართველებს შორის შეუთანხმებლობაც არსებობდა.

„უმეტესობა იმ ქართველ ემიგრანტებისა, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით თანამშრომლობდნენ გერმანელებთან, თვლიდა, რომ თუ არა ათეულობით ათას სამხედრო ტყვესა და ქართველ ლეგიონებზე ზრუნვა, მათი ფიზიკური გადარჩენის სურვილი და მორალური ვალდებულება რომ არა, ისინი დიდი ხანია შეწყვეტდნენ ურთიერთობას გერმანელებთან“ **(სულაძე 2012:322).**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ, ტყვედმყოფი ნიკოლოზ ჯანელიძის დაცვაც ერთ-ერთმა ქართულმა ანტი-საბჭოთა ორგანიზაციამ ითავა და იგი სოფლად გერმანელი გლეხის ოჯახს მიაგარა.

ასე რომ, ყველა ქართველი ტყვე პირდაპირ თუ ირიბად, ანტი-საბჭოთა გარემოცვაში ტრიალებდა და ნიკოლოზ ჯანელიძეც ნებისთნეულად უნებლიეთ ამიტომ გაურბოდა მისი ცხოვრების ამ პერიოდზე საუბარს.

ამ ვერსიას ცხადყოფს გივი გაბლიანის ეპისტოლეც: „მანდაური ქართველები როგორ არიან. რას შვება დათიკო ვაშაძე? აქედან ძლიერ დაღვრემილი და გულგატეხილი წამოვიდა მათ. ეხლა როგორ გრძნობს თავს? თუ არ დაგეზარება მომწერე წერილი და დავითსაც მოკითხვა გადაეცი. ნუ ზარმაცობს ორიოდე სიტყვა მომწეროს. გადაეცი აგრეთვე, რომ მიხაკო წერეთელი უკანვე გაბრუნდა თავის ძველ სამყოფ სოფელში“ (ცნობისათვის, მიხაკო წერეთელი საბოლოოდ ჩამოშორდა პოლიტიკურ ასპარეზს და 1943 წლიდან სოფელ გარცში გადასახლდა) **(გაბლიანი, მიუნხენი 2.7.1947).**

მაშინ, როცა ომის საფრთხემ ბერლინამდისაც მოაღწია, ამ რკალს ქართველ ემიგრანტთა დიდი ნაწილი განერიდა. ზოგმა სოფლად და ზოგმაც კი სად არ შეაფარა თავი. მშვიდმწყურვალნი ხან ვისი ხიზნები იყვნენ და ხან ვისი...

მართლაც, გაუსაძლისი იყო ერთი მხრივ დამარცხებულ,

დანგრეულ ქვეყანასა და გასრესილ ხალხში ტრიალი. მეორეს მხრივ კი ომში ტყვედქმნილთა ცხოვრება გერმანიაში და უფრო საშიში საბჭოეთში დაბრუნება, რადგან 1945 წლის ივლისს- აგვისტოს პოტსდამის კონფერენციაზე სტალინმა მწვავედ დააყენა აშშ-ს პრეზიდენტისა და ინგლისის პრემიერ მინისტრის წინაშე სამხედრო ტყვეების, სამოქალაქო პირებისა და განსაკუთრებით სამხედრო დამნაშავეთათვის სამშობლოში დაბრუნების საკითხი.

ნიკოლოზ ჯანელიძე გერმანიაში გლეხის ოჯახში მხოლოდ ცხრა თვეს იმყოფებოდა. მის ყოველდღიურ ყოფას თან ახლდა ტკივილი, სამშობლოს მონატრება, შიში, შიმშილი, სიცივე და ავადმყოფობა.

„ძვირფასო ძმაო კოლია!... როგორა ხარ, რასა იქმნ! ავადმყოფობა როგორ ჩათავდა შენი? როგორ უწყობ ხელს თავს საკვებით? გეშოვება თუ არა საყუათო პროდუქტები გასამაგრებლად თუ არა. კოლია, სწორედ ავადმყოფობის შემდეგაა საჭირო კარგი კვება და თავის მოვლა. ყურადღება მი აქციე და იზრუნე. შენზედ უკეთესი ვინა გყავს. აქ თავზედ მაღლა კაცს აღარაფერი გააჩნია. იტყვიან ხოლმე „ჩემს თავზედაც მეტად მიყვარსო“. ეს მართალია განსაკუთრებულ შემთხვევაში. ტრფობის, თავის განწირვის დროს, მაგრამ ყოველთვის მაინც ადამიანი ცდილობს თავი დაირჩინოს, რათა სამსახური შეძლოს სხვისა: ცოლ-შვილის, დედ-მამის, ნათესავების, თავისი ერისა და კაცობრიობისა. ამიტომ ჩემო ძმაო, ექიმმა რაც დაგარიგოს და რაც გირჩიოს გაუტეხლად აღასრულე და თავს გაუფრთხილდი“ (გაბლიანი, მიუნხენი 2.7.1947).

მეორე მსოფლიო ომის ბოლო თვეების მანძილზე, როცა საბჭოთა სამხედრო ძალებმა მთელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა დაიკავეს, მოსკოვმა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ პარტიათა მხარდაჭერით თავისი სამხედრო ძალა დემოკრატიული პარტიების გასანადგურებლად მიმართა. „წითელი საფრთხე“ აღშფოთებდა, როგორც ომით დანგრეულ დასავლეთ ევროპას, ასევე ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას და ტყვედქმნილთა თუ გერმანელთა მხარეზე



ნებაყოფლობით გადასულ ყოფილ საბჭოთა მეომრებს, რომელთათვისაც განსაკუთრებით საშიში იყო პოლიტიკურად არასტაბილურ და ეკონომიურად დაზარეულ ევროპაში დარჩენა.

ეს პროცესი კიდევ უფრო გამწვავდა, როცა 1945 წლის ნოემბერში, ქალაქ ნიურნბერგში ჩატარდა დამნაშავეთა სასამართლო დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების გამოჩენილ იურისტთა მონაწილეობით.

ასე რომ, ომის დამთავრების შემდეგ ინტენსიურად ეძებდნენ და აპატიმრებდნენ, საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეებსა და ქართულ ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის იმ წარმომადგენლებს, რომლების ამა თუ იმ ფორმით თანამშრომლობდნენ ნაცისტებთან.

ასეთ ვითარებაში სიცოცხლის გადარჩენა და შენარჩუნება იყო მთავარი. ერთ-ერთი თავშესაფარი კი რომის ეკლესიები, რომელთა მფარველობაზეც ვიკტორ ნოზაძე ბუენოს-აირესში გამოძავალ ჟურნალ „მამულის“ ფურცლებზე დაბეჭდილ წერილში „მამა ფილიპე დე რეჟის“ წერდა: „ეს სახელი ფართო საზოგადოებისათვის უცნობია, მაგრამ მას იცნობს ყველა ქართველი, ვინც ომის ნგრევათა შედეგად იტალიაში მოხვდნენ და საშინელ პირობებში ჩაცვივდნენ, როგორც ნივთიერად ისე განსაკუთრებით იმ ნადირობის გამო, რომელიც ნითლებმა გამართეს ემიგრანტების შესაპყრობად. რუსის ბოლშევიკები, თავის მეგობარ იტალიელ ბოლშევიკებთან ერთად დაძრწოდნენ და ეძებდნენ ქართველებს დასაჭერად. ამას გარდა თვით გამარჯვებული მოკავშირენიც იტალიაში შერეკილ ემიგრაციას არ აყენებდნენ და ისინიც ასობით იჭერდნენ მათ, როგორც გერმანიის ყოფილ ჯარისკაცებს, და შემდეგ სამხედრო დამნაშავეებს „ნითლებს“ აბარებდნენ.

ვინ იყო მხსნელი? ვინ იყო დამხმარე? არავინ, გარდა რომის ეკლესიისა და მონასტერისა, ბერებისა და მონაზონებისა. ესენი იყვნენ რომ ფარავდნენ და ეხმარებოდნენ მათ, ვისაც ნითლების კლანჭებში ჩავარდნა მოელოდათ. მრავალი და მრავალი განწირული გადაარჩინა რომაულმა მონასტერმა“ („მამული“ 1951:114).

„წითელი მხეცის ბრჭყალებისაგან“ იხსნა მაშინ ვატიკან-მა ნიკოლოზ ჯანელიძეც, რომელიც ემიგრანტ აკაკი გამსახურდიას დახმარებით მოხვდა რომის ეკლესიაში მოღვაწე პატრ მიხეილ თარხნიშვილთან. იგი კარგა ხანს იმყოფებოდა ვატიკანში.

მიხეილ თარხნიშვილის მიზანი იყო მისი სასულიერო მოღვაწეთ მომზადება, მაგრამ იგი ამ მისიისათვის ძალზე ახალგაზრდა და შეუფერებელი აღმოჩნდა, რადგან ახალგაზრდა კაცს სიცოცხლე სწყუროდა და სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრი წუთითაც არ ასვენებდა.

ნიკოლოზ ჯანელიძე ისევ დანგრეულ გერმანიაში დაბრუნდა. „კოლია არ ვიცი მანდ უკვე იციან თუ არა ქართველებმა ესპანეთში ი. ბაგრატიონის მცდელობის შესახებ, რომ იქ გადაიყვანოს რამოდენიმე ქართველი იტალიიდან, გერმანიიდან და ავსტრიიდან. ირაკლი ბაგრატიონმა ესპანეთის უნივერსიტეტთან, ბარსელონაში მოაწყო 15 ქართველისათვის მიღების შესაძლებლობა და მათთვის საკმაოთ თავის სარჩენი სტუპენდიების დანიშვნაც. ეხლა იტალიიდან, ავსტრიიდან და გერმანიიდან უნდა შერჩეულ იქნას 15 ახალგაზრდა იქ გასაგზავნად. აქედან, გერმანიიდან 5 კაცი ეგებ წავიდეს. აუარებას სურს წასვლა და ეწერებიან. საბედნიეროთ მე მაქვს დავალება და შესაძლებლობა, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ მივიღე, მონაწილეობა მივიღო გასაგზავნთა შერჩევაში. პირველივე ფიქრი ჩემი შენ მოგწვდა და ყოველ ღონეს ვიხმარ სტუდენტად წასვლა ესპანეთში მოგიწყო. რა თქმა უნდა, მე არაფერი შემიძლია გარდა იმისა, რომ შერჩეულთა სიაში შეგიტანო და შენი ანკეტები გავგზავნოთ ესპანეთში. თანაც რეკომენდაცია გაგიკეთოთ იმ პირებთან, რომელთაც ირ. ბაგრატიონისაგან აქვთ დავალება, მეც სიტყვა მიჭრის და თხოვნას არ გამიცუდებენ (დ. ვაჩნაძე, მ. ანანიაშვილი, ვ. ანდრონიკაშვილი – ესენი არიან უფლებით მოსილნი ირ. ბაგრატიონისაგან. რომში დ.სალირაშვილი).

მე მგონი შენ სტუდენტობას მოინდომებ. ესაა ერთადერთი გამოსავალი და ისიც როგორი? - საუკეთესო. სწავლას და განათლებას შეიძენ ამისათვის პირობები გექნება ესპანეთ-

ში. ფულს და საარსებო წყაროს მიიღებ და გამდიდრებაზედ დღეს ჩვენ არ ვფიქრობთ, კოლია, ასე არ არის? ღმერთმა ქნას რომ ირ. ბაგრატიონმა ეს საქმე დააგვირგვინოს და შენ „კონკურსში“ გაიმარჯვო, 15 კაცში მოხვდე, რომლისთვისაც გიმეორებ, მე არც სიტყვას დავზოგავ, არც კალამს და არც მიწერ-მოწერას მოვერიდები შენს თაობაზედ“ (**გაბლიანი, მიუნხენი 2.7.1947**).

ნიკოლოზის მსგავსად წერილის ავტორი გივი გაბლიანიც ყოფილი ტყვე გახლდათ. იგი საბჭოთა არმიის პირველი რანგის სამხედრო ექიმი იყო, რომელიც ომის დასაწყისიდანვე ჩაება აქტიურ ანტისაბჭოთა საქმიანობაში და მონაწილეობდა, როგორც ქართული ლეგიონების ფორმირებაში, ასევე ქართულ და კავკასიური კომიტეტების შექმნაში.

ანტისაბჭოთა ფორმირებებში ობერ-ლეიტენანტი გივი გაბლიანი სამხედრო განყოფილებებს ხელმძღვანელობდა.

„კავკასიურ კომიტეტთან“ თანამშრომლობდა ასევე ნიკოლოზის მფარველი აკაკი გამსახურდიაც, რომელმაც მას პატრ. მიხეილ თარხნიშვილთან რეკომენდაცია გაუწია. და, ამიტომაც გაუწიანყენდა ნიკოლოზ ჯანელიძეს მის დაუკითხავად რომის ეკლესიიდან წამოსვლის გამო, რადგან მძიმე იყო ის რეალობა, რომელიც მაშინ არსებობდა: „ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა მეთაურების იალტის შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების თანახმად, ინგლისის მხარემ ვალდებულება აიღო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირს გადასცემოდა მის საოკუპაციო ზონაში მოხვედრილი ის პირი, რომლებიც 1939 წლამდე საბჭოთა კავშირის მოქალაქეები იყვნენ, ანუ ძირითადად, საბჭოთა არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები.

აღნიშნული შეთანხმების თანახმად, 1945 წლის მაისს-ივლისში ბრიტანეთის არმიამ განახორციელა, როგორც სამხედრო ისტორიკოსები მიანიშნებდნენ ყოვლად სამარცხვინო ოპერაცია კოდური დასახელებით „კილხოლი“, რის შედეგადაც, თითქმის ორი მილიონი დატყვევებული სამხედრო მოსამსახურე ავსტრიის ტერიტორიიდან იძულებით განდევ-

ნა ოკუპაციის საბჭოთა ზონაში, სადაც ისინი დააპატიმრეს, უმეტესობა შემდგომ კი დახვრიტეს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დეპორტირებულთა შორის აღმოჩნდნენ ის პირებიც („ძველი“) ემიგრანტები, რომლებიც 1939 წლამდე არ იყვნენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეები.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამერიკელებმა დანებებული ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები თავდაპირველად ტყვეთა ბანაკში განათავსეს. მოგვიანებით, 1945 წლის აგვისტოში, ტყვეებს განუცხადეს, რომ მსურველებს შეეძლოთ ან სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, ანდა პოლიტიკურ ემიგრანტებად დარჩენილიყვნენ. ეს წესი არ ვრცელდებოდა დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილ პირებზე. ამერიკელებმა სულ მალე ტყვეთა ბანაკი საერთოდ დაშალეს“ (სულაძე 2013:444-445).

ნიკოლოზ ჯანელიძეს ესპანეთში სამუშაოდ მოწყობის თაობაზე ასევე აწვდიდა ცნობას ტყვედქმნილი ექიმი გივი კობახიძეც: „ირ. ბაგრატიონი ცდილობს აგრეთვე სამუშაოზედ მოაწყოს ხალხი. ამიტომ „კონტრაქტები“ უნდა შეკრას ესპანეთის შრომის სამინისტროსთან. სამუშაო იქნება ქარხნებში და ფაბრიკებში, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში. ვინც მოისურვებს იგი ეცდება ქართველები, მძიმე სამუშაოს ააცდინოს. ექნებათ საკმაო ხელფასი ცხოვრებისათვის. გადასახადს მხოლოდ ერთი სახისას გადიხდიან: ურთიერთ-დამხმარე სალაროსათვის. ირაკლი ბაგრატიონი გზავნის ამიტომ ანკეტას ამისათვის, რომელსაც აქვე გიგზავნი.

მარად შენი გივი კობახიძე“ (კობახიძე, გერმანია 1947).

ომის დამთავრების შემდეგ ახალმა ქართველმა ემიგრანტებმა საცხოვრებლად დასავლეთ გერმანია აირჩია, მათი უმეტესობა ან მიუნხენში დასახლდა, ზოგი ნაწილი ამერიკის კონტინენტზე, მეტწილად სამხრეთ ამერიკაში გადასახლდა.

სამხრეთ ამერიკაში წავიდა საცხოვრებლად ცნობილი პოლიტიკური ემიგრანტები სამტრედიელი აკაკი პაპავა თავისი ოჯახით, მისი სიძე სამტრედიელი ლეო ჭეიშვილი, მათ

კვალს მიჰყვა ასევე სამტრედიელი დავით ლოლობერიძე და ბევრი სხვა. ხოლო ნაწილი ვინც დასავლეთ გერმანიასა და შვეიცარიაში დარჩა სამეცნიერო და შემოქმედებით მუშაობაში ჩაებნენ.

მათ შორის იყვნენ ცნობილი ემიგრანტები სამტრედიელი ძმები, პროფესორები ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეები, მწერალი ილია კუჭუხიძე (მინდია ლაშაური), გამოჩენილი მეცნიერ-ასიოროლოგი და მთარგმნელი მიხაკო წერეთელი, ჟურნალისტი კარლო ინასარიძე, პოეტი სოსო ჟორჯოლიანი. შვეიცარიაში ცხოვრობდა მწერალი გრიგოლ რობაქიძე, ხოლო ცნობილი მეცნიერი კიტა ჩხენკელი ჯერ გერმანიაში, საბოლოოდ კი შვეიცარიაში დამკვიდრდა.

ამერიკაში გადასახლდნენ კოლიას მფარველები გივი გაბლიანი და გივი კობახიძე, რომელთაც ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტებთან ერთი მახასიათებელი თვისებაც აერთიანებდა. ეს იყო ნოსტალგიით დასნეულება.

„ცხოვრება ისეთი ძნელი შეიქმნა, ისეთი აუტანელი, რომ ხანდიხან კაცს პატარა ბარათის დაწერაც გეზარება, რადგან აღარც ხალისია ამისათვის, აღარც ძალა და დეპრესიას განიცდი.

მეც, ასე დამემართა ერთხანს. აღარავის ვწერდი. გავიდა ხანი და აღარც მე მომდიოდა ხშირად წერილები. ბოლოს და ბოლოს ველარც ეს ავიტანე, - ბარათები, რომ აღარ ცვიოდა კარების ჭრილიდან დერეფანში და გულს აღარ მიხარებდნენ, - და განვაახლე მინერ-მოწერა, მონყურებულმა მშობლიურ სიტყვას, თანამემამულეთა ხმას. ეჰ, ძმაო, რა ძნელი ყოფილა უცხოობა, მარტოობა, უსამშობლობა, ყარიბობა“ **(კობახიძე, გერმანია 1947).**

საერთოდ, როგორც ესეისტი თამარ პაპავა სამართლებრივად აღნიშნავდა: „ეროვნული მთავრობის წევრები დაუღალავად, სადაც და როგორც გაუვიდოდათ, საქართველოს მწუხარებას აცნობდნენ უცხოეთს; ყოველგვარ პოლიტიკურ კონფერენციებს, საერთაშორისო ხასიათის გამოსვლებს ესწრებოდნენ და საქართველოს შელახულ უფლებებზე ლაპარაკობდნენ; გზავნიდნენ ყველგან

„ნოტებს“, „მემორანდუმებს“ წერდნენ უცხო პრესაში. სცემდნენ ნიგნებს საქართველოზე და სხვა. დაულალავად იბრძოდნენ ნაციონალური ლიგის ირგვლივ, რათა მათ საქართველოს საკითხისათვის ღირსეული ყურადღება მიექცია და ჩვენი შელახული უფლება დაეცვათ.

მართლაც, მიაღწიეს იმას, რომ ნაციონალური ლიგამ „თანაგრძნობა“ გამოუცხადა ქართველ ერს და მოსთხოვა რუსეთს რეფერენდუმის ჩატარება, რათა ქართველ ხალხს თავისუფლად ეთქვა, სურდათ თუ არა მას რუსეთის ოკუპაციის ქვეშ დარჩენა.

ამ დროს ყველგან, ევროპაში აუარებელი წერილები იბეჭდებოდა საქართველოზე და ქვეყანა ეცნობოდა იმ საშინელ უსამართლობას, რაც რუსეთმა პატარა საქართველოს 1921 წელს თავს დაატყდა“ (**„ქართული ემიგრაცია“ 2013:201**).

ამ ვრცელი ამონარიდიდან ნათლად იკვეთება, ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა უშედეგო თავდადებული ბრძოლა საერთაშორისო სამართლის გზით საქართველოს დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისათვის, რის გამოც მათი დიდი ნაწილი, მეორე მსოფლიო ომის დროს გადავიდნენ ძალისმიერ მეთოდებზე და აქტიურად ჩაება სხვადასხვა ანტისაბჭოთა დაჯგუფებებში იმ იმედით, რომ ჰიტლერი ევროპაში გამარჯვების მერე ადვილად დაამარცხებდა სტალინსაც, რაც საქართველოს რუსეთის სივრციდან თავდახსნის საშუალებას მისცემდა.

ეს მიზანი იყო ჩამოყალიბებული ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ქართული ლეგიონის მეთაურის გენერალ შალვა მაღლაკელიძის გეგმაშიც.

„...ურუხთან საქართველოს საზღვართან, მისული გენერალი ვარაუდობდა, რომ უკვე ხორცშეასხამდა ქვეყნის მონყობის იმ გეგმას, რაც მან დაამუშავა და გერმანელთა შტაბსაც გააცნო (თუმცა ჰიტლერისათვის ჯერ არ შეუთანხმებიათ, მაგრამ სჯერა, რომ იგი ძალაუფლებურად მომხრე იქნება ასეთი გეგმისა). ასე რომ, სამშობლოში გადმოვა მამისონის უღელტეხილით. პირველ ყოვლისა მოუხმობს საქართველოს კათოლიკოსს კალისტრატეს და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს მუსხელიშვილს. ეს სამნი - ანუ: სამღვდლოე-

ბა, მეცნიერებათა წარმომადგენელი და სამხედრო - გამოვლენ რადიოთი და გამოაცხადებენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას“...

ამ იდეის განხორციელების რეალური საფუძველი გახლდათ ცნობილ სახელმწიფოთა და თვით ლენინის რუსეთის მიერ, საქართველოს იურიდიულად აღიარება, განსხვავებით ჩვენი კავკასიელი მეზობლებისაგან, რომელთაც ასეთი „ცნობა“ არ ღირსებიათ...

ყველა სხვა ანტისაბჭოთა ეროვნული ლეგიონისაგან განსხვავებით, ქართულ ლეგიონს გამორჩეული ფიცის ტექსტი ჰქონდა, რადგან საქართველო იურიდიულად აღიარებული იყო სხვა სახელმწიფოთა მიერ და ერთა ლიგამაც ასე დაადგინა: ეს ქვეყანა ოკუპირებულია და არა გასაბჭოებულიო...

ყველა სხვა ლეგიონი ფიცს უშუალოდ ადოლფ ჰიტლერს აძლევდა, ქართული ლეგიონი კი - ოკუპანტთაგან „განთავისუფლებულ ქართულ მიწას“...“ (**„ლიტერატურული საქართველო“ 1995:15**).

ეს გაბედული ოცნებანი გერმანელთა არმიის სტალინგრადთან დამარცხებით დასამარდა. როგორც, ზემოთ მოყვანილი ამონარიდებიდან ჩანს, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას საქართველოს განთავისუფლებაზე ხელი არასოდეს აუღია, როგორც ამას საბჭოური იდეოლოგია ქადაგებდა. და, არც სამშობლოსათვის უღალატია და არც პირადი კეთილდღეობის გამო შეუფარებიათ თავი უცხოეთში.

საერთოდ, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია წინასწარ დარწმუნებული იყო დემოკრატიული ქვეყნების გამარჯვებაში და ომის დამთავრებას მოუთმენლად ელოდა, რათა „განხორციელებულიყო ატლანტიკის ქარტიის საქვეყნოდ გამოცხადებული დაპირებები, რომ ომის გამარჯვებით დასრულებისას ყოველ ერს მიეცემა სრული თავისუფლება და სამუდამოდ ბოლო მოეღება ყოველგვარ დაპყრობასა და ძალადობას.

სამწუხაროდ, იალტის საბედისწერო შეთანხმება-ხელშეკრულებამ ემიგრანტთა იმედები გაანადგურა“ (**„გუშაგი“ 1985:43**).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ანტისაბჭოთა დარაზმულობაში გაერთიანება ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა მეორე დიდი შეცდომა და კრაზი იყო, რადგან ფაშიზმი თავის არსში ერთა თავისუფლებას არ გულისხმობდა. ამას ანტიფაშისტურ დაჯგუფებაში გაერთიანებული ქართველები გვიან ნიურნბერგის სასამართლო პროცესის შემდეგ მიხვდნენ.

მესამე გზა ბრძოლისა ილიას სიბრძნით - „ხმალი იმოდენს ვერას იქმს მრისხანე და ძლიერიო, რასაც იქმს მშვიდობიანი კალმის პატარა წვერიო“, - ნაკარნახები იყო, რომლის პოსტულატს წარმოადგენდა კიტა ჩხენკელის სიტყვები: „...რა უსამართლოდ ვემდურით უცხოელებს, რომ სულ არ გვიცნობენ. როგორ უნდა გაგეცნოს უცხოელი, როცა მას არავითარი საშუალება არ გააჩნია. გაეცნოს ჩვენს ეროვნულ სულს, ე.ი. მის ენას, ლიტერატურას, ისტორიას, ერთი სიტყვით მთელ მის კულტურულ შემოქმედებას?! მითქვამს და ვიმეორებ: მხოლოდ ის ერი, რომელიც დაანახებს სხვა ერებს თავის მეობას, თავის ეროვნულ სულს, - მხოლოდ ისეთ ერს გააჩნია მომავალი და უკვდავება. მანამ რა პოლიტიკაზეა ლაპარაკი, თუ ერს არ იცნობენ, და ერის გაცნობა კი შეუძლება მხოლოდ და მხოლოდ მისი ენით და მისი კულტურული ავლადიდებით“ („სამშობლო“ 2009:117-209).

ადამიანს არ შეუძლია შეურიგდეს არსებულ მწარე სინამდვილეს და ყოველთვის იმის მოლოდინშია, რომ ხვალინდელი დღე უფრო ნათელი და ბედნიერი იქნება, და მისი ნატვრა-ოცნება, მიუხედავად ყოველივე დაბრკოლებისა, ოდესმე მაინც განხორციელდება.

ამ იმედით აიტაცა ეს იდეა ქართველმა შემოქმედებითმა ინტელექტუალურმა ელიტამ, რათა დიდი ეროვნული საქმე სიტყვითა და კალმით პირნათლად შეესრულებიათ. მათ კარგად ესმოდათ, რომ მეცნიერება და ხელოვნება ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, როგორც ფილტვები და გული. იგი ოდითგანვე იყო, არის და იქნება ადამიანთა გაერთიანების - ერთ-ერთი საშუალება.

ქართული კულტურის პოპულარიზაცია-წარმოჩენისათვის, ამიტომ ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა ევროპასა და საერთოდ, უცხოეთში, ენის კათედრების დაარსებას, ქართუ-



ლი მნიგნობროობის განვითარებას და ემიგრანტთა წიგნების ბეჭდვას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართულმა სტამბებმაც.

პოლიტიკურ ემიგრანტთა ეროვნულ თაოსნობაში ჩაება ნიკოლოზ ჯანელიძეც, რომელმაც მისი ნიჭი და უნარი თავისი ქვეყნის ერთგულებას, სიყვარულს და მით უკეთესს მერმისზე ფიქრს შეაღია.

„სულიერი ცხოვრების რა სფეროში არ გამოვლინდა უცხოეთის ცის ქვეშ მოხვედრილი ქართველი კაცის ნიჭის ბრწყინვალეობა, მისი ინტელიგენტური დახვეწილობა, ძირძველი ჯიშის კეთილშობილება და რაინდობა, - იქნებოდა ეს პოლიტიკა, მწერლობა, მეცნიერება და ხელოვნება! რომელ მათგანში არ შექმნა მან წარუშლელი ეროვნული, თუნდაც, საკაცობრიო ღირებულების მქონე ძეგლები, რომლებიც ნებისმიერ დროში, ნებისმიერ ცივილიზებულ ერს დაამშვენებდა: რომელი ქვეყნის საუკეთესო პოლიტიკურ და რევოლუციურ მოღვაწეს, ორატორ-ტრიბუნს არ შეედრებოდა ირაკლი წერეთელი, ან ნოე ჟორდანიას, გნებავთ კარლო ჩხეიძე, რომელი დიდი ლიტერატურის მქონე ქვეყანა არ ინატრებდა გრიგოლ რობაქიძეს... განა ბევრ ქვეყანას ჰყავს ისეთი დიდი მეცნიერები, როგორიც ვთქვათ, მიხაკო



ნიკოლოზ ჯანელიძე

წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, ძმები ნიკურაძეები, მიქელ თარხნიშვილი, ან ვიქტორ ნოზაძე...

სად, რომელ ქვეყანას ანებივრებს ბუნება ასე ხშირად ჯორჯ ბალანჩინით, ფელიქს ვარლამიშვილით... და კიდევ სხვებით და სხვებით?!", - ასეთ რიტორიკულ კითხვას სვამდა თამარ პაპავა (**პაპავა 1990:86-87**).

პოლიტიკურ ემიგრანტთა შემოქმედებით ინტელექტუალურ წრეში გაერთიანებული ნიკოლოზ ჯანელიძეც, აშკარად ხედავდა, რომ ევროპაში დარჩენა ნიშნავდა თავისუფლებასა და დემოკრატიას, ხოლო სამშობლოში დაბრუნება დახვრეტას, ციმბირსა და შუა აზიის ტრამალებში ტანჯულ სიცოცხლეს.

ომის დამთავრებისა და „წითელი საფრთხის“ გავლის შემდეგ ნ. ჯანელიძეს კონსპირაცია უკვე აღარ სჭირდებოდა. უცხო მიწაზე მისი ცხოვრება ერთ გრძელ მოგზაურობას დაემსგავსა, ამიტომ იგი სადღაც უნდა დამკვიდრებულიყო.

საბოლოოდ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აირჩია. თანაც იქ ყველაზე ახლობელი ქალიც ეგულებოდა.

ემიგრაციაში არავის სიყვარულზე არ ცოცხლობდა ისეთი ლეგენდა, როგორც ნიკოლოზ-ჯანესისა და ლილის სიყვარულის ლეგენდაა.

ბოლშევიკური რუსეთის რეჟიმთან შეუგუებლობისა და თავისუფლების დაკარგვის გამო, 21- წელში საქართველოს მთავრობასთან ერთად სამშობლო ქუთაისელმა სვიმონ გეგელაშვილის ოჯახმაც დატოვა.

„ბერლინში იმ ხანებში უკვე გამართულად მოეწყვნენ „ემიგრანტული“ ოჯახები. იქ ცხოვრობდნენ სვ. გეგელაშვილის ოჯახი, რ. მკურნალის, გ. ალშიბაიას, ს. ქორქიას, გრ. დიასამიძისა და სხვათა ოჯახები“ (**„ქართული ემიგრაცია“ 2013:197**).

აზნაური სვიმონ პეტრეს ძე გეგელაშვილი სიმონეთიდან იყო. მისი მეუღლე - პელო ისიდორეს ასული ჟორჟოლიანი მაღლაკელი გახლდათ. მათ სამი ქალიშვილი ჰყავდათ: თინა (რეუმან - გეგელაშვილი), თამარი (გრუნვალდი - გეგელაშვილი) და ლილი (პაპე-გეგელაშვილი).

„1921 წლიდან და მომდევნო წლებში ბერლინის სათვისტომოს ხელმძღვანელობდნენ გიორგი კერესელიძე, დავით საღირაშვილი, სვიმონ გეგელაშვილი, ტიტე მარგველაშ-



ლილი შალვა-გეგელაშვილი

ვილი, კოკი კიზირია და სხვები. 1927 წელს ბერლინში 257 ქართველი ცხოვრობდა.“

ბერლინში სვიმონ გეგელაშვილის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარეობის დროს ხშირად იმართებოდა სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები, რომლის ოჯახის ღვაწლის შესახებ აღნიშნავდა ყურნალი „ახალი ივერია“: „ბერლინში, 1932 წელს აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. საღამოს დაესწრნენ გერმანელები, თურქესტანელები და უკრაინელები. შეკრებილთ კოლონიის თავმჯდომარე სვ. გეგელაშვილი მიესალმა“ (დაუშვილი 2007:206).

გერმანიაში ქართველ ემიგრანტთა საქმიანობაში ასევე აქტიურად იყო ჩაბმული სვიმონ გეგელაშვილის მეუღლე.

მისი ინიციატივით ბერლინში 1936 წლის 27 იანვარს (ე.ი. 14 იანვარს) გაიმართა საქველმოქმედო საღამო. „წმ. ნინოს“ საღამოს ესწრებოდა თანამემამულეთა გარდა გერმანელი და უცხოელი სტუმრები.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „კლდე“ წერდა: „ბევრი ქართველი გულისფანცქალით მიიმართებოდა ემსის ქუჩაზე მდიდრული დარბაზისკენ, სადაც დანიშნული იყო საღამო... ქართველი მანდილოსნები და მათი მეგობარი უცხოელი ქალები, ქ-ბ. პელო გეგელაშვილის (ჟორჟოლიანი) მეთაურობით, დიასახლისობდნენ და თავაზიანად ხვდებოდნენ სტუმრებს. საღამოს გასართობ გეგმის ხელმძღვანელი იყო ნიკ. ნაკაშიძე. „წმ. ნინოს“ მნიშვნელობის შესახებ ილაპარაკა შარშანდელმა მომხსენებელმა ახლად სწავლა-დამთავრებულმა სვიმონ გეგელაშვილის ასულმა თამარმა. როგორც ეს მოხსენება, ისე საღამოს გეგმის გამრიგებლის ყველა საგულისხმო მიმართვანი წარმოთქმული იყო ჩვენი მასპინძელი ერის ენაზე“ **(დაუშვილი 2007:182-183)**.

საღამოს ბლომად ესწრებოდა პრესის, ხელოვნებისა და გერმანელი საზოგადოების გამოჩენილი მოღვაწეები. და როგორც გაზეთი „კლდე“ აღნიშნავდა: „გერმანელ საზოგადოებაში გაისმა ხმა ამგვარი საღამოების ხშირი მოწყობის საჭიროებისა...“

ქართველ მანდილოსანთა საღამო ჩვენთვის - ქართველებისათვის იმ მხრითაც იყო საყურადღებო, რომ საღამომ ბევრი ერთმანეთს დაშორებული წრე მიიზიდა და გააერთიანა. ჩვენ ვულოცავთ ქართველ მანდილოსნებს ამ თვალსაჩინო გამარჯვებას. მათ შესძლეს ის, რაც მამაკაცებმა აქამდის ვერ მოახერხეს.

საღამომ მოგებაც დატოვა, რომელიც დაედება საფუძვლად განსაკუთრებულ კულტურულ ფონდს“ **(დაუშვილი 2007:184-187)**.

ამ ღონისძიების შესახებ ასევე წერდა გაზეთი „ფოლკიშე ბეობახტერი“: „ამ საღამოთი ბერლინელმა ქართველებმა არამარტო თავისი რიგები შეამჭიდროვა, არამედ მრავალი ახალი მეგობარიც შეიძინა“. მომდევნო წელს ასევე ფართოდ

აღინიშნა ქალთა კომიტეტის ინიციატივით „ნინოზის“ დღესასწაული, რომელიც სასტუმრო „ადლონის“ დარბაზში გაიმართა. საღამოს შემოსავალი საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდა. ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“ მადლობას უხდოდა საღამოს ინიციატორ ქალბატონებს პ. გეგელაშვილს, ა. მკურნალსა და ნ. ყაზბეგს: საღამომ ხელახლა დაამტკიცა გერმანელი საზოგადოების დიდი ინტერესი ქართველი ერის მიმართ“.

საერთოდ, სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულ ემიგრაციას ქართული კულტურის ადგილობრივი საზოგადოების გასაცნობად საჭირო ინფორმაცია და საპროპაგანდო მასალა სჭირდებოდათ, რადგან საზოგადოებრივ აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს განათლებულ ქვეყნებში. ამასთან, როგორც ცნობილი ემიგრანტი მწერალი აკაკი პაპავა აცხადებდა: „ის მაინც უნდა ესმოდეთ, რომ ეს ჩვენი ეროვნული მოძრაობა და თაობის მონაპოვარი ქართული მატრიანის ბოლო ფურცლების მშვენება და სიამაყე, ეს განძი და საყრდენი მომავლისა, მაინც შევუნახოთ ჩვენს ისტორიას“ (**„ქართული ემიგრაცია“ 2013:67**).

ბუნებრივია, ასეთ ოჯახში აღზრდილი და ქართველი ქალის სულიერებასთან დანათესავებული ზემოთ ხსენებული მედდა ლილი გეგელაშვილი, სხვანაირად ვერ მოიქცეოდა და ამიტომაც გაუწოდა უშურველად დახმარების ხელი ქერჩთან დაჭრილ თანამემამულეს. რაც მაშინ თავგანწირვისა და გმირობის ტოლფასი იყო... ეს ასეც უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდევ.

სვიმონ და პელო გეგელაშვილების ოჯახში ლილი ყველაზე უმცროსი ქალიშვილი გახლდათ. სამშობლოს დატოვებისას იგი ოთხი წლისა იყო (**1917-1976**).

დედაენის მადლს ნაზიარებ გოგონას ცხოვრება, მართალია, სრულიად განსხვავებულ გარემოში მოუწია, მაგრამ მის ქართულ ბუნებას მუდამ თან ახლდა ქართული ჯიში და გენი. და, ამიტომაც ამბობდა გრიგოლ რობაქიძე: „ჯიში“ ჩვენში „თეორია“ კი არაა, როგორც ევროპაში: იგი „სინამდვილეა“ თვითონ... „ჯიშის“ დგენისათვის

მარტო „სისხლი“ არ კმარა... მისთვის საჭიროა წვართი სულისა და გულისა და ხასიათისა“...

ლილი გეგელაშვილი გერმანიის არმიის მაიორის ულ-რიხ პაპეს მეუღლე გახლდათ, რომელიც მისი დაღუპვის დროს რამდენიმე თვის ფენხშიმე იყო. 1943 წლის ოქტომბერში ვაჟიშვილი შეეძინა. პატარა ულრიხის (ულისი) დაბადებას დედა იმ ჯოჯოხეთურ გარემოში ღვთის საჩუქრად მიიჩნევდა.

ომის დროს ძალიან მძიმე შეიქმნა სვიმონ გეგელაშვილების ოჯახის ბედიც. „საცოდავთ ბინა დაეღუპათ და ყველაფერი დაეწვათ. დღეს თავშეფარებული არიან სადღაც, ბერლინის ახლოს. მათ უმცროს ქალს, ლილის, ქმარი - გერმანიის არმიის ოფიცერი ომში დაეღუპა“ (**„ქართული ემიგრაცია“ 2013:203**).

გეგელაშვილების ოჯახი ომის დამთავრების შემდეგ გერმანიის პატარა ქალაქ იტცეჰოეში დამკვიდრდა.

აქ, ერთ ლიტერატურულ რემინისცენციას დავიმონ-მებთ: დიდი ილია უცხოელთა სტუმრობას საქართველოში ფართო მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან ისინი ქართული კულტურით მოხიბლულნი თავიანთ ქვეყანაში აქვეყნებდნენ ნაშრომებს საქართველოს წარსულსა და აწმყოზე, იჩენდნენ დაინტერესებას ქართული ენის, კულტურის, ტრადიციების მიმართ და ქართული კულტურის მონაპოვარს აცნობდნენ თავიანთ თანამემამულეებს. 1894 წლიდან ილიამ შემოქმედებითი ურთიერთობის ხიდი პირველმა გადო ინგლისელ და-ძმა უორდროპებთან.

ილია მარჯორი უორდროპს სწერდა: „ყოველს ქართველს თავმოსანონებლად ექმნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულ ძმას ჩვენი ყველასაგან დავინყებული ქვეყანა შეგყვარებიათ... სასურველია ერმა ინგლისისამ იცოდეს, რომ ამ ჩვენ პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული; რომ აქაც აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი; რომ აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთესს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოე-

ბიან... ყოველივე ეს ზედ დაჩნეული აქვს ჩვენს პატარა მწერლობას. რამოდენადაც კი გარემოება ნებას იძლევა...

ამ მხრით თქვენი განათლებული და გულშემატკივარი მეცადინეობა ჩვენის გონების ნაწარმოებთა თარგმნისათვის დიდ სამსახურად მიჩნეულ იქნება ყოველის ქართველისაგან და ჩვენს მადლობას თქვენდამი სამზღვარი არ ექნება“ **(ჭავჭავაძე 1961:138-139)**.

ევროპაში, პოლიტიკურ ემიგრანტთა მიერ ქართული კულტურის პოპულარიზაციით თანდათან მტკიცდებოდა იმის რწმენა, რომ ძველი და მაღალი ცივილიზაციის მქონე ქართველ ერს ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების უფლება და ხალხის ბრძოლა ამ მიმართულებით იყო სავსებით კანონზომიერი მოვლენა.

ლიტერატურულ-შემოქმედებითსა და კულტურულ საქმიანობაში ჩაბმული ნიკოლოზ ჯანელიძეც საქართველოს სიყვარულს ასწავლიდა გერმანელებს, სწორედ ისეთ სიყვარულს გერმანელ მწერალს არტურ ლაისტს, რომ ჰქონდა დიდი ილიასა და მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილ მამულიშვილთა მიმართ.

ემიგრანტი მამულიშვილის მოღვაწეობას გერმანიაში მხოლოდ ქართული კულტურის პოპულარიზაცია აძლევდა მიზანსა და შინაარსს. ამასთან იგი მეორე მსოფლიო ომში განადგურებული გერმანული ხელოვნების სულის აღდგომისკენაც ისწრაფვოდა.

საქართველოს თავისუფლების გზა, საბოლოოდ ევროპის დემოკრატიის ფოკუსში რომ იყრიდა თავს, ეს პროცესები ცხადი იყო ემიგრანტებისათვის. მათ შორის ლილი პაპე-გეგელაშვილისა და ნიკოლოზ-ჯანესისათვის, რომელთაც დიდ ძალასა და ენერგიას აძლევდათ მომავლის მოლოდინი, მათი მისიისა და საქმიანობის მნიშვნელობის შეგნება და ალბათ, ის ჩვეულებრივი ადამიანური თანადგომაც, რომლის გარეშეც არც დიდსა და არც მცირე საქმეს არ მოებმება თავი.

პირველი გერმანულად თარგმნილი წიგნი „ნინო მოციქული“ 1961 წელს დაიბეჭდა კიტა ჩხენკელის გამომცემლობა

„ამირანში.“ „Die Apostolin Nino“ – ამ ძველი ქართული მწერლობის ძეგლში, ლეგენდაზე დაყრდნობით მოთხრობილია წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის ანუ გაქრისტიანების ამბავი. წიგნის ანოტაციით ირკვევა, რომ მას გერმანულად თარგმნაში ეხმარებოდა ცნობილი ქართველი მეცნიერი პროფესორი მიხეილ თარხნიშვილი. ნ. ჯანელიძემ წიგნი ღირსეულ თანამემამულეს, ომის დროს და შემდგომ მის მფარველსა და მასწავლებელს მიხეილ თარხნიშვილს მიუძღვნა, მათ მრავალწლიანი ურთიერთობა აკავშირებდათ.

სულიერი მოძღვრის კურთხევით ნიკოლოზ ჯანელიძემ კათოლიკური რწმენა მიიღო. მისივე ხელმძღვანელობით დაამთავრა ვატიკანში ასპირანტურა, რითაც ევროპის



მიხეილ თარხნიშვილი

უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის მასწავლებლობის უფლება მოიპოვა.

თუ ვინმეს წარსულში ჩვენი სამშობლოსათვის ემიგრაციაში სამსახური გაუწევია, - სამსახური უანგარო, წრფელი, თავდადებული, - გაუწევიათ ნიკოლოზ ჯანელიძესა და ლილი პაპე-გეგელაშვილს თავის ვაჟიშვილ ულისთან ერთად.



მათი მოღვაწეობის გვირგვინი იყო ქალაქ იტცეჰოეში დაარსებული ქართული გამომცემლობა „საქართველო“ („გეორგიშერ ფერლაგ საქართველო“), სადაც გერმანულ ენაზე იბეჭდებოდა ქართული წიგნები.

1970 წელს გამოიცა მათ მიერ ნათარგმნი წიგნი „ქართული სამზარეულო“, რომლის შესახებ გერმანულ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში „ქართული სამზარეულო“ - „ასწლოვანების ქვეყნიდან“ - რეცენზენტი აღნიშნავდა: „ქართული სამზარეულოს წიგნი“, შედგენილი და ნათარგმნი ნიკოლოზ ჯანელიძის მიერ, სავსეა „ასწლოვანთა“ ჯანმრთელი კვების რეცეპტებით. სულ წიგნში 333 რეცეპტია შესული. წიგნი საინტერესოა ყველა ქალისათვის, რომელთაც სურთ ღრმა მოხუცებულობის ასაკამდე შეინარჩუნონ თავიანთი ქმრების სიყვარული. მასში შეტანილი ფერადი ილუსტრაციებიდან გამოირჩევა ასწლოვანების ვერა და გედევან ხვინჩიაშვილების ქორწილის დღე. მრავალფეროვანი ქართული სამზარეულოდან ძნელია ამოარჩიოთ ერთ-ერთი. აქ წარმოდგენილი კერძები უცხოა ევროპულ და დასავლური სამყაროსათვის, რადგან ისინი თავისთავში ინახავენ საიდუმლოს - ესაა გემოს საიდუმლოება. თუ გსურთ იყოთ დღეგრძელნი, მაშინ მიმართეთ ჯანეს მისამართზე: იტცეჰოე, ქართული გამოცემა - „საქართველო“, - ნიკოლოზ ჯანელიძე. საფოსტო ინდექსი 1203, 20210. წიგნის ღირებულება 30-მარკაა, რომელიც ილუსტრირებულია ნახელავთა ფოტოებით“.

1974 წელს იმავე გამომცემლობამ გერმანულ ენაზე გამოცა „ქართული ზღაპრები“. კრებულში 29 ქართული ზღაპარია შესული. ქართული ხალხური ზღაპრების გვერდით წიგნში ასევე შეტანილია აკაკი წერეთლის „ყმაწვილი და პეპელა“ და ოტია იოსელიანის „დაჩის ზღაპრები“.

ლადო გუდიაშვილის მოტივებზე ბრწყინვალედ დასურათებული, ხოლო იოჰანეს კლოტცის მიერ გაფორმებული და ქართველი მხატვრების ილუსტრაციებით დამშვენებული „ქართული ზღაპრების“ წიგნი ორჯერ გამოიცა. მას ერთვის

გოტფრიდ დირსენის ბოლოსიტყვაობა. წიგნი დედისაგან ეძღვნება ულრის პაპეს (14.X.1943 – 8.VI.1973).

1973 წლის ივნისში კიბოთი დაავადებული ულრის პაპე მამამისივით 29 წლის ასაკში გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მისი სიტყვები იყო: „გაუმარჯოს საქართველოს“. იგი ვერ ეღიროსა ზღაპრად ქცეული დედის სამშობლოს ხილვას, რომელიც მის აუხდენელ ოცნებად დარჩა. სამაგიეროდ, ბედნიერი იყო იმით, რომ სანუთროსაგან დათვლილ წა-



ქართული სამზარეულოს კერძები და სასმისები

მებს „ქართული ზღაპრებისა“ და „ქართული სამზარეულოს“ გერმანელ თანამემამულეთათვის გაცნობის საქმეს ახმარდა.

1974 წლის ოქტომბერში, როცა გერმანულად ნათარგმნი „ქართული ზღაპრების“ წიგნი გამოვიდა, მისი გაყიდვიდან შემოსული თანხა გერმანიის კიბოს კვლევით ინსტიტუტს გადაერიცხა“ (შარაძე 1991:490-493).

„ახლახან ჟურნალმა „მოისმინეთ“ ჩვენი ზღაპრების გარეკანი ფერებში გამოაქვეყნა და თან კარგად აწერია. ამ ჟურნალის ტირაჟი კვირაში ერთი გამოცემით არის 4 მილიონი ცალი. ასე რომ, რამოდენიმე გერმანელმა წაიკითხა ცოტა რამე კარგი ქართული ზღაპრების წიგნზე და საქართველოზე. ლილის და ჩემი მიზანიც ეს არის - და ეს მიზანი იყო ულისიც. ამით ჩემი დედის გულსაც ვახარებ, რომელიც მეორე მსოფ-

ლიო ომის დაწყებიდან დაჩაგრულია“, - სწერდა გერმანისტ ვიქტორ კახნიაშვილს (**კახნიაშვილი, იტცეპოე 18.11.1993**).

უცხოეთსა თუ ჩვენში დიდი გამოხმაურება მოჰყვა „ქართული სამზარეულოსა“ და „ქართული ზღაპრების“ გამოცემას, რომლებზეც მრავალი საგაზეთო სტატია თუ პირადი წერილები მოგვითხრობენ:

„დიდად პატივცემულო ბატონო ნიკოლოზ!

დიდ მადლობას მოვასხენებ „ქართული ზღაპრების“ გერმანულ ენაზე გამომცემლებს ამ წიგნის გამოგზავნისათვის. მშვენიერი გამოცემაა.

გისურვებთ შემდგომსა და შემდგომ წარმატებას. ამასთანავე გაახლებ ჩემს მიერ უკანასკნელად გამოცემულ წიგნს.

მადლობით, ა. შანიძე  
(თბილისი. 19.IX.75).”

„...ჩვენი „ქართული ზღაპრების წიგნები“ ქალაქ ჩიკაგოში იყიდეს და ყველას მოსწონს. ეს იყო და არის პატარა საჩუქარი საქართველოს და ქართველი ხალხის, რომელშიდაც ჩვენი საყვარელი დედის მოთმენა, ცდა, ჯავრი, თბილი ცრემლები ურევია და სიყვარული!“ (**ჯანელიძე, იტცეპოე 20.10.1975**).

როდესაც კითხულობ ნიკოლოზ ჯანელიძის მოგონებებს, მის და მასთან მოწერილ წერილებს, აშკარად ხედავ საოცარ ადამიანური ღირსებით შემკულ პიროვნებას, მის მაღალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას.

ქართველი ხალხის მაღლიერების გამოხატულებაა და მრავლისმთქმე-

ლია ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის პროფესორ დავით ჩხიკვიშვილის წერილი:



Lidia Pape-Gegelaschwili  
und Sohn Ulrich, 1972  
Foto: Sylvia Grunwald-Damek

ულრის პაპე  
დედასთან ლილი  
პაპე-გეგელაშვილთან  
ერთად

„დიდად პატივცემულო ბატონო ნიკოლოზ!

მივიღე თქვენი წერილი და შესანიშნავად გაფორმებული ორი წიგნი გერმანულ ენაზე („ქართული ზღაპრები“ და „ქართული კულინარიის წიგნი“), - გამოცემული თქვენი გამომცემლობის მიერ, რისთვისაც გიძღვნით დიდ მადლობას.

დიდი სიამოვნებით გავეცანი თქვენს მეტად ნაყოფიერ საქმიანობას ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით. თბილისის პრესაში ხშირად იბეჭდება ცნობები თქვენი მოღვაწეობის შესახებ. დიდი მწუხარებით შევიტყვე თქვენი უშუალო თანამოსაქმის ქ-ნ ლილი პაპეგეგელაშვილის უდროოდ გარდაცვალების ამბავი. მიიღეთ ჩემგან ღრმა სამძიმარი ასეთი მძიმე დანაკლისის გამო.

ბ-ნო ნიკოლოზ! გიგზავნი ჩვენი უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ახალ წიგნებს. ვიმედოვნებ, რომ ეს გამოცემები გარკვეულ დახმარებას გაგიწევთ თქვენს მრავალმხრივ საქმიანობაში.

დ. ჩხიკვიშვილი (თბილისი, 1976 წლის 4 ნოემბერი)“.

ამ წერილს თან ახლდა ნიკოლოზ ჯანელიძის მინაწერი, რომელშიც დედას ატყობინებდა: „გუშინ ეს წერილი მივიღე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ დ. ჩხიკვიშვილისაგან. რომ, იცოდეთ რა გაუხარდებოდა ჩემს ლილის და რა ამაყი იქნებოდა იგი ყოველი სიტყვისათვის! ეს არის პირველი წერილი, რომელიც ლილის გასვენების შემდეგ მივიღე და ავტირდი. ძალიან დავეცი სულიერად. ბრონქები მქონდა და ცუდად ვიყავი. მინდა თებერვლის თვეში განსაკუთრებული მკურნალობა მივიღო. თბილისიდან 12 სამგლოვიარო დეპეშა მივიღე. ლილი სამოსახლოში ანგელოზს ჰგავდა თავის ლამაზი, კეთილშობილი სახითა და ხუჭუჭა ჟღალი თმით.“

მძიმე, ძალიან მძიმე იყო შვილმკვდარი დედის ტანჯული ცხოვრება. ლილი პაპეგეგელაშვილი შვილის დაკარგვიდან სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა. ეს წლები ცოცხლობდა მხოლოდ იმისათვის, რათა სამშობლოს წინაშე ვალი მოეხადა.

და, როგორც ნიკოლოზ ჯანელიძე მისი დისშვილის - ნანა ბრეგვაძისა და სიძის - ლევან ჩხეიძისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა: „მე პირადად ვათრევ სიცოცხლეს ცხოვრებაში ხან ისე და ხან ასე. სურვილი მრავალი და დიდი მაქვს: ჩვენი ლამაზი სამშობლო საქართველო მეტი ცნობილი იყოს ევროპაში!



ლილი პაპე-გეგელაშვილის საფლავი იტცეპოეში

ჩემი და ლილის შედგენილი „ქართული სამზარეულოს ნიგნით“ ავალაპარაკეთ მრავალი გერმანული გაზეთი და ახლა ამერიკაშიც შევდივართ! წერილები მოგვდის მოქალაქეებიდან: „გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ასწლიანი ქართული სამზარეულოს ნიგნი“-ო!

ახლა ტელევიზიაც მოგვადგა და ეს იყო ჩვენი მიზანიც. ყურნალისტებს ვერ ვიცვილებთ სახლიდან. საწყალი ლილი სულ ქართული საჭმელების მზადებასა და ხარშვაში არის, რომელსაც ფერად ფერებში იღებენ და გაზეთებში ბეჭდავენ“ **(ჯანელიძე, იტცეპოე 5.07.1975).**

ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობის მსახურნი მიუხედავად მძიმე მატერიალური მდგომარეობისა, მაინც ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ქართული კულტურის, ლიტერატურისა და მუსიკის წარმოსაჩენად.

„მიხარია და ამაყიც ვართ იმით, რომ შვეციის კვირეულმა ყურნალმა ლილის და ჩემი სურათი გამოაქვეყნა ფერებში 20/30 სმ. სიდიდით და თარგმნიან „ქართულ სამზარეულოს“ ნიგნს შვედურ ენაზე. ამითაც საქართველოს საშვილიშვილო საქმეც გაუკეთეთ. ზღაპრებით კი ყველანი გახარებულები არიან“; – სწერდა დედას (ჯანელიძე, იტცეპოე 10.01.1973).

ნიგნების გამოცემა თითქმის არავითარ შემოსავალს არ აძლევდათ. მათი უმრავლესობა საქართველოში საჩუქრად იგზავნებოდა, რომლებსაც ლეზულობდნენ საყვარელი მასწავლებლები და სკოლის მეგობრები, როგორც თვითონ უწოდებდა „ძველი სამტრედიელები“.

„ჩემო დიდად საყვარელო ტკბილო დედიკონა!

...ზღაპრების ნიგნით ყველანი გახარებული არიან. მე საშა გელეიშვილსაც ერთი ზღაპრების ნიგნი გამოვუგზავნე, იმედია მიიღებს. თბილისში კი უნდა დავუგზავნო 25 პროფესორსა და რედაქციებს. მრწამს შენც გაგიხარდება შენი შვილი ასე რომ შრომობს“ (ჯანელიძე, იტცეპოე 10.01.1975).

„კეთილი სურვილებით ჩემს მასწავლებელს, ქალბატონ ფენია ქართველიშვილს!

ძველ სამტრედიიაში და ძველი სამტრედიის მცხოვრებთ - ბედნიერება, ჯანმრთელობა და მხიარულება.

ამ სტრიქონების წერის დროს ვფიქრობ ჩემს დაუვიწყარ დედის ამაგის ტოლ - ჩემს მასწავლებელზე, რომელსაც მამიდასაც ვეძახდი, ქალბატონ შუშანა ამბაკოს ასულ ქართველიშვილზედაც. ღმერთმა ინებოს თქვენი მრავალჟამიერი.

გულთბილი პატივისცემით,  
თქვენი ნიკოლოზ (კოლია) სილოვანის-ძე ჯანელიძე,  
ძველი სამტრედიელი - ამჟამად დას. გერმანიაში.“

„ქართული ზღაპრების“ თავფურცელზე იქვე შემდეგი წარწერაცაა: „ჩემი დედ-მამის და ჩემი სამშობლოს სიყვარულმა და პატივისცემამ გამომაცემინა ეს ნიგნი უცხოეთში, რათა გერმანელებისათვის მეჩვენებინა ის კეთილი, რაც ქართულია! ლილი პაპე-გეგელაშვილთან ერთად“ (ჯანელიძე, იტცეპოე 1.07.1975).

რაც შეეხება იმავე მასწავლებელზე გამოგზავნილ „ქართული სამზარეულოს“ წიგნს, მასზე ასეთი მინაწერია: „ქალბატონ ჟენია ქართველიშვილს დიდი პატივისცემით.

ლილი პაპე-გეგელაშვილმა და მე ვცადეთ ქართული სამზარეულოს კერძების თარგმნით და გამოცემით კარგი სახელი მოგვეხვეჭა ქართველი დიასახლისებისათვის. ამას ჩვენ ევროპაში მივალწიეთ. იცოცხლეთ, გაგიმარჯოთ!

თქვენი ნიკოლოზ ჯანელიძე. 8.5.1982 წ.“

1976 წელს გამომცემლობა „საქართველოში“ გერმანულ ენაზე დაიბეჭდა ქართული პატარა მოთხრობები: ვაჟაფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი“ - თარგმანი ლუცია ქურდიანისა. „ბუნება“ თარგმნილი ლილი პაპე-გეგელაშვილისა და ნიკოლოზ ჯანელიძის მიერ.

ილია ჭავჭავაძე - ნაწყვეტი „გლახის ნაამბობიდან“ „მონადირე“ - თარგმნილი ლილი პაპე-გეგელაშვილისა და ნიკოლოზ ჯანელიძის მიერ.

მოთხრობების ამ წიგნს ლილი უძღვნოდა დებს თინას, თამარს, შვილიშვილს -კლაუდია-თამარ პაპესა და მეგობრებს.

1983 წელს ისევ იტცეჰოეს გამომცემლობა „საქართველოში“ გერმანულ ენაზე გამოიცა „დედა ენა“, რომელიც ი.გოგებაშვილის მიხედვით იყო შედგენილი და ქართული ენის შემსწავლელ სტუდენტთათვისაა გამიზნული. მის შედგენაში ნ. ჯანელიძესთან ერთად მონაწილეობდნენ კილის უნივერსიტეტიდან ულრიკ იუნგი და ჰანს ჰაინრიჰ ნიმანი.

წიგნს წამძღვარებული აქვს ნიკოლოზ ჯანელიძის შემდეგი სიტყვები გერმანულ ენაზე: „თუ ერთი დიდი ძლიერი ერი სხვა პატარა ერების დედა ენას ავიწროვებს და ზღუდავს, მაშინ ის თავის დედა ენასაც პატივს არ სცემს და აბილწებს“.

ამით ნიკოლოზ ჯანელიძემ ერთგვარი პასუხი გასცა 1978 წლის გაზაფხულზე საქართველოში მიმდინარე პროცესებს, რომელიც რუსული ენის ძალისმიერ მოხვევასა და საქართველოში რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების მცდელობასთან იყო დაკავშირებული.

სამტრედიაში საჩუქრად გამოგზავნილ „დედა ენის“ ნიგნზე ნიკოლოზს დაუწერია: „ჩემს დიდ საყვარელ და სანატრელ დედიკონას: ივდითი ბასილის ასულ ბაღდავაძე-ჯანელიძეს.“

„მიყვარს მე ენა ჩემი მშობლისა,  
რომლითაც ნანას მეტყოდა  
დედა!“

„ჩემო დედავ, შენ ჩამინერგე -  
ქართული ენის სიყვარული,  
შენ ტკბილი ენის საუბარით  
და, აი, ამან ნაყოფი კეთილიც  
გამოიღო!“

გკოცნი ბევრს, შენი შვილი  
კოლია სილოვანის ძე ჯანელიძე  
1 ივნისი. 1983 წ.“

„დედა ენის“ ნიგნში გარდა ისტორიული ნარკვევისა „არგონავტებიდან დღევანდელ დღემდე“, ჩართული იყო საქართველოს რუკა და პირველი ქართველი მეფის ფარნავაზის სურათი, რომელიც ნ. ჯანელიძემ დასავლეთ გერმანიაში ღია საფოსტო ბარათების სახითაც გაავრცელა.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1966 წელს შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილის ღირსეულად აღნიშვნაში თავისი წვლილი შეიტანა ემიგრანტმა ნიკოლოზ ჯანელიძემაც. ამ თარიღთან დაკავშირებით მან ჰამბურგის უნივერსიტეტში მოაწყო საგანგებო გამოფენა და საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი დასავლეთ გერმანელი მეცნიერები: ჰ. ბრაუნი, ბ. შპულერი, ი. ასფალგი და სხვ.

იმავე წელს ჰამბურგში გერმანულ ენაზე გამოიცა ამ ღონისძიების ამსახველი მასალების კრებული, რომლის შესავალი წერილი ეკუთვნის ა. ვიგერს. მთელი ნიგნი ილუსტრირებულია.

კრებულში ასევე შესულია ლილი პაპე-გეგელაშვილის მიერ გერმანულ ენაზე გადათარგმნილი ირაკლი აბაშიძის



ლექსი „რუსთაველის ნაკვალევზე“ (თავისუფალი თარგმანი).

1984 წელს ნიკოლოზ ჯანელიძემ გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ შემოკლებული გერმანული პროზაული თხრობა, რომელიც მას შესრულებული ჰქონდა განსვენებულ ლილი პაპე-გეგელაშვილთან ერთად ასეთი სათაურით: „Itgeorgisches epos der Recke im Tigerfell von Schota Rustaveli“.

„ლილი პაპე-გეგელაშვილი და მე დიდი სიფრთხილით და გულმოდგინებით ვამზადებდით მოკლე პროზაულ ტექსტს, რათა აღგვეძრა გერმანელი მკითხველის ცხოველი ინტერესი, წაეკითხათ მისი ცნობილი თარგმანები, განმტკიცებულიყო გერმანულ-ქართული მეგობრობის ტრადიცია და საერთოდ, მცირე წვლილი შეგვეტანა ხალხთა ურთიერთგაგების დიად საქმეში“, - აღნიშნავდა ანოტაციაში. „ნიგნისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში კილის უნივერსიტეტის პროფესორი ჰანს-ჰაინრიხ ნიმანი მიმოიხილავდა რა ქართველი ხალხის კულტურას, მის თავისთავადობასა და თვითმყოფადობას, იგი საბოლოოდ ასკვნიდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეების ქართული კულტურის მწვერვალია. ამასთან ის არის მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ქვაკუთხედი“ (**„ნიგნის სამყარო“ 1984:8**).

„ვეფხისტყაოსნის“ შემოკლებული თარგმანი ქართველმა ემიგრანტმა საჩუქრად მსოფლიოს გამოიჩინილ მოღვაწეებს მიართვა, მათ შორის რომის პაპს.

პაპის სახელით მას ვატიკანის სახელმწიფო სამდივნომ მადლობის წერილი გამოუგზავნა მინანქრებითა და პაპის სურათით:

„სახელმწიფო სამდივნო ვატიკანიდან, 19 ივნისი, 1984 წ.

დიდად პატივცემულ ბატონო ჯანელიძე! სახელმწიფო სამდივნო ადასტურებს თქვენი საყურადღებო წერილისა და მასთან ერთად გამოგზავნილ „ვეფხისტყაოსნის“ პატარა ტომის მიღებას. წმინდა მამა გულითად მადლობას გიძღვნი ამ კავშირისა და პატივისცემისათვის და გულწრფელად გთავაზობთ ღვთისმფარველობასა და მის ბრძნულ წინამძ-

ღვრობას თქვენი ცხოვრების მომავალ გზაზე.“

ამის თაობაზე ნიკოლოზ ჯანელიძე წერდა: „რომის პაპმა, აი, მადლობის წერილიც მოგვწერა. რომის პაპს ვთხოვეთ საშობაო და სააღდგომო დღესასწაულებზე მისალმების დროს ქართულ ენაზეც მისალმებოდა ქრისტეს მორწმუნეებს. რომის პაპმა ჩვენი სურვილი შეგვესრულა და ქართულ ენაზეც ესალმება ვატიკანის ქრისტიანებს.“

ნიკოლოზ ჯანელიძის ლიტერატურული მოღვაწეობის ნუსხაში შედის ასევე „გერმანულ-ქართული სასაუბრო“. მისივე მხარდაჭერითა და დახმარებით „გერმანულ-ქართული“ და „ქართულ-გერმანული“ სასაუბრო გამოსცა მისმა სტუდენტმა ვოლფგანგ ლანგემ.

მისი დაუღალავი ღვაწლი „ორი ქვეყნის მეგობრობის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის“ 1983 წელს ალბერტ შვაიცერის სახელობის მშვიდობის მედლით აღინიშნა. „ნიკოლოზ ჯანელიძე იყო პირველი ქართველი, რომელმაც გერმანულ-ფრანგი მოაზროვნის, მუსიკათმცოდნის, ორგანისტის, მისიონერის, ფილოსოფოსისა და ფილოლოგიის დოქტორის პრემია მიიღო.“ მედლის გადასაცემად იტციჰოეში ჩავიდა რომის პაპის წარმომადგენელი, რომელმაც ჯილდო პირადად გადასცა და მიულოცა.

გერმანიაში მოღვაწე ქართველმა პატრიოტმა, მთარგმნელმა და გამომცემელმა ნიკოლოზ ჯანელიძემ მთელი მისი საქმიანობის კრედიო ლაკონურად ასახა გერმანულ ენაზე დანერვილ ლექსში „ჩვენ და ილია“:

„უცხო ცის ქვეშ ვეხეტები,  
ბედის ლახვრით დალახვრული,  
მასულდგმულებს საიდუმლო,  
ჩვენს ენაში დამარხული.  
ქართულ სტამბის გამართვაზე  
ჩემი ღონე დაილია...  
გოეტეს ხალხს გავაცანი  
ნინო, შოთა და ილია.  
მე მდიდარი არ გახლავართ -

წლები ჯაფით დაილია...  
მთელი ჩემი სიმდიდრეა  
საქართველი და ილია.“

(თარგმანი აკაკი გელოვანის)

მთარგმნელობითსა და საგამომცემლო საქმიანობასთან ერთად იგი ასწავლიდა ქართულ ენას ჯერ ჰამბურგის, შემდეგ კი – კილის უნივერსიტეტში.

თავდაპირველად ჰამბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრა კიტა ჩხენკელმა ჩამოაყალიბა, რომელსაც წრუსული ენის კურსის ხელმძღვანელობა ჰქონდა დავალებული.



ალბერტ შვაიცერის პრემიის ლაურეატი  
ნიკოლოზ ჯანელიძე და ედელტრაუდ შუკარტი

ბული. აქ დაიბადა სხვა გეგმაც: „მისაწვდომი გაეხადა კიტა ჩხენკელს დასავლეთ ევროპელთათვის ქართული ენა, რომლის ორიგინალური აღნაგობა უკვე დიდი ხანია ინტერესს იწვევდა ზოგად ლინგვისტიკაში და ამით გაეხსნა კარი მდიდარ მწერლობასთან მისასვლელად, რომელიც შორეულ წარსულამდე მიდის“ („კავკასიონი“ 1964:159).

1943 წელს ჰამბურგის დაბომბვის შემდეგ კიტა ჩხენკელი ბერლინში ჩავიდა და ომის დამთავრებისთანავე ციურისში გადასახლდა. სწორედ, მას შემდეგ ჩაუდგა სათავეში

ნიკოლოზ ჯანელიძე ჰამბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის შემსწავლელ კურსებს, სადაც პროფესორ შპულერთან დაიწყო მუშაობა ენათმეცნიერების კათედრაზე. „მას წელიწადში 10-მდე მოსწავლე ჰყავდა. მათ შორის იყო ვინფრიდ ბოედერი, რომელიც პროფესიით ანგლოლოგი გახლდათ. მას ქართული ენობრივი სამყაროსადმი დიდი ინტერესი ნ. ჯანელიძემ ჩაუწერგა და ისიც ცნობილი ქართველოლოგი გახდა.“

„ჩემო საყვარელო დედიკონა, ბოდიში რომ გრძელ წერილს ვერ გწერ. ორი მოხსენება უნდა ჩავატარო სალამოობით უნივერსიტეტში და დღედაღამე ვმუშაობ, რომ კარგად გავაგებო ხალხს ჩვენი კულტურა გერმანულ ენაზე“ **(ჯანელიძე, იტცეპოე 13.11.1977).**

როგორც აღვნიშნეთ, იგი ლექციებს კილის უნივერსიტეტშიც კითხულობდა, ამის შესახებ დედას წერდა: „ახლა ისევ კარგად ვარ! სწორედ დილის 5 საათსა და 25 წუთზე მატარებელში ჩავჯდები და ქალაქ კილის უნივერსიტეტი-საკენ გავემგზავრები“ **(ჯანელიძე, იტცეპოე 10.01.1975).**

კილის უნივერსიტეტში ქართული ენა შეასწავლა ბასკ სტუდენტს პილარსა და ამერიკელ ჯონ პეტერსონს.

უნივერსიტეტებში ქართული ენის სწავლებისათვის მხოლოდ გზის ხარჯებს უნაზღაურებდნენ, მაგრამ ის მაინც შეუპოვარი თავდადებით განაგრძობდა საქართველოსათვის სასარგებლო საქმიანობას.

„დღეს ქართულმა ენამ ფართოდ მოიკიდა ფეხი უცხოელებთან, - წერდა ნიკოლოზ ჯანელიძე. - ეს მითხრა ტიუბინგენის უნივერსიტეტის ორიენტალისტმა, რომელსაც ლიუბეკის ორიენტალისტთა მე-18 კონგრესზე შევხვდი“ **(„სამშობლო“ 1974).**

იგი ყველგან წარმართავდა ქართული ენის კურსებს, სადაც კი საშუალება მიეცემოდა. დიდი პედაგოგიური ოსტატობითა და ორატორული ნიჭით ახერხებდა საქართველოს სიყვარულის მსმენელთათვის გადადებას.

„გუშინ სალამოს მქონდა მოხსენება საქართველოზე ერთ

უბანში, სადაც 65 მსმენელი მესწრებოდა. საათნახევარი დამჭირდა დროით, რომ აუდიო სურათები საქართველოს ბუნებისა და კულტურის შესახებ მეჩვენებია.



ნიკოლოზ ჯანელიძე კილის უნივერსიტეტის სტუდენტებთან პილართან და ჯონ პეტერსონთან ერთად

მადლობა ღმერთს, რომ შემეძლო ფიზიკურად ასეთი მოხსენების ჩატარება. ფეხზე დგომა მთელი ხნის განმავლობაში ვერ შეეძელი და დამჯდარი ვიყავი.

დიდი ტაშით დამაჯილდოვეს და გაუხარდათ, რაც მოუყევი საქართველოზე. ამით მეც კმაყოფილი და გახარებული გავხდი...“ (ჯანელიძე, იტცეპოე 27.09.1986).

მის დამსახურებასა და აღიარებაზე მეტყველებს ჰამბურგის უნივერსიტეტის პრეზიდენტის, პროფესორ ფიშერ-აპელის მიერ 1986 წლის 31 იანვრით დათარიღებული მისალოცი ადრესი:

„დიდად პატივცემულო ბატონო ჯანელიძე!

გულწრფელად გილოცავთ აკადემიური სენატისა და პირადად ჩემი სახელით დაბადების 65 წლისთავს. ვსარგებლობ ამ შემთხვევით და უნივერსიტეტის სახელით მადლობას გიცხადებთ თქვენი მრავალწლიანი სასარგებლო კვლევით-სათვის, რამაც თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანა სტუდენტებსა და საერთოდ, მეცნიერებას, ხალხთა მეგობრობის დიდ საქმეს. მიიღეთ ჩემი კეთილი სურვილები თქვენი შემდგომი პირადი კეთილდღეობისათვის.

მადლიერი, ფიშერ-აპელი.“



ნიკოლოზ ჯანელიძე გერმანელ მსმენელებს ესაუბრება საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე

„ჩემო დიდათ საყვარელო ძვირფასო დედა!

მე გუშინ დავბრუნდი 20 დღიანი შვებულებიდან. ბინაში შვეიცარიიდან წერილი დამხვდა. მეკითხებიან „თუ მსურს ქართული ენა ქალაქ ბაზელში ვასწავლო“. აბა, ეს კი შორს არის...“ (ჯანელიძე, იტცეპოე 1.01.1978).

საქართველოზე ფანატიკურად შეყვარებულმა მამულიშვილმა სამშობლოთი სტუდენტთა ფართო წრე ისე დააინტერესა, რომ ბევრი მათგანი ქართული კულტურის ღრმად გასაცნობად ტურისტებადაც ჩამოდიოდნენ.

ერთხელ ასეთი მარშრუტით ჩამოსულ ტურისტებს თურმე ნიკოლოზმა დედასთან საჩუქარი გამოატანა და თან თხოვა: „მის მოლოდინში ჭიშკართან მდგომ დედისათვის სურათები გადაეღოთ“. ეს საბჭოთა დაზვერვისათვის ცნობილი გამხდარა. სამტრედიაში შემოსულ ტურისტების ავტობუსს მაშინვე კ.გ.ბ თანამშრომლები ადევნებიათ. შეშინებულებს გზა არევიათ და ქუთაისის ქუჩის ნაცვლად თურმე კულაშში ამოუყვიათ თავი.

წლების შემდეგ, როცა შვილის ნატრული დედა - ივდითი ჯანელიძე გარდაიცვალა და ემიგრაციაში მოღვაწე ნიკოლოზის დიდი ქართული საქმიანობის ამბები მთელ სამშობლოს მოეფინა, მაშინ კ.გ.ბ. იმ თანამშრომელთაგან ერთ-ერთს სინანულით უთქვამს: „ამ ცხოვრებას რა ვუთხრა, ამდენი ხნის უნახავ დედა-შვილის პატარა სურვილსაც, რომ წინააღმდეგობას გაუწევ და არ უთანაგრძნობ... ეჰ, ასე პატარა კაცად არასოდეს მიგრძენია თავი.“

გერმანიაში ქართული კულტურის წარმოჩენისათვის მრავალმხრივ მუშაობასთან ერთად, ნიკოლოზ ჯანელიძე გერმანელ და ქართველ ხალხს მრავალ მეგობარსაც სძენდა. ამ მხრივ საინტერესოა გერმანისტ ვიქტორ კახნიაშვილისათვის გაგზავნილი წერილი: „აქაური იტცეპოელები აღტაცებული დაბრუნდნენ საქართველოდან. ყველანი გაქებენ. გაზეთმაც დაბეჭდა წერილი. ქალბატონმა ბრიგიტმა გადმომცა თავისი აღწერილი შთაბეჭდილება. ეს ლილის ძალიან გაუხარდა და მოეწონა. ლილი სულით და გულით კეთილ სურვილებს გიგზავნის. ახლა სახლში არის. ხვალ მისი ულის

გარდაცვალების დღეა და წარმოიდგინე თუ რა განცდებში არის“ (კახნიაშვილი, თბილისი 1.08.1975).

„გუშინწინ პროფესორმა ბოედერმა დამირეკა, თქვენთვის ნიგნი გამოუგზავნია. გთხოვთ მასთან მიმონერა განაგრძოთ, დიდი ერთგული მეგობარია ჩვენი ხალხისა და რა კარგად წერს ქართულს, არა? ეს არის ჩემი სიხარული და მოკრძალებული სიამაყე, რომ საქართველოს ასეთი მეგობრები შევძინე...“ („ნიგნის სამყარო“ 1976).

ამ მხრივ საყურადღებოა პროფესორ ნოდარ კაკაბაძის წერილი: „ბატონი ნიკოლოზი თითქმის ყოველ ზაფხულს მიგზავნიდა თავის მოწაფეებს, რომლებიც მასთან ქართულს სწავლობდნენ და თან ჩემთან ნობათებს ატანდა. ესენი საქართველოზე შეყვარებულები არიან. ზოგიერთ მათგანს დავასახელებ: როზმარიი კულინგ - ლიჩქე, რობერტ გერკენი, ვილი ბარტელსი, ასტრიდ დირსი, ვერნერ კლინგენ-



ნიკოლოზ ჯანელიძის დედა – ივლითი ბაღდავაძე

ბერგი, ცოლ-ქმარი ლუდვიგ და ბერიტ ვოორტმანები... მოკითხვას მითვლიდა აგრეთვე ბატონი ნიკო საქართველოში ტურისტებად გამოიმგზავრებული თავისი იტცეჰოელი და საერთოდ ჰოლშტაინელი მეგობრების პირითაც. ასე გავიცანი ბატონ ნიკოს პირადი ექიმი ზიგფრიდ ვიტენბერგი და მისი მეუღლე, ცოლ-ქმარი გერტრუდ და ჰუგო გლოიერები,



როლფ და ირინე ტირეზერები, მარლის იესულატ-კასპერი, ლუთერანული მღვდელი, პასტორი ერიკ შურბომი და მრავალი სხვა...“ (**ქართული ფილმი“ 1990:4**).

„ჩემო დიდად საყვარელო, ტკბილო დედიკონა!

მომავალ კვირას ჩემი სტუდენტის - პროფესორ ვინფრიდის ცოლი - დორისი მოვა ლილისთან და ჩემთან. წაგვიყვანს მასთან და გვაჩვენებს თუ რა ისწავლა თბილისის უნივერსიტეტში და რა მეცნიერულ შრომებს ახლა ის ქართული გრამატიკის ირგვლივ წერს. იქ დავრჩებით 2-3 დღე და თვითონ თავისი ავტოთი უკან მოგვიყვანს“ (**ჯანელიძე, იტცეპოე 10.01.1975**).

ამბობენ, მეცნიერება და ხელოვნება ადამიანისაგან მოითხოვს მთელ მის ცხოვრებასო. ნიკოლოზ ჯანელიძემ გერმანიაში მთელი თავისი სიცოცხლე ქართული კულტურის, ქართული ენის, ქართული ხელოვნების ამ ერისათვის გაცნობის საქმეს შეაღია.

იგი ნახევარი საუკუნე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გერმანიაში. რასაც შოულობდა გამომცემლობა „საქართველოში“ წიგნების ბეჭდვის საქმეს ახმარდა. უსახსრობის გამო მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხა თავისი თარგმანების გამოქვეყნება, რაზეც პროფესორ ალექსანდრე ლლონტს ერთ-ერთ ეპისტოლეში სწერდა:

„დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე!

თქვენი ჩემდამი დავალება და ნდობა ეს დიდი საპატიო საქმეა ჩემთვის და საამაყო. წიგნის მბეჭდავ ფირმებს დავურეკე, ისინი სავსე არიან სხვადასხვა დაკვეთებით 5 წლის განმავლობაში.

აქ სტამბის წიგნის მბეჭდავები უდიდეს ხელფასსა და ჯამაგირს ღებულობენ, რაც აძვირებს წიგნებისა და ჟურნალების გამოცემას.

მე მინდოდა აქ ახალი ჩემი ნათარგმნი ზღაპრების გამოცემა, მაგრამ როგორც აღვნიშნე დაბეჭდვა ძალიან ძვირია. ასევე მზად მაქვს ნ. დუმბაძის „სოფლელი ბიჭი“, მაგრამ სიძვირის გამო გამოცემა არ შემიძლია და დევს თაროზე.

ასეთია აქეთ მდგომარეობა, რის შედეგაც ძნელი იქნება

„დედა ენის“ გამოცემა, რის გამოც ძალიან დაჯავრიანებული ვარ.

ვწერ ამ წერილს და თან ტელევიზორში ვუცქერ ლეილა მესხის ჩონგბურთის თამაშს. დიდი მიღწევით თამაშობს. გულს მიკლავს, რომ აცხადებენ: „საბჭოთა რუსი“. მიკვირს რატომ არ აცნობენ თავიანთ თავს, როგორც „საბჭოთა ქართველი?“

დანერილი მაქვს და აწყობილი ორი ნოველა გერმანულ ენაზე, მაგრამ გამოცემა მიჭირს. ყველაფერ ამას იმის გამო გწერთ, რომ ძნელია გამოცემა. „ჩემი სამზარეულო“ და „ზღაპრების წიგნი“ დაახლოებით 10 წლის წინ გამოვეცი, მაშინ ცოტა იაფობა იყო დაბეჭდვა და არა ისეთი გადაჭარბებული, როგორც ახლას!“ (**ჯანელიძე, იტცეპოე 10.05.1990**).

იგი ხელს უმართავდა და თანადგომას უცხადებდა ყველას, ვინც ქართულ-გერმანულ კულტურულ ურთიერთობას ემსახურებოდა: „პირადად მან გამომიგზავნა ანდრეას გრიფიუსის „ქეთევან ქართველი“, რომელიც ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა თვით გერმანიაში (1663 წლის გამოცემის ფოტოპირი, 1951 წელს ჰალეში გამოცემული), ამით საშუალება მომცა მეთარგმნა ეს ტრაგედია (გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“ 1975 წელს).

ნიკოლოზ ჯანელიძემ გამოგვიგზავნა აგრეთვე ფოტოპირები კურტ შპრენგელის „მედიცინის ისტორიის“ იმ თავისა, რომელიც კოლხური მედიცინის ისტორიით იწყება (50 გვერდამდე, 1792 წლის გამოცემიდან, მედეას გამოსახულებით სატიტულო ფურცელზე), ცნობილი კლასიკური პოემა „პარციფალი“ და ბევრი რამ სხვა“, - აღნიშნავდა აკაკი გელოვანი (**„წიგნის სამყარო“ 1984:8**).

ნიკოლოზ ჯანელიძე ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა გერმანელ ერს კარგად გაეცნოთ, შეეყვარათ და ღირსეულად დაეფასებიათ საქართველო. მას ამ საქმეში ჩაბმული ჰყავდა ცნობილი ქართველი მეცნიერები: „მოკლე ხანში აქაური გაზეთი თავის ლიტერატურულ ფურცლებზე რეცენზიას დანერს საქართველოს ოქრომჭედლობის ისტორიაზე, რისთვისაც ჩვენი პროფესორის

შალვა ამირანაშვილის შრომები მივანოდეთ და „დიველტის“ რედაქცია დავაინტერესეთ. ასევე დავანერინეთ „მედიანზე“, რადგან ერთ გერმანულ წიგნში შეცდომით არის ცნობები გადმოცემული“ („სამშობლო“ 1974).

ლიუბეკის ორიენტალისტთა მე-18 კონგრესზე, ლილი პაპე-გეგელაშვილის, მისი ვაჟის ულრიხისა და ნიკოლოზ ჯანელიძის მიერ შედგენილი მოხსენება - „საქართველოში ოქრომჭედლობის ისტორიის შესახებ“ გააკეთა ამ უკანასკნელმა.

ნიკოლოზ ჯანელიძე მონაწილეობდა ასევე გერმანიის მე-20 ორიენტალისტთა ინტერნაციონალურ კონგრესზე, რომელიც 1977 წლის 7 და 8 ოქტომბერს ქალაქ ერლანგენში გაიმართა. კონგრესში მონაწილეობდნენ პროფესორები: ელენე მეტრეველი და კოტე წერეთელი, რომელთა შესახებ წერდა: „ჩემო საყვარელო დედიკონა! ბოდიში, რომ გრძელ წერილს ვერ გწერ. მალე შენ მოგწერენ პროფ. ელენე მეტრეველი და პროფ. კოტე წერეთელი თბილისითგან.

გკოცნი ბევრს. შენი შვილი კოლია“ (იტყეპოე 13.11.1977).

ქართული ოქრომჭედლობისა და ხელნაწერების შესახებ პროფესორ ელენე მეტრეველის დახმარებით ქალაქ კილის მონასტრის შენობაში ნიკოლოზ ჯანელიძემ გამოფენა მოაწყო.

ბუნებაში უმიზეზოდ არაფერი ხდება. შემთხვევითობისა და აუცილებლობის კანონის თანახმად ყველაფერი მოულოდნელად იწყება.

„1972 წელს გოსკონცერტმა პირველად მოიწვია საბჭოთა კავშირში ვედეკინდი გერმანიის თეატრალურ მოღვაწეთა ჯგუფთან ერთად. მოსკოვის შერემეტიევოს აეროპორტში 24 საათი მჯდარა, ვერ გაიგო, დაავინწყდათ დახვედრა თუ არაფრად ჩააგდეს. ხომ არ ჯობდა უკან გამგზავრებულებო. ჯიუტმა მაინც დაცდა ამჯობინა. იქნებ ეს ბედისწერა იყო. როგორც იქნა „მცირე დაგვიანებით“ მოაკითხეს. კულტურის სამინისტროში შესთავაზეს რომელიმე რესპუბლიკის ქალაქს სწვეოდნენ. ვედეკინდმა საქართველო აირჩია. ამ ქვეყანაზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, რალაც ეგ-

ზოტიკურს ეძებდა. ჩამოვიდა და, როგორც თვითონ ამბობს, გული დაკარგა.

აქ დახვდა ყველაფერი, რაზეც მანამდე ოცნებობდა: გულ-ლია, გონიერი, სტუმართმოყვარე, მხიარული, იუმორით აღსავსე, მოცინარი, ხალისიანი, მომღერალი ადამიანები - რეჟისორისთვის ჭეშმარიტი საგანძური“ („ხელოვნება“ 1998:95-101).



**მე-20 ორიენტალისტა ინტერნაციონალური კონგრესის მონაწილეები ნიკოლოზ ჯანელიძე, პროფესორები – ელენე მეტრეველი და კოტე წერეთელი. ქ. ერლანგენი. 1977 წ.**

პირველად თბილისში ჩამოსულ ვედეკინდს მასპინძლობა გაუნია კულტურის მინისტრის მოადგილემ ვახტანგ კუპრაავამ და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების უცხოეთთან კავშირის განყოფილების გამგემ ვიქტორ კახნიაშვილმა. ორთავე მასპინძელი გერმანისტები გახლდნენ, ამიტომ მათ საქართველოს სხვადასხვა მხარეებში მოგზაურობისას მეგზურობა პირადად გაწიეს. მათ სტუმრებს დაათვალიერებდნენ აფხაზეთი, აჭარა, კახეთი, ქუთაისი, გელათი, მცხეთის ისტორიული ადგილები, თბილისის შემოგარენი, ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმები.

გერმანელი რეჟისორი ესტუმრა ასევე ქართველ მხატვრებს კობა გურულს, ირაკლი ოჩიაურსა და ნათელა იანქოშვილს. შეხვდნენ ქართველ გერმანისტებს. ვედეკინდი, როგორც ვიქტორ კახნიაშვილი იხსენებს, - „სუფრასთან ქართველივით მომლხენი იყო და განსაკუთრებული აქცენტით წარმოსთქვამდა სადღეგრძელოს - „გაუმარჯოს“.

მახსოვს, ერთ-ერთ ინტერვიუში დიდმა რეჟისორმა ხმამაღლა განაცხადა: „ჩვენ ჩავრგეთ მეგობრობის ხე, რომელმაც დიდებული ნაყოფი გამოიღო. ჩვენმა შვილებმა



**ორიენტალისტთა საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეები.**

**I რიგში: არლონდ ვიგერი, დოქტორი ჰელმუტ ბრაუნი  
და პროფესორი ზერტოლდ შუულერი.**

**II რიგში: ნიკოლოზ ჯანელიძე, ლილი პაპე-გეგელაშვილი;  
1966 წ. 24 ნოემბერი, გერმანია.**

ერთად უნდა იმღერონ!“ (კახნიაშვილი, თბილისი 23.11.1973).

ამ დღიდან მოყოლებული ჰერმან ვედეკინდმა თავისი მეორე სამშობლო იპოვა, სადაც სულმოუთქმელად გაატარა 25 წელი. სწორედ აქ გაიგო მან მე-17 საუკუნის გერმანელი მწერლისა და დრამატურგის ანდრეას გრიფიუსის „ქეთევან ქართველის“ ქართული თარგმანის არსებობა.

ჰერმან ვედეკინდმა პიესა ჯერ ქართულად დადგა, შემდეგ კი იგი დასავლეთ გერმანიაში აჩვენა.

„ბალვეს 1500 ადგილიან გამოქვაბულში ამ თეატრის მოყვარულთა დასით ვედეკინდმა „ქეთევან ქართველი“ ხუთმოქმედებიან მისტერიად წარმოადგინა: პიესა საკუთარი პასაჟებით შეავსო. იქ ქართველი სოლისტებიც მიუწვევია (ცისანა ტატიშვილი, თამრიკო გვერნითელი, მარლენ ადამაძე)... გერმანელი მელომანები დაიძრნენ გამოქვაბულისკენ. ზოგიერთებმა რუკაზე მოძებნეს ბალვე, რომლის არსებობა არ იცოდნენ“ („ხელოვნება“ 1998:95-101).

ნიკოლოზ ჯანელიძე აღფრთოვანებული იყო ვედეკინდის საქართველოსთან ურთიერთობით და მისი პარიტეტული თანამშრომლობით, ზაარბრიუქენისა და თბილისის დაძმობილებით...

„აქაურმა გაზეთებმა კარგად მოიხსენიეს ვაგნერის პრემიერა თბილისში და ხუროთმოძღვრების გამოფენა. ახლა გვსურს, ზაარბრიუქენის ტელევიზიას მივწეროთ, რომ „დაი-სი“ აქ მთავარი პროგრამით აჩვენონ“, - სწერდა ნიკოლოზ ჯანელიძე ახლობლებს.



ჰერმან ვედეკინდი სტუმრად კობა გურულის სახელოსნოში.  
მარჯვნიდან: ჰერმან ვედეკინდი, ვიქტორ კახნიაშვილი,  
ვედეკინდის თანმხლები პირნი მოსკოვიდან.

მაღე მათი ურთიერთობაც შედგა: „გამოფენისთვის ვემზადებოდი, როცა ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. შევწუხდი, რადგან ხშირად რეკავენ. მე კი ფილტვების ანთების შემდეგ ბევრი ლაპარაკი მიჭირს. ავიღე ყურმილი და მესმის: „ვედეკინდი!“ ლამის დავმუნჯდი: „ბატონი ვედეკინდი? ჰერმანი? „მე ვარ. იტცეჰოეში ჩამოვედი, შვილი მიხაელი მახლავს, იმას თავისი შვილი“... კიდევ უფრო ამაღლდა ჩემს თვალში საქართველოს დიდი მეგობარი.



**I რიგში: კობა გურული, ჰერმან ვედეკინდი, პატარა ლელა კახნიაშვილი. II რიგში: ვიქტორ კახნიაშვილი**

ვისაუბრეთ, ვსვით ყავა, ხან შამპანური. გამოფენა თავისი საზეიმო სიტყვით დაამშვენა... იქ სადაც უნინ ერთი მეორეს გერმანელი მთავრები ხვდებოდნენ, ერთმანეთს გადავეხვიეთ საქართველოს ორი მეგობარი - გერმანელი და ქართველი...

ბევრი ილაპარაკა „ქეთევან ქართველის“ თარგმანზე, თავის დადგმაზე, ჩემზე და სხვა ქართველ მეგობრებზე, პატივით ახსენა რეჟისორი რობერტ სტურუა. თვითონ ჰქონია ქართული მუზეუმი ტრირთან. იქაც მოაწყობს გამოფენას... მთელი ღამე მე, ჰერმანი, მისი შვილი და შვილიშვილი, ჩემი

მეგობარი ქალი ტკბილად ვსაუბრობდით საქართველოზე. შევექცეოდით მუკუზანს, საფერავს და სულგუნს - მართალია ცუდს, მეგრულივით კარგი სად არის. ეს იყო მართლაც ისტორიული შეხვედრა, რადგან ჰერმანი დიდია. მზის ძალამ იტყეპოეში მომიყვანაო“ - თქვა, - მზეაო საქართველოს ხალხის მშობელი“ („თბილისი“ 1982:3).

ნიკოლოზ ჯანელიძე ყოველთვის ადამიანში ადამიანს ეძებდა. და ამ ორმა ადამიანმა ერთმანეთი იპოვეს, რომელთაც საქართველოს სიყვარული ასულდგმულეზდათ.

და, როგორც ვედეკინდი ხუმრობით ხშირად ამბობდა: „უკურნებელი სენი შემეყარა. მას საქართველოს სიყვარული ჰქვია და, რაც მთავარია, ძალიან სასიამოვნო და გამაბედ-ნიერებელი სენია“.



ქეთევან ნამებულის ხატი. ქიმ 10063 F763.



ჰერმან ვედეკინდს სოფელ კირფბოირენში ქართული მუზეუმი და პატარა სცენა ჰქონდა, სადაც იმართებოდა ქართული საღამოები.

ეზოში პატარა ეკვდერს ირაკლი ოჩიაურის ჭედურობა ამშვენებდა, რომელიც კირფბოირენში ყოფნისას გააკეთა.

შემდეგ ვედეკინდი თავის სოფელ ვედერნში გადასახლდა. მის ეზოში დღესაც დგას მერაბ ბერძენიშვილის მიერ გაკეთებული და ჰერმანის უსაყვარლესი გმირი ქალის ქეთევან წამებულის ქანდაკება.

ამბობენ, ჭეშმარიტად, ისტორიას პიროვნებები ქმნიანო. ნიკოლოზ ჯანელიძისა და ჰერმან ვედეკინდის მოწოდება იყო ხელოვნებისა და კულტურის მეშვეობით სიკეთის ჩადენა და ამიტომაც აღნიშნავდნენ საუბრისას ხშირად, რომ „ხელოვნებამ არ იცის საზღვრები“ და „ხელოვნება აახლოვებს ხალხებს“, რომელსაც ნიკოლოზი მაშინვე აკაკის სიტყვებს დაუმატებდა ხოლმე: „ხელოვნებას არ აქვს საკუთრება - საზღვარი! ის ყოველ ხალხს ეკუთვნის“, რაც მათ ეს ათასჯერაც დაამტკიცეს.

მათი მეგობრობის სათავე საქართველო იყო და ხშირად ესმიანებოდნენ ერთმანეთს. ერთ-ერთ წერილში ნ. ჯანელიძე დედას ატყობინებდა: „20 თებერვალს თბილისში მიდის პროფ. ჰერმან ვედეკინდი. იქნებ მანანა შეხვდეს. მას აქვს ჩემი მოხსენება ვიდეოზე ჩანერილი და გადაღებული. იქნებ ტელევიზიაში აჩვენონ“.

უცხოეთში მოღვაწე, მთარგმნელი, გამომცემელი, ჰამბურგისა და კილის უნივერსიტეტების პროფესორი, ქართული კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, ქართული ყოფის მგზნებარე პროპაგანდისტი არა მარტო ჰოლშტაინში, არამედ მთელს გერმანიაში იყო ცნობილი. იგი ხშირად გამოდიოდა გერმანელი მსმენელების წინაშე მოხსენებებითა და სიტყვებით. აწყობდა გამოფენებს, ქართული ხალხური მუსიკის საღამოებს, დგამდა სპექტაკლებს. ამას გარდა, ცდილობდა თავისი მეგობრებისა და ნაცნობების ოჯახებში დაემკვიდრებია ქართული ზნე-ჩვეულებები და ადათ-წესები, რომლითაც ქართველები ოდითგანვე აოცებდნენ მტერ-მოყვარეს.

იგი აქტიურად ცდილობდა ეროვნული მუსიკის გერმანული ხელოვნების სივრცეში დამკვიდრებას, რომელსაც პროფესორ ალექსანდრე ლლონტის სახელზე გაგზავნილი ბარათიც ადასტურებს: „ჩემი დისშვილი ნანა მოგასმენინებთ ქართულად „იავ-ნანას“ და „გაფრინდი შავო მერცხალო“-ს. ამ ორივე სიმღერით დავაინტერესე იტცეპოეს ეკლესიის გუნდის ხელმძღვანელი. ვაჩვენე ნოტები, ვასწავლე ტექსტის ზეპირად გამოთქმა და აი, მოისმინეთ თურა კარგად მღერიან ქართულ სიმღერებს. კონცერტი ბახის მიმართ იყო გამართული. იქ, საქართველოზე მოხსენება წავიკითხე და გერმანელებმა ქართულად იმღერენ! დამსწრეთა რიცხვი 500-მდე იყო. მწამს, რომ მოისმენთ, გაგიხარდებათ“ **(ჯანელიძე, იტცეპოე 10.09.1990).**

ქართულ-გერმანულ კულტურის განვითარების საქმეში მას ჩართული ჰყავდა სამშობლოდან შემოქმედებითი ინტელიგენციის ფართო წრეები. მათ შორის კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე.

„ბატონმა ანდრიამ დაწერა მუსიკა ჩვენს ზღაპარ - „ფანთელა“-ზე, რომელიც დაიდგმება საბავშვო თეატრში 1978 წლის 19 ოქტომბერს. ჩემი საყვარელი ლილისა და ჩემმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო!“ **(ჯანელიძე, იტცეპოე 16.04.1978).**



ანდრია ბალანჩივაძე და ნიკოლოზ ჯანელიძე

იგი საქართველოს სიყვარულს ნორჩ გერმანელ თაობასაც აზიარებდა, რომლებსთვისაც დგამდა ქართულ პიესებს.

„ქართულმა ზღაპარმა დაიპყრო გერმანელი მაცურებლის გული,“ - ამ სათაურით გამოქვეყნდა გაზეთ „გლუკშტედტერ ფორტუნაში“ (იტცეჰოე, ჰამბურგის მახლობლად) მოზრდილი სტატია, რომელშიც გულთბილად არის დახასიათებული ქართული ზღაპრებიც და მათგან შერჩეული „მებადურის შვილის“ დადგმაც, რაც მიმდინარე წლის ივლისში ვილჰელმ კუნერტმა განახორციელა მოსწავლეთა ძალებით.

უმაღლესი პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულმა ქართული ზღაპრების კრებულმა გერმანულ პრესაში მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ბრწყინვალედ ილუსტრირებული ეს წიგნი მკითხველმა სიხარულით მიიღო. პრესამ მას უწოდა „წარმტაცია, კეთილშობილურ მისწრაფებათა ამსახველი უცხო სამყაროს არმალანი.“

ამ წიგნიდან შერჩეული „მებადურის შვილის“ დადგმის თაოსნობა ნიკოლოზ ჯანელიძემ იკისრა. მისი თხოვნით, კონსულტაციითა და თანადგომით კუნერტმა დაწერა პიესა, მუსიკალურად გააფორმა ემილ ბრანდმა. სარეკლამო ფურცელზე დაწერილია „მებადურის შვილი“ გერმანულად და ქართულად. იქვე ქართული ხალხური სიმღერის ტექსტია: „ჭრელო პეპელა გაფრინდი ნელა... დელია რანუნია... ნვიმა მოგისწრებს, დამისველდები...“ ცალკე განცხადებაში კი ლაპარაკია ლილისა და ულლის ამაგზე, მათ ტრაგიკულ ბედზე, თუ როგორ იჯდა მშობელი მომაკვდავი შვილის სარეცელთან და უკითხავდა ქართულ ზღაპრებს, რომ აზროვნების უნარი შეენარჩუნებინა...

ულლის ხსოვნის საუკეთესო პატივისცემა იყო მისი საყვარელი ზღაპრის დადგმა, რამაც ქალაქში ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

27 მოსწავლე იღებდა მონაწილეობას ამ დადგმაში. „დიდი ჯაფით ვიშოვეთ ქართული ეროვნული სამოსი, ხევსურული ტანსაცმელი, სვანური ქუდეები, ჩოხა-ახალუხი, ჯუბა-ფაფა-

ნაკი... ზოგი პარიზიდან გამოვითხოვეთ,“ - წერდა ნიკოლოზ ჯანელიძე.

სადაც ინტერესი და საქმის სიყვარულია, სიძნელე ქედს იხრის. სცენაზე თითქოს ქართველი გოგო-ბიჭები ასრულებდნენ ზღაპრის გმირების როლს, მთელი ქალაქი მოხიბლული დარჩა. ამას ადასტურებს გაზეთი „რუნდშაუც“. სცენას ამშვენებდა ეროვნული ქართული გაფორმება, რაც „ქართული ზღაპრების“ მხატვარმა იოჰანეს კლოცმა ითავა.

აქ შინაარსიც, კოსტუმებიც, სიმღერაც, დეკორაციებიც - ყველაფერი ქართული იყო. ეს ხიბლავდა მაყურებელს არა როგორც ეგზოტიკა, არამედ როგორც მაღალმხატვრული დადგმა და ეროვნული ხალხური სიბრძნის ნიმუში“ („სამშობლო“ 1977).

„მებადურის შვილთან“ დაკავშირებით ნიკოლოზ ჯანელიძე ახლობლებს სწერდა:

„ჩემო საყვარელო დისშვილებო - ია და ლია!

გიგზავნით კეთილ სურვილებს „მებადურის შვილი“-ს სურათით, რომელიც დავდგით გერმანულ ენაზე აქ სასწავლებელში. დამდგმელი მოსწავლეები ქართულად ვამ-




ნიკოლოზ ჯანელიძე – ქართული ზღაპრის „მებადურის შვილი“-ს სპექტაკლის მონაწილეებთან ერთად

ღერე „ჭრელო პეპელა“. საუკეთესო იყო. ნაქართულებული ტანისამოსით. გაზეთმა ამ სურათით კარგი წერილიც გამოაქვეყნა სათაურით: „ქართულმა ზღაპარმა მოიგო დამსწრეთა გულები!“

ლილის, ულლის და ჩემის სახელით კიდევ ერთხელ საქართველოს კარგი სახელი მოუხვეჭეთ!“ (ჯანელიძე, იტცეჰოე 20.07.1977).

გერმანელ ბავშვთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა რადიო გადაცემა „ჯანესის ქართული ზღაპრების საათი“, რომელსაც მრავალი მსმენელი ჰყავდა. ამის შესახებ გერმანელი კორესპონდენტი ერთ საგაზეთო სტატიის ში აღნიშნავდა: „გურიან სბეგის კათოლიკურ საბავშვო ბაღში ჯადოსნური ზღაპრული საათებია. ჯანესი, კაცი



ნიკოლოზ ჯანელიძე საბავშვო ბაღში

საქართველოდან, ჩაჯდა ბავშვთა წრეში თავზე ოქროს გვირგვინით, აიღო ფერადად ილუსტრირებული წიგნი და დაიწყო: „იყო და არა იყო რა“, - რადგან ასე იწყება ყველა ქართული ზღაპარი. ჯანესმა ბავშვები შორეული საქართველოს ზღაპრულ სამყაროში შეიყვანა“ („Itzehoe“ 1984).

„საბავშვო ბაღებში დავდივარ, ბავშვებს ზღაპრებს ვუყვები, რომ იცოდეთ როგორ უყვართ ქართული ზღაპრები! როცა ავად ვარ, ამ საქმეს საავადმყოფოში განვაგრძობ და ავადმყოფები ხუმრობენ: „ქართულმა ზღაპრებმა ფეხზე წამოგვაყენესო!“...

ახლა ბავშვებს ფუკითხავ თქვენს „ფუტკრის ზღაპარს“. ძლიერ მოსწონთ. ერთმა ქალმა მითხრა: „ასეთი კეთილი ხალხი ალბათ მხოლოდ საქართველოშიაო!“...

**8-დან 12** წლამდე გერმანელ ბავშვებს ვასწავლი სიმღერებს! „ალილო“, „ციცინათელა“, „სულიკო“, „ჭრელო პეპელა“ და სხვ.

ასევე შევადგინე გუნდი **50** ქალისაგან და ვასწავლი სიმღერებს“ (**„წიგნის სამყარო“ 1984:8**).

უანგარო ენთუზიასტი ნიკოლოზ ჯანელიძე მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა მუდამ მშვიდობასა და ხალხთა კეთილდღეობაზე ფიქრობდა. იგი ყველაფერს აკეთებდა, რაც ერთ უთვისტომო ქართველ კაცს შეეძლო აღესრულებინა უცხოეთის ცის ქვეშ: „ჩემი დევიზია ღმერთო, ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას ნუ მოაკლებ ქართველ კაცს შინ თუ გარეთ!...

მსოფლიოში ყველაზე პატარა გამომცემლობა „საქართველოში“ გამოქვეყნებულ საშობაო მიმართვაში ნიკოლოზ ჯანელიძე წერდა: „მთელი ქრისტიანული სამყარო ქრისტეს დაბადებას ზეიმობს სიხარულით, საშობაო სიმღერებითა და აღნიშნავს საჩუქრებით.

გაქრისტიანება მხოლოდ მარტო სიხარული კი არაა, არამედ მსხვერპლთ შეწირვაცაა, რადგან არა ქრისტიანი ხალხები ქრისტიანული რწმენის ქვეყნებს მტრობენ.

ჩვენ ქართველები, რომლებიც ისტორიულად და გეოგრაფიული მდებარეობით მუსლიმანურ ქვეყნების რკალში ვართ მოქცეულნი, მუდამ პირველები ვიბრძოდით და ვწინიერებოდით ქრისტიანულ რწმენას თავს გადახდენილ ომებში.

ერთი ეპიზოდი ამ ისტორიიდან აღწერა ბაროკოს პერიოდის პოეტმა ანდრიას გრიფიუსმა თავის დრამაში „ქეთევან ქართველი“.

ჩემი სურვილია, დალოცვილი იყოს საშობაო ზეიმი მთელი კაცობრიობისათვის!“ (**Dschanelidse, Itzehoe**).

გერმანული გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული იყო სტატია „საქართველოში სტუმარი ღვთისაა“, რომელშიც საუბარი იყო ბავშვთა სურათების ბოლოდროინდელ გამოფენაზე. გამოფენის იდეა ჰამბურგში სტუმრად მყოფ პატარა თანამემამულეებისაგან წამოსულა. გამოფენის დევიზი იყო „ქართველი ბავშვები მშვიდობას ქადაგებენ.“



1981 წელს ამ სახლში გაიმართა გამოფენა.  
სტუმართა შორის იყვნენ ენათმეცნიერი ცოლ-ქმარი რადომსკები

გამოფენის მონაწილეებს ნიკოლოზ ჯანელიძემ მიმართა: „მე ყველაფერი აღმაფრთოვანებს, რაც ჩემს სამშობლოსთან არის დაკავშირებული. ჩემი მშობელი ქვეყანა სულ 80000 კვადრატული კილომეტრია, მაგრამ აქვს ქვეყნად უმშვენიერესი ბუნება და მრავალათასწლოვანი ისტორია. ჩემი ცხოვრების აზრია საქართველოს პოპულარიზაცია გერმანიაში და ამ მიზანს ისახავს ეს გამოფენაც.“

იგი ხშირად კითხულობდა ლექციებს ქართული ხელოვნების ისტორიაზე, ლიტერატურაზე, აწყობდა გამოფენებს, ტელევიზიაში გადასცემდა ხალხურ სიმღერებს, რომლებიც შეკრება და სათანადო კომენტარებით აღჭურვა ლილი პაპე-გეგელაშვილმა.

„გერმანულ-ქართული ურთიერთობა ლიტერატურულ სფეროში“ ნიკოლოზ ჯანელიძის ინიციატივით ამ დევიზით გაიმართა 1986 წლის 20 ნოემბერს მთავრობის სახლის ფოიეში გერმანელ მწერალთა წიგნების გამოფენა: „მაშინ, როცა კავკასიის ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხი თავის მეზობლებს ეომებოდნენ, მათ მიწებსა და სიმდიდრეს იტაცებდნენ, არსებობდა პატარა ქვეყანა საქართველო თავისი მაღალ განვითარებული კულტურით, მუსიკითა და პოეზიით.

დღეს, აქ გამოფენილი ქართულად თარგმნილი გერმანული მწერლების გოეთეს, ძმები გრიმების, კანტის, ლესინგის, ბრეჰტის, ძმები მანების, რემარკისა და შილერის, ჰაინეს ნაწარმოებები კიდევ ერთხელ მეტყველებენ საქართველოს დიდ კულტურულ პოტენციალზე. ამ ორი ქვეყნის გერმანია - საქართველოს ლიტერატურულ ურთიერთობებზე“ („Rundschau“ 1986).

ცხადია, გერმანული პრესა დიდად აფასებდა ქართველი მოღვაწის კეთილშობილურ საქმიანობას - ერთა კულტურული კონტაქტების განმტკიცებაში.

გაზეთ „კრეის ზეითუნგის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ნიკოლოზ ჯანელიძის გერმანულ ენაზე დანერვილი ლექსი „მშვიდობა“, რომელშიც ფრთიანი სტრიქონებითაა აჟღერებული მშვიდობის როლი კაცობრიობის ისტორიაში.



„ყველა ლაპარაკობს მშვიდობაზე,  
 ყველა მშვიდობაზე საუბრობს,  
 მშვიდობისათვის ზრუნავენ და  
 მარად იზრუნებენ მშვიდობისთვის  
 ანმყოშიც და მომავალშიც  
 სიყმანვილიდან სიბერემდე -  
 ვიდრე კაცი მშვიდად დალევს სულს  
 მშვიდობაში.  
 მე ვფიქრობ, კაცი ყოველი  
 გულით ატარებს მშვიდობას,  
 ოღონდ ზოგიერთს  
 სისხლი უდუღს,  
 ქალბატონებო და ბატონებო,  
 ჩემი რჩევა, სამშვიდობო, აი ეს არის:  
 მშვიდი სისხლი და ნათელი გონი,  
 მშვიდობისათვის,  
 დედამინაზე.“

**(თარგმანი ლევან ბრეგაძის)**

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ემიგრაციაში თითო-ორიოლა შემოქმედი თუ წერდა იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ცხოვრება მოუწიათ. მათ შორის აღმოჩნდა ნიკოლოზ ჯანელიძე.

იგი გულსუფთა კაცი იყო, მოაზროვნე, რომელსაც სწამდა რომ ემიგრანტთა ეროვნული მეობა და კულტურული მოღვაწეობა საზოგადოებრივ აზრის შესაქმნელად დიდ როლს თამაშობდა. ასე რომ, საქართველოს მოკვლა უცხო ცის ქვეშ შეეძლო „მხოლოდ სულმოკლეობას მისთა საკუთარ შვილთა“.

ვინ მოთვლის უცხოეთსა თუ ჩვენში რამდენი მძიმე, აუტანელი დაბრკოლებისა და გაჭირვების გადალახვა მოუწია ნიკოლოზ ჯანელიძეს, რომ თავი გაეტანა და ღირსეული ქართველის სახელი დაემკვიდრებია: „ერთხელ გაზეთ „თბილისის“ რედაქტორს ბ-ნ ოთარ იოსელიანს „კაგებედან“ დაურეკეს და მკაცრად მოსთხოვეს განმარტება, ვინ არის ეს ჯანელიძე და ვინ რა იცის, რას აკეთებო უცხოეთში. ჩვენ ფაქტებით მოგვიხდა იმისი დამტკიცება, რომ ჯანელიძე

აკეთებს მხოლოდ იმას, რის კეთებაც შეუძლია, შეუძლია კი მხოლოდ სიკეთე...

სამწუხაროა, რომ ასეთმა „ცენზორებმა“ შეაჩერეს სათანადო სტატიის შეტანა ქართულ ენციკლოპედიაში. „ვაი, თუ რამე მოჰყვესო“. ეს უმაღურობა ენციკლოპედიის ახალ ხუთტომეულში გამოსწორდება. მართალია, ჩვენ მრავალი სტატია გამოვაქვეყნეთ ნიკოლოზ ჯანელიძის უანგარო მოღვაწეობაზე, მაგრამ ჩვენში მაინც ვერ იყო ისე დაფასებული, როგორც მისი ღვაწლი იმსახურებდა“ (**„თბილისი“ 1993:3**).

მისი ყოველდღიური ყოფა სალოცავი საქართველოსაკენ იყო მიმართული, რის გამოც დიდ სიდუხჭირეს იტანდა და, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის თანდათანობითი გაუარესებაც ერთვოდა.

„მე ახლა ფილტვების ანთება მქონდა. სუსტად ვგრძნობ თავს, მხოლოდ ჩემი საყვარელი დის სტუმრობამ სამტრედიდგან (ლიზეტა ივანიაძე - ექთანია) და ჩემი დისშვილის ეთერის ქალიშვილის ნანა ბრეგვაძის სტუმრობამ თბილისიდგან სიცოცხლის ძალა მომცა“, - წერდა პროფესორ ალექსანდრე ლლონტს (**ჯანელიძე, იტცეპოე 10.05.1990**).

„აქ ახლა საშინელი ცუდი ამინდებია. თოვლი, წვიმა, ნისლი, ყინვა, ქარი. არამარტო ადამიანები, მატარებლებიც არ მოძრაობენ.

მე ძალიან მანუხებს ჩემი ბრონხიტი. განუწყვეტელი ხველება მაქვს. ცოტა რომ ხელს გავანძრევ სამუშაოდ, მაშინვე ხველებას მიწყებს და სულის მოთქმა მიჭირს. ვსვამ სხვადასხვა ჩაისა და წამლებს, მაგრამ არა და არა! - თავის ნუხილს უზიარებდა უმცროს დას - ლიზეტას...“ (**ჯანელიძე, იტცეპოე 15.08.1987**).

„ღმერთო ჩემო, გარეთ მინდა გავიდე, მაგრამ ეს სველი ჰაერი მეცემა მშვიერი მგელივით და დამიწყებს ხველებას. იყავით ყველანი ჯანმრთელად და ბედნიერად. აბა, გაზაფხულამდე. გკოცნით შენი ძმა კოლია...“ (**ჯანელიძე, იტცეპოე 19.12.1989**).

ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების გამო ბოლოს საავადმყოფოშიც აღმოჩნდა. იგი თბილისელ მეგობრებს წერდა: „მატერიალურ გასაჭირს დაემატა მძიმე

მდგომარეობა ჯანმრთელობის მხრივ. ტვინში სისხლის მიმოქცევა დარღვეულია. თვალშიც სინათლე დამაკლდა. ნუხელ მეგონა ქვეყნიერებას გამოვეთხოვებოდი...

65 წელი სასწრაფოში შემისრულდა. ლილის დები თინა და თამარი, ასევე ბოედერი სულ თავზე მადგანან, მაგრამ რა შეუძლიათ?... კიდევ ბევრი კეთილი მიზნები მქონდა, რომ ქართული კულტურა გერმანელებისათვის გამეცნო, მაგრამ კაცი ბჭობს, ღმერთი იცინისო... აქვე მივიღე ჰამბურგის პრეზიდენტის მოლოცვა...

გთხოვთ, მომიკითხოთ ჩემი კეთილი პროფესორები და მეგობრები: ბატონი აკადემიკოსი აკაკი შანიძე, პროფესორი ალექსანდრე ბარამიძე, ჩემი დეკანი პროფესორი ალექსანდრე ლლონტი, შოთა რევიშვილი, ილია ტაბალუა, ოთარ ხუციშვილი, აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორი ბატონი სიმონ ხადური, მთელი თავისი თანამშრომლებით, ქ-ნი ნელი ამაშუკელი, გურამ რამიშვილი, ჩემი საყვარელი გაზეთის „ნიგნის სამყაროს“ რედაქცია, ყველა ქართველი და მთელი ჩემი სალოცავი საქართველო.

გუშინ თინა გავაფრთხილე: „ჩემი ცხედარი დაფერფლეთ და ქარს გაატანეთ, იქნებ ფერფლმა მაინც ჩააღწიოს-მეთქი საქართველოში...“

თბილისში ვერ მივწერე გერმანიისტ პროფესორებს და ახლა ყოველდღე წერილები თბილისითგან მომდის „როგორ ხართ ბატონო ნიკოლოზ? დიდხანია თქვენგან არაფერი გაგვიგონია“-ო.

ნიკოლოზ ჯანელიძე ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებლობა ექნებოდა, მუდამ ეროვნული ტანსაცმელით დადიოდა. იგი დატყვევებული სამშობლოს გლოვის ნიშნად შავი ფერის ჩოხას ატარებდა. მას ასევე პიჯაკზე დამაგრებული ჰქონდა საქართველოს დროშის სამკერდე ნიშანი შავ-თეთრ-წითელი ფერებით, რომელიც 1918-1921 წლებში ეროვნული ბაირალი იყო, როცა საქართველო გერმანიის ხელშეწყობით დამოუკიდებელი გახდა.

უცხოეთის ცის ქვეშ ქართველ ემიგრანტთა დიდი ნაწილი ერთმანეთს გვერდში ედგა და ცდილობდა ემიგრანტის მძიმე

ხვედრი ერთიმეორისათვის შეემსუბუქებიათ. მათი დანყებული საქმიანობა გაეგრძელებიათ.

1964 წელს ციურხიდან გამოგზავნილ მოკლე ბარათში ნიკოლოზ ჯანელიძე წერდა:

„ჩემო ძვირფასო საყვარელო დედ-მამა!

გიგზავნით თქვენ და ჩემს დებს თავიანთი ოჯახებით გულთბილ სალამს. ვიმედოვნებ, ჯანმრთელად ხართ. მე ჩამოვედი აქ ქართულ-გერმანული ლექსიკონის შედგენის სამუშაოდ. საქმე წინ მიდის. ჯანმრთელობით კარგად ვარ. გისურვებთ ყოველივე კარგს. თქვენი შვილი კოლია ჯანელიძე (ჯანელიძე, შვეიცარია 2.09.1964).

1963 წლის 22 ოქტომბერს, 68 წლის ასაკში, ციურხში „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ მეშვიდე წიგნზე მუშაობისას გარდაიცვალა პროფესორი კიტა ჩხენკელი.

„სწორედ, „ამირანის“ გამომცემლობის ამანათი ლექსიკონისათვის ყდები მივიღე. ლამაზი არის. საწყალი კიტა ჩხენკელი. სანამ კიტა გარდაიცვლებოდა ლილი, ულლი და მე სამი კვირით ვიყავით მასთან ციურხში.

ვცხოვრობდით იოლანდასთან. კიტა ფილტვების კიბოთი გარდაიცვალა. ბევრი ვილაპარაკეთ აქეთ-იქით, ვიჭორიკანეთ. გული მასაც სტკიოდა, რომ საზღვარგარეთ ქართველობა ცოტას მუშაობენ საქართველოზე კულტურულად.

კიტას გარდაცვალების შემდეგ მე ვეხმარებოდი ლექსიკონის შედგენაში. აბა, ეს შემეძლო დროის მიხედვით, როდესაც უნივერსიტეტში სწავლა შემინწყებოდა.

საინტერესო და სანაქებო შრომა შექმნა კიტა ჩხენკელმა თავისი მონაფე ქალებით. ჩვენც გვიხარია, რომ თქვენი ქართველი გერმანისტები, თქვენი დაუღალავი შრომით გერმანელებში კარგ სახელს იხვეჭავთ!

ყველანი გამჩენის ძალამ ჯანმრთელად გამყოფოდ ჩვენი სამშობლოს სადიდებლად! თუ გერმანული წიგნები დაგჭირდეთ, მომწერეთ ადრე თუ გვიან მოგანვდით სიამოვნებით! ნუ მოგერიდებათ!

მოკლე ხნის წინ 82 წლის ასაკში გარდაიცვალა „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარი ბ-ნ ვიკტორ ნოზაძე, რომელიც ჩემს შემდეგ „ამირანის“ გამომცემლობას ქართულ-გერმანული

ლექსიკონის შედგენაში ეხმარებოდა, როგორც გადმოცემიდან ვიცი ის იყო მარტოხელა - ოჯახი არ ჰქონია.

ბატონო ვიქტორ, ლილი და მე თქვენს საყვარელ მეუღლეს - თქვენს საყვარელ შვილებს და თქვენ გიგზავნით კეთილ ქართულ სურვილებს. თქვენი მრავალშემიერი იყოს.

პატივისცემით, თქვენი ნიკოლოზ სილოვანის ძე ჯანელიძე“  
(კახნიაშვილი, თბილისი 1.07.1975).

მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, იგი გერმანიის გარდა,



ნიკოლოზ ჯანელიძე სტუდენტებთან ერთად

პარიზსა და სხვა ქალაქებში ჩადიოდა, სადაც საუბრობდა ქართული კულტურის სიძველეზე, ქართველი ხალხის მამაცობაზე, მათ კეთილშობილებასა და კაცთმოყვარეობაზე: „ძალიან გამიხარდა, რომ საშას შვილიშვილმა (მოცეკვავემ) ტელეფონით დამირეკა ლამის პირველ საათზე და დიდხანს ვისაუბრეთ.

მერე მე მოხსენების გასაკეთებლად 900 კმ-ს დაცილებით უნდა მემგზავრა და ჩემდა სამნუხაროდ ჰამბურგში ვერ შევხვდი და ვერც ტელეფონით დავუკავშირდი. გთხოვ, მომიკითხო სულით და გულით“ **(ჯანელიძე, იტცეპოე 19.12.1989).**

მისი მოღვაწეობის ფართო სპექტრში შედიოდა ასევე ქართული სტუმართმოყვარეობის ადათ-წესების დაცვა და პატივისცემა: „სტუმარი ღვთისაა“-ო ვამბობთ ჩვენ. უსტუმროდ ერთი დღე იგივეა, როგორც უმზეოდ ერთი დღე! ქართული სტუმართმოყვარეობის წესები გვასწავლის ამას ჩვენ.

რა კარგია, ბატონი რეზო კაკაბაძე რომ გესტუმრა, მომიკითხე ძალიან. დაო, რა გინდა გამოატანო რეზოს?! რა უნდა ატაროს?! ძალიან მენატრება სულგუნი. სხვას ნუ გამოატან. ვიცი შენი გულკეთილი სურვილები, მაგრამ ნუ შეანუხებ!

მე გამოგიგზავნე უთო, ტაფა, ნასკები. ალბათ, ორი თვის შემდეგ მიიღებ. აქედან გამოგზავნა არ შეიძლება, მოსკოვიდან აგზავნიან“ **(ჯანელიძე, იტცეპოე 27.09.1986).**

იგი მეგობრობისა და კაცთმოყვარეობის ნიჭით დაჯილდოვებული ქართველი გახლდათ, რომელიც ეროვნული ტრადიციების წარმოსაჩენად მუდამ მზად იყო.

ქართული სამზარეულოს დაგემოვნებისათვის თავის დას - ლიზეტას - თხოვდა გერმანელი ექიმის მასპინძლობას: „პროფესორ ლოოზეს ცოლს და მას ძალიან უხარია ბათუმში შენი შეხვედრა. სულ ამაზე ვლაპარაკობთ. ვიფიქრე: ერთი კარგი მოქსოვილი კალათა აჩუქოთ სამგზავროთ პროფესორ ლოოზეს.

თეთრი და შავგვრემანი „ლევაში“ შოთი პური; ხაჭაპური; ტაბაკა - ორი თუ სამი ანდა პატარა კარგად შემწვარი - შეპუნკუნებული გოჭი; ღვინო და კონიაკი.

ყველაფერი კალათაში და საქართველოს ყვავილებით მორთული. ხომ იცი, როგორ უყვარს და აფასებს საქართველოს მაგენი. ყველაფერს თქვენს ნაჩუქარს გემზე მოგზაურობის დროს მიირთმევენ, რადგან დიდხანს გზაში იქნებიან. თუმცა რესტორანი საჭმელ-სასმელებით სავსე აქვთ და ისიც ნაირ-ნაირი. აბა, ქართული მიღება მაინც გაუხარდებათ.

22 მაისს დილის 8 საათზე გემი უკვე ბათუმში იქნება. მერე ნაიყვანებენ მუზეუმებში, ბოტანიკურ ბაღში. უკეთესია თან წაყვეთ და გააცილოთ. საღამოს ბათუმიდან გადიან“ (ჯანელიძე, იტცეპოე 16.4.1982).

ლიზეტა სტუმარს ბათუმში ქალიშვილთან ერთად დახვდა. სტუმარ-მასპინძლის შეხვედრა კ.გ.ბ თანამშრომელთა მეთვალყურეობით შედგა. პროფესორ ლოოზემ გადაკოცნისას ნიკოლოზის დისშვილს შეუმჩნეველად ლაბადის ჯიბეში რაღაც ჩაუტურა. შინ მისულებმა ლაბადაში შოკოლადი იპოვეს და მაცივარში შეინახეს.

გარკვეული დროის შემდეგ შოკოლადის ფილაში რამდენიმე დოლარი აღმოაჩინეს. ასე გააცურა გერმანელმა პროფესორმა საბჭოთა კ.გ.ბ. თანამშრომლები.



დედა-შვილის ლიზეტა ჯანელიძისა და ლია ივანიძის  
შეხვედრა გერმანელ პროფესორ ლოოზესთან.  
ბათუმი. 22 მაისი. 1982 წ.

შემდეგ, გერმანიაში ჩასულ ლიზეტა ჯანელიძესა და მის დისშვილს მანანა ბრეგვაძეს პროფესორმა ლოოზმა არნახული მასპინძლობა გაუწია, რითაც დაამსხვრია მითი გერმანელთა უფმურობასა და სტუმართმოძულეობაზე.

„პროფესორ ლოოზესთან კარგად არიან. 70 წლის თავი იდღესასწაულა თავისი დაბადების. დაპატიჟა ყველა ყოფილი მოსამსახურეები ძველი და ახალი 80 სული და სამი დღე ქეიფობდა. ჩიჩქვინია მოწყალების დებიც ყოფილი. გაახსენა ახალგაზრდობის სიამოვნება და მათთან არშიყობა. ედელტრაუდი და მეც ვიყავით დაპატიჟებული“ (ჯანელიძე, იტცეჰოე 22.02.1989).



პროფესორი ლოოზე, ედელტრაუდი და ნიკოლოზ ჯანელიძე

ნიკოლოზ ჯანელიძე ძლიერი ხასიათის კაცი იყო და ამიტომაც ნაკლები მიდრეკილება ჰქონდა მერყევი სიყვარული-სადმი.

სიყვარული ხომ იმას ნიშნავს ცოცხლობდე იმის სიცოცხლით ვინც გიყვარს. ლილი გეგელაშვილის უდროო სიკვდილმა ნიკოლოზ ჯანელიძის სიცოცხლე გაანადგურა.

იგი იყო მისი ერთადერთი და უგონო სიყვარული. მისი მფარველი, მისი დედა, და, მეგობარი, სატრფო, თანამოაზრე, მესაიდუმლე, თანამოსაქმე, მისი ლხინისა და ჭირის მოზიარე. ლილი იყო მისი „ტრფობა ნამებული“.



„გთხოვთ, ლილიზე - მეუღლეს ნუ დანერთ. ლილი იყო ჩემი კარგი მეგობარი და არა მეუღლე. ლილის აქ დები და ნათესავები ჰყავს და მათ სიმართლით არ სიამოვნებთ ლილის ჩემი მეუღლეთ აღნიშვნა. არ სიამოვნებთ, რადგან სიმართლეს არ შეეფერება.



**დგანან: ედელტრაუდ შუკარტი და ნიკოლოზ ჯანელიძე.  
სხედან: მანანა ბრეგვაძე, რითი ფრაუ ლოოზე და ლიზეტა ჯანელიძე  
პროფესორ ლოოზეს ოჯახში. აგვისტო. 1979 წ.**

ლილი იყო გათხოვილი ბატონ პაპე-ზე;  
ლილი დაქვრივდა: „პაპეზე და ლილის ქვას აწერია ლილი - ლილი პაპე“.

გთხოვთ, ყველას მეუღლედ ნუ წერენ. მაღლობა ყველას გაგებისათვის“; - სწერდა პროფესორ ალექსანდრე ლლონტს (ჯანელიძე, იტყვიპოე 10.09.1990).

ლილი გეგელაშვილის სახელი და ღირსება იმდენად მნიშვნელოვანი იყო ნიკოლოზისათვის, რომ იგი დიდი სიყვარულისთვის მის ჩრდილქვეშ დგომასაც აიტანდა. ვინაიდან, როცა მართლა გიყვარს აკრძალვაც შესაძლებელია და დაბრკოლებანიც.

„გუშინ 26 სექტემბერს, ჩემი ლილის დაბადების დღე იყო. ორი დღის წინ ვიყავი სასაფლაოზე. თინა ხშირად დადის იქ და ძალიან უყლის“, - თავის გულისტკივილს უზიარებდა ლიზეტას (ჯანელიძე, იტცეპოე 27.09.1986).

1981 წლის ზაფხულში, წალკა-ბოლნისის ეპარქიებისა და რაჭის ეპისკოპოსმა ამბროსი ქათამაძემ დასავლეთ გერმანიაში ყოფნისას, როცა ტელეფონების წიგნში შემთხვევით ნიკოლოზ ჯანელიძის ნომერი აღმოაჩინა, მასთან იტცეპოეში ჩავიდა. ნიკოლოზის თხოვნით მან თანამემამულე პატრიოტი ქალის - ლილი გეგელაშვილის საფლავი მოინახულა და პარაკლისი გადაუხადა. და რა იცოდა, წმინდა მამამ რომ რამდენიმე წლის შემდეგ მასაც საქართველოს თავისუფლებისათვის ემიგრანტობა მოუხდებოდა.



ნიკოლოზ ჯანელიძე და მამა  
ამბროსი (ქათამაძე) ლილი  
პაპე-გეგელაშვილის საფლავთან  
იტცეპოე, 1981 წ.



მამა ამბროსი  
(ქათამაძე)

ლილის გარდაცვალების შემდეგ, დედის სახელზე გამოგზავნილი წერილი ისეთი ცრემლიანი იყო, ისეთი რომ სიტყვები ძლივს იკითხებოდა. ნიკოლოზს თითქოს ფეხქვეშ მინა ერთბაშად გამოაცალესო, ისეთი მტანჯველი გახდა მისთვის სამყარო.

„ლილის გასვენების შემდეგ ვტირი... ძალიან დავეცი. სული და გული მაქვს ცუდად, თანაც ბრონქიტებიც დაემატა.

ახლა დედაჩემო ერთი თხოვნა მაქვს. გამოუშვა ლიზეტა ერთი თვით ჩემთან - სტუმრად. შენ თუ შეგიძლია წამოსვლა, ეს ხომ ჩემთვის მეორედ დაბადება იქნებოდა. მოილაპარაკეთ ორივემ და მომწერეთ როგორც პასპორტებში გაქვთ დანერილი: დაბადების დღის რიცხვი და თვე - წელიწადი! ამის შედეგად შემიძლია ორივესთვის ვიზის მიღება ვცადო! ასე რომ მარტივ-აპრილის თვეში აქ მყავდეთ სტუმრად ორივენი! აბა შენ იცი. ველოდები შენს წერილს და პასუხს!

გკოცნი ბევრს. შენი შვილი კოლია ჯანელიძე

P.S. ხვალ გავიკითხავ ორი ვიზისათვის წითელი ჯვრის დაწესებულებაში“ **(ჯანელიძე, იტცეპოე 8.12.1976).**

მისი ცხოვრება ისევ ბნელით გახდა მოცუული, ისევ დაისადგურა წყლულმა და იარამ, კენესამ და ვაებამ, ცრემლმა და მწუხარებამ, პირი იხსნა ნოსტალგიის მძიმე სენმაც. ლილის სიკვდილის შემდეგ იქ აღარაფერი აკავებდა, მაგრამ სად, სად წასულიყო?! სად უნდა ეპოვნა საიმედო ნავსაყუდელი?!

სამშობლოსაკენ მიმავალი გზა მისთვის სამუდამოდ მოჭრილი გახლდათ. და, ამიტომაც უხმობდა მასთან ყველაზე საყვარელ, სანატრელ და ახლობელ ადამიანებს.


უდიდესი ადამიანური ტკივილითა და სულის ამბოხით ყოველი ემიგრანტის შინაგან განცდებს მიესადაგება თამარ პაპავას სიტყვები: „ვზივარ რადიოსთან და ვისმენ ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერს“... რა მშვენიერია ეს ჰანგები, გული მეღევა და ნაღველი ეუფლება ჩემს სულს... რად დაგვტანჯა ადამიანმა, რად არ შეგვიძლია ეს მშობლიური ჰანგები ჩემს სამშობლოში გავიგონოთ? ნუთუ აღარ კმარა ეს 25 წლიანი ტყვეობა უცხოეთში? განა აქვს ვისმეს უფლება ასეთი სასჯელით დასაჯოს ადამიანი, რომელსაც ასეთი ხანმოკლე სიცოცხლე აქვს? რისთვის, რატომ და სად ვეძიოთ მისი აზრი?... მინდა ვიყვირო... აღარ კმარა 25 წელი?“ **(ქართული ემიგრაცია“ 2013:211).**

... და, 12 წლიანი ხანგრძლივი დუმილი, ნიკოლოზ ჯანელიძემაც სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაარ-

ღვია. 1954 წელს ოჯახმა დასავლეთ გერმანიიდან ერთ სიტყვიანი წერილი მიიღო: „ცოცხალი ვარ“... კოლიას ხელწერა მაშინვე იცნეს.

მშობლების მოლოდინი გამართლდა, რადგან მათ ცნობა შვილის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ იმთავითვე გულის სიღრმეში მოსვენებას არ აძლევდათ...

„ბაბუაჩემი სილოვანი დანოლის წინ მის ნაგრამს, როცა პირჯვარს გადაგვწერდა, მუდამ ერთდაიგივე სიტყვას აყოლებდა: — „შვილო, კოლია, სადაცა ხარ მამა, იქ გაგიმარჯოსო...“ ხოლო ბებიაჩემს ივდითს აკვიატებულად, თვალი მუდამ ჭიშკრისკენ ეჭირა. ეტყობოდა შვილის დაბრუნების წუთებს წარმოსახვაში ელაციცებოდა კიდეც“.



ნიკოლოზ ჯანელიძის მშობლები –  
სილოვან ჯანელიძე და ივდითი ბაღდავაძე

ამდენი ხნის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაკარგულის მკვდრეთით აღდგომა მთელ სამტრედიას ელვის სისწრაფით მოედო.

ომის დამთავრების შემდეგ, მართალია, ჯანესი - ნიკოლოზი უცხოეთში კონსპირაციულად აღარ ცხოვრობდა, მაგრამ იგი სამშობლოში დაბრუნებას მაინც ვეღარ შეძლებდა. რადგან საბჭოური რეჟიმის ბოროტების მანქანა დიდი ბელადის გარდაცვალების შემდეგაც მუშაობდა...

ნიკოლოზი თავდაპირველად, მართალია არა პოლიტიკური მოსაზრების გამო მოხვდა ემიგრაციაში, მაგრამ შემდეგ, ტყვედყოფილმა სამშობლოში დაბრუნება ვერ შეძლო, ვერც პოლიტიკური და ვერც კულტურული კონცეფციების კარნახითაც.

„საქართველოს ხსენებაზე ბატონ ნიკოს აკანკალებდა, რადგან, იმდენად აღმოუფხვრელი და გამძლე აღმოჩნდა სტალინის შავბნელი დროიდან შემორჩენილი შიში, რომ ბატონი ნიკოლოზი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც ვერ ბედავდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ფეხის შემოდგმას“ (**„საქართველოს რესპუბლიკა“ 1993:4**).

დედ-მამას ომში დაკარგული შვილის პენსია მოუხსნეს. მეტიც, რაც აიღეს ისიც უკან მიატანინეს. ამას ვინლა ჩიოდა. მთავარი იყო, რომ მათი ვაჟი ცოცხალი გახლდათ...

შვილის უსაშველო მოლოდინში ჯერ მამის – სილოვან ჯანელიძის სიცოცხლე ჩაესვენა, მერე კი დედის – ივდითი ბაღდავაძე-ჯანელიძისა, თუმცა იგი დიდხანს მაგრობდა.

„დაო ლიზეტა! ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს. ჩვენი კეთილი და ჩვენი საყვარელი დედიკონე მეტი აღარა გვყავს.

ჩვენი დედა, ჩვენი სიცოცხლის წყარო, ჩვენი აღმზრდელი დედა, და ჩვენი გამახარებელი დედა!

თავგაბრუებული და ცრემლებიანი ვხედავ დედაჩემისა და მამაჩემის სურათს ანთებულს წმინდა ნაკურთხიან ლამპართან.

ჩემმა უბედურმა ბედმა ჩვენი მშობლებიც მწუხარებაში ჩააყენა და უბედური გახადა. მთელი ჩემი არსებობის ძალას ვაძლევდი და ვაძლევ ჩვენი სამშობლოს - საქართველოს კეთილად გაცნობის საქმეს უცხოეთში. ამისთვის მთელ ენერგიას ჩვენი დედ-მამის საყვარული და პატივისცემა მაძლევდა და მომავალშიც მომცემს.

ჩვენი საყვარელი დედის გარდაცვალებით ჩემი სიცოცხლე და გული განახევრდა, გავლარიბდი სულიერად“ (**ჯანელიძე, იტცეშოე 10.04.1984**).

1984 წლის 10 აპრილით დათარიღებული ეს წერილი, ლილი გეგელაშვილის გარდაცვალების შემდეგ, იყო

ყველაზე ტკივილიანი და სულისშემძვრელი განცდა, რადგან მისთვის ქვეყნად არავინ იყო დედაზე უფრო გულთამხილველი...

ნიკოლოზ ჯანელიძესავით მგრძნობიარე შვილისათვის მშობელი დედის დაკარგვა უმძიმესი გადასატანი იყო. ამიტომაც წერდა მას გამამხნეებელ წერილს ლილი გეგელაშვილის უფროსი და თამარ გრუნვალდი.

„ჩემო კარგო ძმაო ნიკო, ჩემი გული შენთან ტირის! თინასგან გავიგე, რომ შენი საყვარელი დედა გარდაიცვალა. ვერაფერ ნუგეშ ვერ მოგცემ ძმაო! იტირე! იგლოვე, მოიხსენე საყვარელი დედა, იგი ამის ღირსი იყო, რომ ვაჟმა დაიტიროს.

მარა დაამტკიცე, რომ ამ დედის ღირსი ხარ და ჯავრზე მაგარი იყავი! შენი ბრალი არ იყო, რომ ჩამოშორდი დედას, ნაგიყვანეს ომში. მარა ეს კიდეც უნდა გითხრა, რომ შორიდგან დედის გული გაახარე. ეს რას ნიშნავდა, რომ შენი მეგობრები მას ნახულობდნენ, ის გაზეთში კითხულობდა ვაჟის ქებას, იყავი ამით ბედნიერი!

ნიკოჯან შენი დედა თვალწინ მიდგას: პატარა, ნაზი, სიყვარულით სავსე, როგორც ქართული ზღაპრიდგან გამოსული! მარა კენჭით მაგარი ატანაში და გადატანაში. ნამდვილი ქართველი დედა!

ღმერთმა არ დააკლოს, ჩვენს სამშობლოს ამისთანა დედაბი.

მოგეხვევი, ვიზიარებ შენს წუხილს. შენი და თამარა“

**(გრუნვალდი-გეგელაშვილი, ენცენსბერგი 12.4.1984).**

ლილის დები თამარ გრუნვალდი და თინა რეუმან-გეგელაშვილები პირადად იცნობდნენ ნიკოლოზის დედას. ისინი სამშობლოში გერმანელი ტურისტების სახელით ჩამოვიდნენ და სამტრედიაში ივდითი ჯანელიძეც ინახულეს.

„დაო ლიზეტა! თინა და თამარა ხშირად იგონებენ თქვენთან სტუმრობას. ძალიან სავსე არიან კარგი სტუმარ-მოყვარეობით და გულკეთილობით ჩვენი დედის და შენს მიერ. შენი სახლის სილამაზესა და ჩვენი დედის კარ-მიდამოს ხშირად იგონებენ. ბიცოლა ივდითისთან სუფთაა, სუფთა ისე

ყველაფერი რომ ვერ შეძლებს კაცი ამის აწერასო, - ამბობს თინა“ **(ჯანელიძე, იტყეპოე 22.02.1981)**.

ივდითი ჯანელიძე, როგორც ყველა დედა ათასობით კილომეტრით დაშორებულ შვილთან უხილავი ძაფებით იყო დაკავშირებული და ყოველ მის წარმატებას საკუთარი სიცოცხლის სასიხარულო მოვლენად თვლიდა...

ეს კარგად იცოდა ნიკოლოზ ჯანელიძემ და ამიტომაც თხოვდა ქართველ მეგობრებს „მის დედიკონასთან“ ჩასვლას ან გამოსხმაურებას. ივდითი ბალდავაძე-ჯანელიძის სახელზე სამტრედიაში, ქუთაისის №15-ში გამუდმებით მოდიოდა მრავალი წერილი:

„ქალბატონო ივდითი!

თქვენი ვაჟის, ნიკოლოზ ჯანელიძის დავალებით გიგზავნით ჩემი სტუდენტის ხელით 100 მანეთს. კოლია კარგად არის, ძალიან ბევრ და კარგ საქმეს აკეთებს საზღვარგარეთ ჩვენი სამშობლოს სადიდებლად. თქვენ ჭეშმარიტად შეგიძლიათ იამაყოთ თქვენი ვაჟით, რომელიც მთელ მსოფლიოს აცნობს საქართველოს.

თქვენ როგორ ბრძანდებით? თქვენი ვაჟი ბევრს მწერს თქვენს შესახებ. მე წარმოშობით ხონელი ვარ, კაკაბაძე. რაც ბებია და მამიდა გარდამეცვალა, სახლი და ეზო-კარმიდამო გავყიდეთ და იქ აღარ ჩავდივარ სამწუხაროდ.

ქალბატონო ივდითი, გისურვებთ ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას!!! იმედი მაქვს, რომ თქვენს ვაჟს კოლიას მალე ნახავთ.

ულრმესი პატივისცემით, თქვენი ნოდარ კაკაბაძე“  
**(თბილისი, 19 იანვარი 1976)**.

ცნობილ გერმანისტს, მთარგმნელსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ნოდარ კაკაბაძეს ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ნიკოლოზ ჯანელიძესთან. მან მრავალჯერ მოუთხრო გაზეთის ფურცლებიდან ქართულ საზოგადოებას გერმანიაში მოღვაწე ქართველი ემიგრანტის შინაარსიან და მიზანმიმართულ საქმიანობაზე ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მისი ძალისხმევით - ორი ერის - ქართველებისა და გერმანელების ერთმანეთთან კულტურულ დაახლოებასა და მეგობრობაზე. ნოდარ კაკაბაძე რამდენჯერმე იყო მიწვეული დასავლეთ გერმანიაში, სადაც ადგილზე გაეცნო ნიკოლოზ ჯანელიძის მოღვაწეობას.

დედის სახელზე გამოგზავნილ წერილთა შორის ასევე ყურადსაღებია მწერალ აკაკი გელოვანის გამოხმაურება:

„ქალბატონო ივდითი, გწერთ უცნობი, თქვენი შვილის თხოვნით. მე და მას დიდი ხანია მიწერ-მოწერა გვაქვს. თქვენ ძვირფასი შვილი გყავთ. დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს კულტურის სასარგებლოდ. ჩვენ ძლიერ ვაფასებთ მის მოღვაწეობას და გვიხარია მისი კარგად ყოფნა.

გასულ წელს ცოტას ავადმყოფობდა, ახლა კარგადაა და კითხულობს ლექციებს. მისი გამოგზავნილი მასალებიდან წერილი დავწერე და „სამშობლომ“ დაბეჭდა, უწინაც დამიბეჭდია. თვითონვე მთხოვს, ამონაჭერი დედაჩემს გაუგზავნო და ვასრულებ თხოვნას. მომწერეთ, როგორ ხართ, ვინ გყავთ და გაქვთ თუ არა შვილთან წერილობითი კავშირი.

პატივისცემით, აკაკი გელოვანი, მწერალი“  
(თბილისი, 28.9.1977).

ნ. ჯანელიძე დედას წერდა: „მიხარია, რომ ჩემი მეგობრები შენთან დადიან. პროფესორი ნოდარ კაკაბაძე მწერს: „დედათქვენი საქართველოს დედაა!“

ლიზეტას კი ატყობინებდა: „შეიძლება შენ გესტუმროს მწერალი რეზო თაბუკაშვილი და მოკითხვა გადმოგცეს“  
(ჯანელიძე, იტცეპოე 20.09.1967).

„გამარჯობა ჩემო საყვარელო დედიკონა!

იმედია ჯანმრთელად ხარ. პროფესორი რაფიელ შამელაშვილმა მომწერა, შენთან რომ ყოფილა სტუმრად. ძალიან გახარებულია შენი გაცნობით და პატივისცემით. ის ცხოვრობს ქუთაისში გორის ქუჩაზე“.

შენი შვილი კოლია, 1977 წელი, სექტემბერი.

მეგობრის თვალი იშვიათად სცდება. ეს სამადლობელი ბარათები უნებურად ვაჟა-ფშაველას ნათქვამს გვახსენებს:



„შვილების მღერა რომ ესმის  
დედის სიცოცხლეს ტკბილია“.

ივდითი ჯანელიძის სახელზე სამადლობელი ბარათები-  
სა და გაზეთებში მისი შვილის სასახელო საქმეებზე დაბე-  
ჭდილი სტატიების ავტორები გახლდნენ: გურამ შარაძე,  
ალექსანდრე ლლონტი, ნოდარ კაკაბაძე, აკაკი გელოვა-  
ნი, პაატა ნაცვლიშვილი, ავთანდილ არაბული, გულნარა  
აბაშმაძე, რაფიელ შამელაშვილი, რუსუდან ზექალაშვილი,  
სულიკო ნინუა, ლევან მენაბდე, სერგო თურნავა, ვიქტორ  
კახნიაშვილი და სხვ.

ნიკოლოზ ჯანელიძის საქართველოში გამოგზავნილ წერ-  
ილებს როცა კითხულობ, უფრო და უფრო მკვეთრდება მისი  
პიროვნული ხატი. წამებულები სამშობლოს უებრო ჭირისუ-  
ფალი და მისი მზიურობის მომღერალი ნიკოლოზ ჯანელიძე  
ემიგრაციაში ამალვებდა თანამემამულეთა სულებს, გულს,  
რწმენასა და იდეალებს.

„ჩემო დიდად საყვარელო, ტკბილო დედიკონა!

მრწამს, შენც გაგიხარდება შენი შვილი ასე რომ შრო-  
მობს. მეორე მხრივ სულელი ვარ, რომ სხვებსავით ქონება  
არ შევიძინე. აბა, მგონი შენი აზრიც ესეც იქნება: - ყველაზე  
დიდი ქონება სამშობლოსთვის ზრუნვაა. იქეიფონ სხვებმა!“  
**(ჯანელიძე, იტცეპოე 10.01.1975).**

„რა ეშმაკად მიინდა სიმდიდრე, შენ მე სული მიჩვენე,  
სული... ის რათა ღირს, რომ ქართველებს დღემდე შეგვრჩათ  
რაინდობა... რაინდის მაღალი სული... ოქრომ დაიმონა ადა-  
მიანის სული, გული მოუკლა... პოეზია გაუქრო“, - ხშირად  
იმეორებდა ხოლმე ამ სიტყვებს საქართველოზე შეყვარებუ-  
ლი ფანატი... ნიკოლოზ სული სტკიოდა...

არიან ადამიანები, ათასჯერ რომ გაგაცნონ, ათასჯერ  
დაგავინწყდებათ, მაგრამ ისეთებიც არიან, ერთხელ რომ  
ნახო, სამუდამოდ გულში ჩაგრჩებიან, როგორც საკუთარი  
სისხლ-ხორცი. სწორედ ასეთი ადამიანი იყო დიდი მოქალაქე  
და ფართო ჰორიზონტის მოღვაწე ნიკოლოზ ჯანელიძე,  
რომელსაც „პატარა ქალაქ იტცეპოესა და მის მახლობლად  
მდებარე ქალაქებსა და სოფლებში (კელინგჰუზენი, ბრაიტ-

ენერჯი, ჰენშტეტი და სხვ.) კარგად იცნობდნენ და სიყვარულით ჯანესს ეძახდნენ“ (**„ქართული ფილმი“ 1990:4**).

საქართველოსთვის თავდადებულ მამულიშვილს ასეთივე დიდ სიყვარულს უცხადებდნენ სამშობლოდანაც: „ძალიან გამიხარდა ჩვენი სკოლის ლიტერატურის წრემ, რომ მომწერა და ფოტო-სურათები გადმომიგზავნა. მიხარია, ასე აქტიური რომ არიან.

გთხოვ, მოკითხვა გადასცე მარგალიტას. წერილიც მივიღე. სიხარულით მეც ვიტყვი“ (**ჯანელიძე, იტყეპოე 19.12.1989**).

წერილში საუბარი იყო სამტრედიის მე-6 საშუალო სკოლის შესახებ, რომელიც ნიკოლოზის სურვილით ყოფილი სტაროსელსკის მოედნის №32 და დღევანდელ ქუთაისი ქუჩის N15 სახლის ეზოში აიგო: „ჩემი დედ-მამის ნაოფლარ მიწაზე ძველ სამტრედიაში სკოლა ააშენეს და მოწაფეთა ჟრიაბული გაისმის, რაც ასე ახარებდა დედაჩემს. მეც ბედნიერი ვარ“ (**„ნიგნის სამყარო“ 1984:8**).

თითქმის ყველა ღია საფოსტო ბარათში ნიკოლოზ ჯანელიძე გულწრფელ მოკითხვას უგზავნიდა ამ სკოლის დირექტორს, ლიტერატურის წრის ხელმძღვანელს ქალბატონ ზოიას და მის წევრებს ნაყოფიერი მუშაობისათვის. და, თითოეულ მათგანს წარმატებებს უსურვებდა:

„მომიკითხე ქალბატონი ზოია, ლიტერატურის წრის წევრები და ყველა მასწავლებელი, რა თქმა უნდა დირექტორიც“ (**ჯანელიძე, იტყეპოე 18.06.1990**).

სამტრედიაში გაგზავნილი ბარათების ყოველ კონვერტზე ნიკოლოზი ღიად აწერდა: „მოკითხვა ჩემს ძველ სამტრედიას და ყველა სამტრედიელს“ ან „გაუმარჯოს საქართველოს და მისს ხალხს“.

ნიკოლოზ ჯანელიძის ცნობიერებაში ის წარსული და ძველი სამტრედიელი ისე იყო დამკვიდრებული, რომ თუ კი ვინმე რაიმეთი იყო დაკავშირებული სამტრედიასთან ეამაყებოდა. იგი აღფრთოვანებული იყო იმით, რომ პროფესორი რაფიელ შამელაშვილი და გერმანისტი ვიქტორ კახნიაშვილი სამტრედიელების სიძეები იყვნენ.

მის სიყვარულს თანაქალაქელებიც იგივე გრძნობით  
პასუხობდნენ. სწორედ ეს სიყვარულია გაჟღერებული ზინა  
შენგელიას ლექსში „მონატრება“:

„მენატრება ჩემი სახლი,  
ჩემი ოდა ქართული.  
მენატრება სამტრედია  
ჩემი დედულ-მამული.  
მენატრება დედაჩემი  
დედისერთას ნატრული.  
მენატრება მეზობლები,  
შეჭამანდი ქართული.  
იყო დრო, რომ ავისრულე  
ნაწილობრივ წადილი.  
ჩემ დაიკომ მომიმზადა  
იმერული სადილი.  
ის დღე იყო საოცნებო  
ჩემთვის ალბათ ახალი,  
არ არსებობს შენიანზე  
უფრო კარგი წამალი.  
ეს წამალი მე მამხნევეს.  
თუმცა წლები გავიდა,  
მაგრამ ახლა ხელმეორედ  
მისი ნახვა მომინდა.  
ისევ ითხოვს ჩემი გული  
ჩემს დაიკოს ხილვასა  
ალბათ შემდეგ მე გავიჩენ  
საბოლოო ბინასა.  
მენატრება საქართველო  
მესიზმრება ღამითა.  
ჩემს დაიკოს კიდევ ვნახავ?  
გავიხარებ ამითა.  
წამოყვები სამშობლოში  
ჩემს მიწას რომ მამთხვიონ.  
ჩემი დედის საძვალესთან  
ცხარე ცრემლი ვაფრქვიო.

ბევრჯერ გული თუ გატკინე  
მაპატიე დედიკო.  
ჩემი ნებით არ მომხდარა  
აღბათ ბედი ეს იყო“.

თითქმის ორი წელი ევედრებოდა ნიკოლოზი მის საყვარელ დას - ლიზეტას რომ კვლავ სწვეოდა გერმანიაში: „საყვარელო დაო ლიზეტა! ჯერ კიდევ არ მიმიღია, სურათები და ნანას მისამართი!

გთხოვ, მალე გამომიგზავნო, რომ დაპატიჟების ვიზა ჩქარა გამოგიგზავნოთ!

თამარა სიონის მონასტერში იქნება აღდგომის დღეს წირვაზე ე.ი 30 აპრილს! აბა, ველოდები მისამართს და მოუთმენლად ველოდები შენი და ნანას აქ ჩამოსვლას!

შენი ძმა კოლია ჯანელიძე (იტცეპოე. 30.03.1989).

1990 წლის აგვისტოში მეორედ ეწვია ნიკოლოზს გერმანიაში მისი და ლიზეტა, ხოლო დისშვილმა მანანა ბრეგვაძემ (ეთერ ჯანელიძის ქალიშვილი) კი პირველად გაიცნო ოცნებად ქცეული ბიძა. ისინი მასთან 15 დღე დარჩნენ და ბედნიერების ბოლო წუთები აჩუქეს.

„ჩემო საყვარელნო, დაო ლიზეტა და საყვარელო დის შვილო ნანა!

მის შემდეგ, რაც თქვენ გაემგზავრეთ არის ჩემს პატარა ბინაში ძალიან მოწყენილი მდგომარეობა, მხოლოდ მე და ჩემი საშინელი ხველება ვართ მარტო!

თქვენი სიცილი და თქვენი საუბარი მაკლია. ახლა კი მენატრება ლომი. მაშინ ჩემი არა კარგად ყოფნის გამო ვერ ვიგემე კარგად. დღეს პურით ვჭამე კეთილი ჩვენი მარგალიტას სულგუნნი. ძალიან გემრიელია და მადლობას ვუძღვნი!

ჩემი ლამაზი თხა სამუშაოდ არის, ახლა წამოვიყვან და კაპუჩინოს სამწუხაროდ, უთქვენოდ დავლევთ!

გზაში ყველანი მეკითხებიან, კარგი მგზავრობა ჰქონდა შენ დას-ო? მე ისევ ვახველებ, ახალ წამლებს ვღებულობ! იყავით კარგად და ჯანმრთელად. მომიკითხე, გკოცნით თქვენი ოჯახის წევრებს სიყვარულით.


თქვენი კოლია ჯანელიძე“ (იტცეპოე. 20.10.1990).

„შენ ჩემო დაო ლიზეტა ბედნიერი ერთი მხრივ მაინც ხარ - განუწყვეტლივ უვლიდი და ყოველდღე ხარობდი ჩვენი დედით.

დიდად გთხოვ, ჩვენი დედ-მამის საფლავს და ჩემს გულს გაახარებდი თუ ჩვენი დედ-მამის ოჯახის კერიას არ გააცხივებდი და ჩვენი დედ-მამის ნაოფლარზე მათი შვილიშვილებიდან ვინმე თუ იცხოვრებს, ისე კეთილად, რომ თქვენ



ლიზეტა და ნიკოლოზ ჯანელიძეები, მანანა ბრეგვაძე და ედელტრაუდ შუკარტი.



მანანა ბრეგვაძე ბიძასთან ნიკოლოზ ჯანელიძესთან ერთად.

ყველას იმ ოჯახში შესვენდრა შეგეძლოთ, სადაც ჩვენ დავიზარდეთ“... ეს ძმის მოკრძალებული თხოვნა იყო.

ბოლო წლებში ნიკოლოზს მეგობარი ქალი გერმანელი ედელტრაუდ შუკარტი უვლიდა. იგი მას ქართულად ელაპარაკებოდა, თუმცა ქალი გერმანულად პასუხობდა.



ნიკოლოზ ჯანელიძე, მანანა ბრეგვაძე, ლიზეტა ჯანელიძე, ბრუნს ბუტტელი. 12.08.1990 წ.

„ამ ქალაქში ჩამოვედი ედელტრაუდთან ერთად. ხვალ მგონი „ტილიფობა?“ მოკითხვა ყველას აღმა-დაღმა ჯანელიძეებს, ბაღდავაძეებს, როგორაა გერასიმეს, საშაის, ლამარიეს ოჯახები. ჯინჭარაძეები, რუხაძეები? ყველას გაუმარჯოს“, - წერდა ნიკოლოზი მისიანებს დუსელდორფიდან.

ლილი პაპე-გეგელაშვილის გარდაცვალების შემდეგ ნიკოლოზზე გამუდმებით ზრუნავდნენ თინა და თამარ გეგელაშვილები: „საყვარელო დაო ლიზეტა! ჩემი წერილი ალბათ მიიღე. მე მჭირდება ნანას მისამართიც, დაბადების დღეც და შენიც. მოგიკითხა თინამ. დღეს ჩემთან იყო და ორი ლამაზი და გემრიელი ხაჭაპური მომიტანა. იყავი კარგად. გკოცნით, შენი ძმა კოლია“ (ჯანელიძე, იტცეპოე 22.02.1989).

„ჩემო საყვარელო ლიზეტა, გენაცვალე ძალიან მენატრები, ედელტრაუდი და მე ხშირად შენსა და მანანას სურათებს დავცქერით.

ვწუხვარ, თბილისში იარაღით რომ არის გამოსვლები. ჩვენ მშვიდობიან ქვეყნად გვთვლიდნენ უცხოელები და ახლა კი რა უბედურებაა!

თინა ვერა გვყავს კარგად. კიბოს სენი აქვს. იმედია, ღმერთის წყალობით გამოჯანმრთელდება.

ფიროსმანის საზოგადოებამ მომწერა თბილისიდან. და ერთმა ჯანელიძემ ჩემი დაბადების დღისათვის თბილისიდან. ერთი საზოგადოების თავმჯდომარეა! გააკოცებ შენი ძმა კოლია“ **(ჯანელიძე, იტცეპოე 26.09.1991)**.

„საყვარელო დაო! მგონი მოგწერე შობის წინ თინა გარდაიცვალა, ძალიან მაკლია მისი საუბარი და სიცილი. თამარამ მთლად ნერვები დაკარგა. იმედია მალე დამშვიდება.“

მოგიკითხა ედელტრაუდმა. მისი სნიპი ჩემსავით დაბერდა და დაღანჭალობს ქუჩაში!

ამ ოხერმა ხველებამ სული ამომიღო! ახლა ჩემი ექიმბაში ზურგზე ბანკებს მაყრის. ამით ხერხემლის ტკივილი მთელი დღით მიყუჩდება. ძალიან დავსუსტდი. სიარული მიჭირს ხერხემლის ტკივილის გამო!

წუნუნი არაფერს არ შველის „სიბერემდე სიქაჩლე!“ გკოცნით ყველას“ **(ჯანელიძე, იტცეპოე 9.03.1992)**.

გერმანელ მეგობრებს შორის ჯანესი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა. ალბათ, იმიტომაც რომ მას ძვალსა და რბილში გამჯდარი ჰქონდა ქართველი ერის სიყვარული და რომლისთვისაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ლოცულობდა.

„ჩემმა სტუდენტმა, პროფესორმა ვინფრიდ ბოედერმა დამირეკა. მხოლოდ ქართულად მელაპარაკა და მერე როგორი დანყობილი, დარბაისლური ქართული იცის! მისი მოსმენა ყოველთვის მახარებს. ძალიან უყვარს საქართველო, უაღრესი პატივისცემით ლაპარაკობს ქართველ ხალხზე. ისიც ქართულს ასწავლის ოლდენბურგის უნივერსიტეტში. ეს არის ჩემი სიცოცხლის შინაარსი და განძი. იქნებ ბევრი მეგობარი დაეზარდოს საქართველოს და ამ აღსასრულის

ნინ მიხარია, რომ ამაში მეც მიმიძღვის წვლილი“ („ნიგნის სამყარო“ 1984:8).


სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს ვინფრიდ ბოედერმა მასწავლებელს მოგონებების დაწერა თხოვა.

„ჩემო საყვარელო დედიკონა!

ჩემთან ახალი არაფერი არ არის. ბოდიში, რომ წერილის მოწერა დამიგვიანდა. ჩემს მოგონებებს ვწერ და ამას დიდი დრო მიაქვს - ფიქრებს, მოგონებებს და წერას. მომიკითხე ჯანელიძეები, ბაღდავაძეები, მეზობლები და მეგობრები.

კოცნა-ხვევნით, შენი შვილი კოლია ჯანელიძე“  
(ჯანელიძე, იტცეპოე 5.1.1984).

ამ მოკლე ბარათში ცრემლებს ისე წაეშალა სტრიქონები, რომ ამოკითხვაც ჭირდა. ცხადია, ნიკოლოზ ჯანელიძე მწვავედ განიცდიდა წარსულის გახსენებას, რადგან უკვე ვეღარ ერეოდა გადატანილ არაადამიანურ ტკივილებსა და განცდებს, ამიტომაც ძალა არ ეყო მემუარების დასასრულებლად. ამასთან იგი ყოველთვის გვერდს უვლიდა ტყვედ ჩავარდნის მძიმე პერიოდის გახსენებასაც. მხოლოდ ერთხელ და ისიც დასთან შეძლო გულის გადაშლა...



ნიკოლოზ ჯანელიძის ყოფილი სტუდენტი, გერმანელი ქართველოლოგი პროფესორი ვინფრიდ ბოედერი



ნიკოლოზ ჯანელიძე მოესწრო საქართველოში დატრი-  
ალეზულ 9 აპრილისა და ძმათამკვლელ სამოქალაქო ომის  
ტრაგედიას.

თბილისში მომხდარმა 9 აპრილის ტრაგედიამ მთელი  
მსოფლიო შეძრა. ამ ამბით შეძრწუნებულმა მიუნხენში  
მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტებმა „პარაკლისი გა-  
დაიხადეს და სულის მოსახსენებელი სუფრა გაშალეს 9  
აპრილს დაღუპულთა მოსაგონებლად. აქ მოვიდნენ იქაური  
ქართველები: ქრისტეფორე კირკიტაძე, ვახტანგ ჩხაიძე,  
კარლო ინასარიძე, სოსო ჟორჟოლიანი, თამარ გეგელაშვი-  
ლი, იონა მთვარაძე, ექვთიმე ენდელაძე, თამარ ჩოფიკაშვი-  
ლი, ანელიზე კუჭუხიძისა და სხვები თავიანთი მეუღლეებით,  
შვილებით, ოჯახის წევრებით... მათ მწუხარებას საზღვარი  
არ ჰქონდა, ყველას თვალებში ცრემლი კიაფობდა, სამძიმ-  
რისა და თანაგრძნობის სიტყვებს ყელში ბურთივით მონო-  
ლილი ნალველი აღრჩობდა...“ (შარაძე 1991:582).

იტცეჰოედან 1991 წლის 12 ნოემბრით დათარიღებულ  
ღია საფოსტო ბარათში ნიკოლოზ ჯანელიძე ლიზეტას  
სწერდა: „დიდი ხანია შენი წერილი არ მიმიღია. იმედია, ყვე-  
ლანი ჯანმრთელად ხართ.

ძალიან ვწუხვარ თბილისში, რომ თვით ქართველებს შო-  
რის არეულობაა! ღმერთო ჩემო, განა ეგ საჭიროა?! ერთი  
მეორეს, რომ ცხელ ტყვიას ქართველი ქართველს გულში ეს-  
როდეს?!“

ყველანი მეუბნება, გერმანელი მეგობრები: „ლამაზი ქვეყ-  
ნის, ლამაზი შვილები - ქართველები, რამ გააგიჟაო?!“ მო-  
მიკითხე შენი საყვარელი შვილები, თანაც ნანა, მანანა, ჯე-  
მალი, გურამი!

გკოცნით, შენი ძმა კოლია ჯანელიძე“.

სამშობლო ქვეყნის ბედუკუღმართობით გამწარებული  
ემიგრანტი ნიკოლოზ ჯანელიძე თანამემამულეებს ვაჟას  
სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკითხებოდა: „სრულ ჩვენ რადა  
ვართ ტანჯვაში, კვნესა რად ისმის ჩვენითა?!“-ო.

საერთოდ, ყველა ემიგრანტის მსგავსად, ნიკოლოზ

ჯანელიძეც ერთი და იმავე სახით აგვიწერს ემიგრანტულ ცხოვრებას, სამშობლოს ნატვრის სიმძიმესა და სიმწარეს. როგორც ყველა ემიგრანტი ერთგვარად რეაგირებდა გადახვენილობის მიმართაც.

სამშობლოს მონატრებამ და ნალველმა თანდათან დაფერვლა მისი გული.

„1993 წლის გაზაფხულზე გაზეთ „დრონი“ გამოქვეყნდა გამოჩენილი გერმანელი ქართველოლოგის, ქალაქ ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ვინფრიდ ბოედერის გულთბილი მოსაგონარი. მიძღვნილი უცხოეთში აღსრულებული კიდეც ერთი ღვანღმოსილი ქართველისადმი - ნიკოლოზ ჯანელიძისადმი. იგი მწუხარებით გვამცნობდა, რომ 1993 წლის 31 მარტს ქალაქ იტცეჰოეში 72 წლის ასაკში გარდაიცვალა ბედუკულმართობის გამო სამშობლოსაგან მოწყვეტილი ჭეშმარიტი მამულიშვილი. ვისაც, მიუხედავად იძულებითი ემიგრანტობისა, ერთი დღეც არ უცხოვრია სამშობლოს გარეშე და სიცოცხლის ბოლო წუთებშიც, როგორც ბატონი ვინფრიდი წერდა, „დღევანდელი საქართველოს წინაშე მდგარი დიდი პრობლემები მისი წუხილის საგანი გახლდათ“ („ბურჯი ეროვნებისა“ 2000:4).

სამძიმრის წერილში ვინფრიდ ბოედერი, თამარ გრუნვალდი-გეგელაშვილი და ედელტრაუდ შუკარტი ოჯახს ატყობინებდა, რომ „ნიკოლოზ ჯანელიძის ანდერძით მისი ცხედარი დაფერფლილიყო და ანონიმურად დაკრძალულიყო. ჩვენ პატივს ვცემთ მის სურვილს“.

სამშობლოს ბრწყინვალე მომავლის ნატვრაში სულდაღეული ემიგრანტის ფერფლი, სიმონ ჩიქოვანისა და მარიკა ელიავას უგონო სიყვარულის დარად, ლილი გეგელაშვილის საფლავზე მიმოაპნიეს. „და უკვდავება მარადი, მხოლოდღა სიყვარულშია“, - ეს მარადიული გრძნობა აცოცხლებდა და აძლებინებდა მას მთელი 50 წლის მანძილზე უცხოეთის ცის ქვეშ. და რასაც აკეთებდა, აკეთებდა მხოლოდ სამშობლოსა და მისი კეთილდღეობისათვის, რომლის სახეში გაიგივებული ჰყავდა საყვარელი ქალის ლილი გეგელაშვილის ხატება.

იგი ერთი რწმენით წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მის ფერფლს ქარი ოდესმე მაინც წაიღებდა საქართველოში.

\* \* \*

... „ისევ ის ნოსტალგია, უსაზღვრო სევდა და მონატრება დაკარგულ სამშობლოზე! ყველაფრიდან ჩანს, როგორც მიხეილ ქავთარაძე ამბობდა, სიმონიკა ბერეჟიანზე: მას „ან ქართულად და ქართველად უნდა ეცოცხლა ან იგი ვერ იცოცხლებდა“-ო...

ეს პოსტულატი ნიკოლოზ ჯანელიძესაც მიესადაგება, რადგან ჯანესი – ქართველი ემიგრანტი გერმანიიდან „ცოცხლობდა საქართველოთი და საქართველოსთვის“, რამეთუ სამშობლო ერთია ქვეყანაზედა.



Եղև, Եյրոս յձն, Ենցեյձն  
ճա Երպրոս պեմոս յոյձն

## Frieden

„Über Frieden sprechen Alle,  
Über Frieden redet Jeder,  
Für den Frieden bemüht und  
Poll man immer bemüht sein,  
In der Gegenwart und in der Zukunft  
Von Jugend an bis ins hohe Alter –  
Bis der Mensch friedlich in Frieden  
Sterben kann!  
Meines Erachtens trägt jeder Mensch  
Frieden im Harzen  
Und Frieden in der Seele,  
Aber manchen Menschen  
Fehlt das ruhige Blut,  
Also meine Damen und Herren,  
Meine Empehlung zwecks Friedens:  
Ruhiges Blut und klarer Verstand,  
Für den Frieden  
Auf der Erde!“

Nikoloz Dschanelidse  
(ոՆ. տարգմանո. թթ. 64)

rischlen  
nzeliger  
piegel

ienstag  
er 1963  
anfang  
EMA - 40

# Kreis-Zeitung

V4333B

für die Kreise Rendsburg-Eckernförde und Steinburg

zu übermitteln, um die Antworten in  
solche Fragen zu suchen. alten Schulhof statt.

## Frieden

*Über Frieden sprechen Alle,  
über Frieden redet Jeder,  
für den Frieden bemüht und  
soll man immer bemüht sein,  
In der Gegenwart und in der Zukunft.  
Von Jugend an bis ins hohe Alter -  
bis der Mensch friedlich in Frieden  
sterben kann!  
Meines Erachtens trägt jeder Mensch  
Frieden im Herzen  
und Frieden in der Seele,  
aber manchen Menschen  
fehlt das ruhige Blut;  
also meine Damen und Herren,  
meine Empfehlung zwecks Friedens:  
ruhiges Blut und klarer Verstand,  
für den Frieden  
auf der Erde!*

*Nikolaos Deschaniotis  
Träger der Internationalen  
Albert Schweitzer Friedens-Medaille*

## Amtsaussch. Ankrug tag

AUKRUG (a).  
25.10.63 um 20.00  
auszusch. Ankrug  
oben Sitzung im  
Rästelhauses Aus-  
geg. Sitzung ab  
geg. Arbeit 18.00  
nicht, der Haushal-  
"Sonstiges", in der  
öffentlicher Sitzun-  
angelegenheiten!

## Gemeinderat Ankrug (a)

AUKRUG (a). E  
über wichtige Ge-  
rechten standen an  
ordnung der letz-  
tersitzung in  
meister Hans-Au-  
late zunächst vor  
in der Bergfelde  
Verzögerungen  
Abschluß entgegen  
an den Bauträge  
burg-Eckernförde

გაზეთ „კრაიზერ ცაიტუნგში“ ნიკოლოზ ჯანელიძის ლექსი  
„თავისუფლება“

დიდად პატივსცემული  
პატივით ალექსანდრე!

ზემი დიბევილი ნაწი შეკრებიან  
ქართულად "იპნანონ" და "მეტიანი" მკვლ  
მეტიანი "და მთავარი სიბრძნის  
და მთავარი იმედიანი ექვსიდან ნოემბრისთვის  
მეტიანი ნოემბერი და მთავარი ცივილიზაციის შენობა ქართულად  
და და ამ მთავარი იმედიანი ნოემბერი იმედიანი ქართულად  
და იმედიანი ნოემბერი ნაწილი მთავარი იმედიანი ნოემბერი  
იმედიანი ნოემბერი ნაწილი მთავარი იმედიანი ნოემბერი  
ქართულად იმედიანი და მთავარი ნოემბერი 500-მდე  
იმედიანი. მთავარი, რომ მთავარი ქართულად ნაწილი!

დიდად პატივსცემული  
იმედიანი  
ნოემბერი ნაწილი

ქართული დიდადი - მთავარი ნუ დაწვინა  
ლოლი იყო ზემო ნაწილი მთავარი ანა მთავარი  
მთავარი, დიდადი იქ იქი და ნაწილი  
მთავარი და მთავარი სიბრძნის ან სიბრძნის.  
დიდადი ზემო მთავარი ალექსანდრე ან სიბრძნის  
ნაწილი, ნაწილი სიბრძნის ან სიბრძნის  
ლოლი იყო ქართული ნაწილი მთავარი  
ლოლი დაწვინა: "მთავარი და  
ლოლი ნაწილი მთავარი ან სიბრძნის:  
ლოლი მთავარი!"

მთავარი ქართული მთავარი ნუ ნაწილი.  
მთავარი ქართული მთავარი ნაწილი!

პატივით  
პროფესორ ალექსანდრე ლლონტი  
პ. ქართული ნაწილი № 18  
ნაწილი 35

პროფესორ ალექსანდრე ლლონტი სადაში გაგზავნილი წერილი.  
იტცეპოე. 1990 წ.

ეს წერილი ყველაზე უფრო სიყვარულითაა დაწერილი და მისი მიზანმიმართულია. მისი მიზანმიმართულია და მისი მიზანმიმართულია.

სტოპ. აკაკი შანიძე  
თბილისი 9.  
კვანთაძის ქ. № 1 ბინა 30  
ფონ. 22-04-86

თბილისი 19.11.75

დიდი პატივით  
გწერთ წერილს!

დიდი პატივით მოვკვნი  
ქვეყნის წინაშე "ქართული  
ენაზე გამოქვეყნებს ან წიგნს  
გამოქვეყნდება მშენებლის გზაზე.  
ქვეყნის წინაშე და წიგნით  
წიგნით.

ამისთვის ვახდენ წესის დაცვას  
ხელს გამოქვეყნებს წიგნს

მადლობა ა. შანიძე

ეს წერილი წიგნი და მისი მიზანმიმართულია.

აკადემიკოს აკაკი შანიძის სამადლობელი წერილი.  
თბილისი. 1975 წ.



გამაყვარებელი  
 ტელეფონა!  
 მუნი  
 მუზეუმი  
 კოლონი  
 ჯანელი

ამიერიდან ყველა ძველი საქმე ჩვენია

ჩემს საყვარელ ღვინაძეებთან ერთად ახალი ჯანელიძეების  
 ძველი სამყაროა

თავისი შვილი

ვოლია/ნიკოლოზ/სილოვანის-ძე ჯანელიძისაგა

სურათი გადაღებულია გერმანული გაზეთ-ჰრესხინათვის -  
 ქართული სამხარეთლოს რიგის ლილის და ჩემი გალათარგმნის და  
 გამოცემის გამო  
 ამ წიგნმა ქართველი ღვინათმცოდნეებს კარგი სახელი და ქება  
 დიღება მოუტანა გერმანულ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნებში.

გაუმარჯოს საქართველოს და ამის ერს შინ და გარეთ

© BY SVEN ROHR  
 LINDENSTR. 11  
 22601 WITTMERSHORN  
 A.E. GERMANY  
 TEL. 0431-20924  
 KTO. NR. 59/12373  
 COMMERZBANK

1982 მარტის თვე



კეთილი სახელოებით  
ქალ-შვილები

შენი ქართული ზღაპრით  
ძველი მამულები და ძველი მამულები  
მეზობლები - ზღაპრები ქართული და  
მხატვრული.  
ამ მხატვრულ ნაშრომს ვუძღვრებ  
შენი დაფინანსებით და მამის ცოლი, შვილი  
მინდა ვთხოვ, რომელიც მამის ვაჟი  
ქალ-შვილები

შენი მამის ასეთი ქართული ზღაპრით.

თქვენ იხილეთ აქვენი მხატვრული ნაშრომი.

ქალ-შვილები ქართული ზღაპრით

ნ. დიმიტრი (მამა) ბილიძის მიერ  
ქართული ზღაპრული

საქართველო დას. მხატვრული.

Georgischer Verlag-Sakharthwelt

Nikoloz Dschanelidze  
221 NIZHNE, Feldschmiedekamp 38  
Postfach 93

შენი და-მამა და შვილი ბავშვობის სიყვარულს  
და ქართული ზღაპრით ეს ნაშრომი უძღვრებ,  
მინდა ვთხოვ, რომელიც მამის ვაჟი  
ქალ-შვილები

მასწავლებელ შენია ქართველი ზღაპრისადმი  
გაგზავნილი ბარათი.

# Georgischer Literatur Verlag - Sakharthwelo

Nikolos Dschanelidse

(Lidia Pape v. Gegelaschwili † und Ulrich Pape †)

Postfach 1203 · Feldschmiedekamp 47 · D 2210 Itzehoe/Holstein

Georgischer Verlag · Postfach 1203 · D 2210 Itzehoe

Vereins- und Westbank Itzehoe

Konto Nr. 20/479915

Postscheckamt Hmbg. 247 631-201

ჩემო ხაყვარელო დაო ღიზეჭადა ხაყვარელნო ღიხ-მვიდეგო:  
მანანა, ნანა, ია, ლია, ჭურაპი და ჯემალი!

იმედია ჩემი ხაყვარელი ღელახ გამჩენის ძალა ღიღხანს  
მიგოცხლებს!

ჩემი აზრი, ხურვილი და თხოვნა თქვენს წმინაძე პრის:  
ღელემ მველი სამჭრელიაში ქუთაისის ქუჩა 15-ში, ხადავ  
ჩემმა-მშობლებმა ივლითი და ხილოვან ჯანელიძეებმა  
დაგვბადა და დაგვმარდა ამ ოჯახის კერას ნუ ჩააქრობთ.  
თქვენ ყველამ ერთად ხელი-ხელჩაკიდებით ააშენეთ ერთი  
თუ ორი ხახლი იხეთი, რომ ყველას თქვენ შეგეძლოთ სამჭ-  
რელაში ჩახვლა მხიარულება და დახვეწება.

ხაშამორღ თუ ხაგაშახულოღ, ხაშახულოღ თო ხაშემოდგომით!  
თქვენ ახალგაზრდები ხართ, ხახელმწიფოღ დაგეხმარებათ და  
აღვიღალ ხახლის აშენებას შეძლებთ.

მე ჩემთვის პირადად არაფერს გთხოვთ, აბა ეხ ხურვილი  
შემიხრუღეთ ნუ ჩააქრობთ მამა-პაპანის ცხოვრების კერას  
მველი სამჭრელიაში თქვენლა ხახარგებლოღ!

იყავით ერთად მშვიდობიანობით სიხარულით, ჯანმრთელად.  
გამჩენის ძალამ გამრავლოთ და გაშენოთ!

ხვევთა კოცნით შენი ძმა და თქვენი ბიძია

კოლია/ნიკოლოზ/ხილოვანისაძე ჯანელიძე

*ქოლია/ნიკოლოზ/ხილოვანისაძე  
ჯანელიძე*

*მ. ივლიძის, 1983 წლის  
დასავლეთი გერმანია*

ნიკოლოზ ჯანელიძის წერილი ოჯახს.  
დასავლეთ გერმანია. 1983 წ.



მრ. მეგრულენი ჩემში სჯივს საყდამზე მო-  
წყობს ხარ. ამაგმა "მეგრულენი" მუცა რქის მდებარე  
შინამს ხანამ წიროლან. საყდამ აქვს ქანებში და  
განმარტობს, სჯივს სჯივს მუცა მუცა. ვინც მოსიყვარ.  
იგი ჩემს ქანებში შინ საყდამს აქვს. 1947 წ.  
სჯივს ხარ წიროლან. გქმნის მდებარე

სხამ ვინცან. ყხარა-მდებარე სჯივს. აქვს  
მეგრულენი ვინცან. აქვს აქვს, სჯივს  
აქვს ვინცან

ყვან სჯივს და ქანებში. ვინცან მოსიყვარ  
ყვან სჯივს

მეგრულენი ვინცან

ემიგრანტ გივი კობახიძის წერილი.  
მიუნხენი. 1947 წ.

20.7.77

ჩემი საყვარელითა დამელოძე  
ჩემი საყვარელითა დამელოძე.

ია დე ლიან!

ქიზუნა ვერისი სუბილუგე  
„მედიკის შილი“: ლ. ბუხარაძე

ლიანო, დავიწყებ ვერისი ანაბე  
აქ დასწავლეთ. დავიწყებ ვერისი  
ქონ ყაჩაღობა ვაპირებ, ჩემი ბავშვთა  
საყვარელი იყო. ნაყარსუბილი ცნობა.  
მოხსნა. ვერისი ამ სუბილუგე ჩემი  
ლიან ვამაყვანა: ყაჩაღობა მოახდ  
მოიხსნა დამელოძე! ლიანო  
ლიანო დამელოძე! ლიანო


ესაბო საყვარელითა ვაპირ  
სახელი მოკუცვიქცა!

მოკუცვი ყველაზე აქა  
რქა! აქვინი ნახელ  
შობი

ნიკოლოზ (საბო) სუბილუგე  
ქანდობა

Georgischer Verlag-Sakharthwa  
Mikela Dzhanelidze  
22117EHOF, Feldschmidekamp 3  
Postfach 93

დისა და დისშვილებისადმი -  
ლიზეტა ჯანელიძისადმი გაგზავნილი ბარათი.  
იტცეპოე. 1977 წ.



ნიკოლოზ ჯანელიძისადმი მიძღვნილი  
 ბავშვთა გამოფენის მონაწილეთა მეგობრული სარუი.  
 იტცეპოე. 1990 წ.

მე სამი მუთიჭირადი დაი მუთიჭირად ხიცა  
მამუჯიქვნი იმეა მითიქვნი. მამუჯიქვნი  
ყნა მამუჯიქვნი 25 მამუჯიქვნი და მამუჯიქვნი  
მამუჯიქვნი მამუჯიქვნი მამუჯიქვნი მამუჯიქვნი  
მამუჯიქვნი. მამუჯიქვნი მამუჯიქვნი მამუჯიქვნი  
მამუჯიქვნი მამუჯიქვნი მამუჯიქვნი მამუჯიქვნი  
მამუჯიქვნი მამუჯიქვნი მამუჯიქვნი მამუჯიქვნი  
მამუჯიქვნი მამუჯიქვნი მამუჯიქვნი მამუჯიქვნი

მამუჯიქვნი  
მამუჯიქვნი  
მამუჯიქვნი მამუჯიქვნი

მამუჯიქვნი მამუჯიქვნი

მამუჯიქვნი მამუჯიქვნი  
მამუჯიქვნი

მამუჯიქვნი მამუჯიქვნი მამუჯიქვნი  
მამუჯიქვნი მამუჯიქვნი მამუჯიქვნი  
მამუჯიქვნი მამუჯიქვნი მამუჯიქვნი  
მამუჯიქვნი მამუჯიქვნი მამუჯიქვნი  
მამუჯიქვნი მამუჯიქვნი მამუჯიქვნი  
მამუჯიქვნი მამუჯიქვნი მამუჯიქვნი

დედისადმი გაგზავნილი ბარათები.  
იტცეპოე. 1975 წ.



Fw  
Hanna Trshavelidze  
mit den herzlich-  
sten Grüßen zur  
Erinnerung an  
den 10. IV. 90'

Doris u. Winfried  
Boeder



ბ-ნი ჯანესის მოსაგონებლად.  
ლორენ და ვინფრიდ ბოედერები. 10 აპრილი, 1990 წ.



Voll tiefer Trauer müssen wir Sie wissen lassen,  
dass unser guter Freund und Lebensgefährte

Nikolos Dschanelidse  
geboren am 2. Februar 1921 in Ssamtredia,

nach tapfer ertragener Krankheit am 31. März 1993  
gestorben ist. Wir haben einen bewundernswerten  
Menschen verloren, der Ausserordentliches aus dem  
gemacht hat, was das Leben ihm an Möglichkeiten bot.  
Er war ein treuer Sohn seiner Heimat Georgien, deren  
Kultur und Sprache er unzähligen Menschen auf viel-  
fältige Art nahegebracht hat.

Nikolos Dschanelidse hat bestimmt, dass sein Leich-  
nam... eingeäschert und anonym bestattet wird.

Edeltraud Schukart




Thamara Grunwald  
geb. Gegelaschwili




Winfried Boeder

Itzehoe, April 1993

თამარ გრუნვალდ -გეგელაშვილის სამგლოვიარო დეპეშა  
ნიკოლოზ ჯანელიძის ოჯახს.  
იტცეპოე. 1993 წ.

*ნუკმს მბ ჯნუქიძიბ დიუი  
ჯუმიხუკ-ჯა ლაიუძიბი-ი ლიუბიუბი*





# S u m m a r y

*Mariam Marjanishvili*  
*Doctor of Philology*

## **Janes – a Georgian emigrant**

Each person's step is a history which continues its life even after their death and lasts according to how well they served the needs of their country. In this respect we would like to present the life and creative work of an emigrant Nikoloz-Janezi (Nikoloz Janelidze).

During the World War II, he was taken hostage and stayed in Germany, far from Stalin's repressions. For 50 years he served the destroyed German nation to help it in its spiritual revival, to develop and strengthen the cultural links between Georgia and Germany.

In Ikzehe, he founded the publishing house "Sakartvelo" where he regularly published German translations of the best works of Georgian writing.

The first book translated into German was "Die Apostolin Nino" which was published in 1961. In 1970, "Sakartvelo" published "The Georgian Cuisine", translated by Lili Pape gegelashvili, Ulrich Papes and Nikoloz-Janezi.

His creative list includes: the German translation of "Georgian Tales" published in "Sakartvelo" in 1974, Georgian short stories: Vazha-Pshavela's "The story of the roebuck", "Nature", passages from Ilia Chavchavadze's "The hermit", "The Hunter" published in 1976; in 1983 – "Deda Ena" and in 1984 – a short prosaic version of "The Knight in the Panther's Skin" in German and other.

He was the first Georgian whose great contribution was awarded a medal of Albert Schweitzer in 1983.

We can certainly say that Nikoloz Janelidze belonged to the group of Georgian creative people who devoted their lives and creative work to their nation.

*Mariam Marjanishvili*  
*Doktorin der Philologie*

## **Janesi - ein Georgischer Emigrant**

Jeder Schritt eines Menschen ist eine Geschichte, die auch nach seinem Tod genau so lange weiterlebt, wie er seiner Nation gedient hatte. Unter diesem Gesichtspunkt möchten wir das Leben und Werk des Emigranten Nikoloz Janesi (Nikoloz Janelidze) schildern.

Während des II. Weltkrieges in Gefangenschaft geratend blieb Nikoloz Janesi aus Angst vor Repressivmaßnahmen von Stalin in Deutschland und diente 50 Jahre lang der seelischen Wiedergeburt der deutschen Nation, der Erhaltung der deutsch-georgischen kulturellen Beziehungen.

In Itzehoe gründete er den Verlag "Georgien", wo er regelmäßig die ins Deutsche übersetzten besten Werke der georgischen Schriftsteller drucken ließ.

Das erste Buch "Die Apostolin Nino" wurde 1961 in deutscher Sprache gedruckt. 1970 wurde beim Verlag "Georgien" das von Lili Pape-Gegelaschwili, Ulrich Pape und Nikoloz Janesi übersetzte Buch "Georgische Küche" gedruckt.

Zu der Liste seiner Werke gehören unter anderem: 1974 beim Verlag "Georgien" in deutscher Sprache veröffentlichtes Buch "Georgische Märchen", 1976 die georgischen Erzählungen wie "Erzählung des Rehkitzes", "Natur" von Wascha Pschawela, Auszug aus der "Erzählung eines Bettlers" von Ilia Tschawtschawadse „Der Jäger“, 1983 - Deda Ena (Muttersprache), 1984 aber die verkürzte Prosadichtung des "Ritters im Tigerfell" usw.

Er war der erste Georgier, dessen Verdienst durch den Albert Schweizer - Friedenspreis ausgezeichnet wurde.

Man kann ruhig sagen, dass Nikoloz Janelidze zu den vielseitig wirkenden und für die georgische Nation aufopfernden Persönlichkeiten gehörte, die uns Georgien des 19. Jahrhunderts geerbt hatte.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშმაძე გ. (1974). სამშობლოს სიყვარულით. სამშობლო.
2. ამაშუკელი ნ. (1998). ჰერმან ვედეკინის ცხოვრება და მოღვაწეობა: ჟურნალი „ხელოვნება“, 3-4. თბილისი.
3. არაბული ა. (2000). ნიკოლოზ ჯანელიძე – ემიგრანტის ცხოვრების ფურცლები: ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“, 1-2. თბილისი.
4. გაბლიანი გ. (1947). პირადი წერილები. იტცეჰოე.
5. გელოვანი გ. (1985). გლოვის ზარები კრემლში: ჟურნალი „გუშაგი“. 5. პარიზი.
6. გელოვანი ა. (1977). პირადი წერილები. თბილისი.
7. გელოვანი ა. (1977, სექტემბერი). ქართული ზღაპარი ჰაილიგენშტედტენში. სამშობლო.
8. გელოვანი ა. (1990, მარტი 27). მადლის სიკეთე. თბილისი.
9. გელოვანი ა. (1982, სექტემბერი 13). საქართველოში სტუმარი ღვთისაა. თბილისი.
10. გელოვანი ა; ლლონტი ა; რევიშვილი შ; (1993, აპრილი 12). მარტოხელა „გერმანელი ქართველი“. თბილისი.
11. გელოვანი ა. (1976). „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი. წიგნის სამყარო.
12. გრუნვალდი-გეგელაშვილი თ. (1984). პირადი წერილები. ენცენსბერგი.
13. დაუშვილი რ. (2007). ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში. თბილისი: გამომცემლობა „რაეო“.
14. დაუშვილი რ. (2009). ქართველები არგენტინაში XX საუკუნის 50-იან წლებში: ჟურნალი „სამშობლო“. 1. თბილისი.

15. თურნავა ს. (1984, დეკემბერი 26). ნიკოლოზ ჯანელიძე. წიგნის სამყარო.
16. კაკაბაძე ნ. (1976). პირადი წერილები. თბილისი.
17. კაკაბაძე ნ. (1990, იანვარი 17). ნიკოლოზ ჯანელიძე. ქართული ფილმი.
18. კაკაბაძე ნ. (1993, აპრილი 7). სად აღუფხვრი სადით ძირსა?. საქართველოს რესპუბლიკა.
19. კაკაბაძე ნ. (1993). ნიკოლოზ ჯანელიძე. სამშობლო.
20. კახნიაშვილი ვ. (1975-1993). პირადი წერილები. თბილისი.
21. კუპრავა ვ. (1984, დეკემბერი 26). წიგნის ძალა. წიგნის სამყარო.
22. მენაბდე ლ. (1970, ივნისი 26). ეს ყველას გვევალება!. სამშობლო.
23. ნინუა ს. (2004, აგვისტო 2-9). სადაურსა სად წაიყვან ბედო. მზერა.
24. ნოზაძე ვ. (1951). მამა ფილიპე დე რეჟის: ჟურნალი „მამული“, 4. ბუენოს-აირესი.
25. პაპავა თ. (2013). ჩემი კრიალოსანი: ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“, 1. თბილისი.
26. პაპავა თ. (1990). გაბნეული საფლავები. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“
27. რიში ე. (1964). კიტა ჩხენკელი: ჟურნალი „კავკასიონი“, IX. პარიზი.
28. რცხილაძე ვ. (1995, დეკემბერი 29–1996, იანვარი 5). შემაერთებელი ძაფი არ არსებობდა. ლიტერატურული საქართველო.
29. სულაძე გ. (2012). ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები. თბილისი: გამომცემლობა „ბაკურ სულაკაური“.

30. შამელაშვილი რ; ზექალაშვილი რ. (1988). სად წაიყვან  
სადაურსა... სამშობლო.
31. შანიძე ა. (1975). პირადი წერილები. თბილისი.
32. შარაძე გ. (1989, მარტი 25). ნიკოლოზ ჯანელიძე. ახ-  
ალგაზრდა კომუნისტი.
33. შარაძე გ. (1991). უცხოეთის ცის ქვეშ. ტ. I. თბილისი:  
გამომცემლობა „მერანი“.
34. ჩხიკვიშვილი დ. (1976). პირადი წერილები. თბილისი.
35. ჭავჭავაძე ი. (1961). თბზულებანი. ტ.X. თბილისი:  
გამომცემლობა „სახელგამი“.
36. ჯანელიძე ნ. (1993). პირადი წერილები. იტცეპოე.
37. ჯანელიძე ნ. (1964). პირადი წერილები. შვეიცარია.
38. Polcuch V. (1983, oktober 12). Dann gingen sie gemeinsam  
brüderlich ihres Weges. Die Welt.
39. (1982, Juli 13). So malen Kinder in Georgien. Rundschau.
40. (1982, Juli 13). Professor Hermann Wedekind: `Der Gast ist in  
Georgien ein Geschenk des Himmels`. Rundschau.
41. (1984, Februar 29). Eine zauberhaft Märchenstunde gab es im  
katholischen Kindergarten am Coriansberg. Itzehoe.
42. (1986, November 24). Ausstellung von deutschen Büchern in  
georgischer Übersetzung. Rundschau.





[www.mtsignobari.ge](http://www.mtsignobari.ge)

დაიბეჭდა შპს „მნივნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71



## მარიამ მარაბანიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის განათლებისა და ახალი ისტორიის განყოფილების მეცნიერთანამშრომელი.

2007-2009 წწ. წყალტუბოს აიპ „სამუზეუმო გაერთიანების“ დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

2015 წლიდან მუზეუმებისა და მუზეუმების პროფესიონალების საერთაშორისო ორგანიზაციის - ICOM-ის წევრი.

### სამეცნიერო კვლევის ძირითადი სფეროები:

XIX-XX სს. ქართული ინტელიგენციის კულტურული

იერსახე, ფემინიზმი და გენდერი, ქართული დემოკრატია, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ევროპასა და ამერიკაში.

### ძირითადი ნაშრომები:

„ფემინიზმი და პოლიტიკოსი ქალები ამერიკის შეერთებულ შტატებში“ (2008);

„მარჯანიშვილთა და მესხთა ხომლი“ (2011);

„ლეო ჭეიშვილი - არგენტინაში მოღვაწე ქართველი მწერალი და მეცნიერი“ (2013);

„ქართული ემიგრანტული მწერლობის სამხრეთ ამერიკული პერიოდი“ (2014).

60 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 30 ნაშრომი გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში.

ასევე სამი სამეცნიერო კრებულის რედაქტორი და მრავალი ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილების ავტორი.

### ლიტერატურულ კონკურსებში გამარჯვებული:

საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსა და საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის ლიტერატურული კონკურსი - „ძალა ჰუმანიზმისა“ (2000);

თსუ-ს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის (GCLA) კონკურსი - „ქართველ ემიგრანტთა ლიტერატურული მოღვაწეობა“ (2013);

დასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო სამინისტროს პირველი საერთაშორისო ლიტერატურული კონკურსი - „ემიგრანტის წერილი -2014“ (2015).

### პროექტები:

„INTERNATIONAL EDUCATION WEEK 2006“ - ინტეგრაციის თემაზე (2006).

ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ პროექტების მონაწილე:

„ქართული დემოკრატია: მითი თუ რეალობა“ (2010);

„განმანათლებლობა საქართველოში: იდეები და აქტორები“ (2014).

